PRIME Time

N52 (250) ორშაბათი, 30 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

შემდეგი ნომერი გამოდის 2014 წლის 13 იანვარს

EXCLUSIVE

გია ხუხაშვილის ინტრიგები გაიხსნა?

რატომ დაუხურა კარი ხუხაშვილს ბიძინა ივანიშვილმა

EXCLUSIVE

წულუკიანს პირადი ცხოვრება გაუსკანდალდა

SCANDAL

ხათუნა ლაგაზიძე: „ყველა ამტკიცებს, რომ ინფორმაცია ფარცხალაძის ნასამართლობის შესახებ კარგა ხნით ადრე ჰქონდათ“

„ისმის კითხვა – სანამ გიგი უგულავას, ან ვანო მერაბიშვილს არ შეეხნენ, რატომ არ გამოაქვეყნეს ეს? ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპრომატები დღის სინათლეს იხილავს მაშინ, როცა ნაციონალებს დასჭირდებათ საკუთარი თავისა და პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად“

EXCLUSIVE

ირაკლი სესიაშვილი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარცხალაძემ არათუ უნდა დატოვოს თანამდებობა, არამედ გააგრძელოს ის აქტიური მუშაობა, რაც პროკურორად დანიშვნისთანავე დაიწყო“

EXCLUSIVE

ლევან ბერძენიშვილი: „გიგი უგულავა უკვე აღარ არის თბილისის მერი და ახლა რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ. რატომ უნდა აღვასრულოთ ეს ბრძანება?“

„შემირცხვენია ის პარტია და ის ხალხი, ვინც თუნდაც ერთ ხმას მისცემს მერაბიშვილისნაირ კანდიდატს“

EXCLUSIVE

მკვლელობის შოკისმომგვრელი ვერსია

დათა ახალაიამ

EXCLUSIVE

გირგვლიანი თბილისში მოკლა და ცხედარი ოჟროყანაში აიტანეს

გოგა ონიანი: „იმედი მაქვს, მელნიკოვი არ გაყიდის სინდისს“

რა კვალი დარჩა ჟვანიას ცხედარზე

იაშარ უსუპოვი: „მკვლელობა 2-3 თვეში გაიხსნება“

გოგლა ჟვანია: „თუ გამოძიებას დასჭირდება, ცხედრის ექსჰუმაცია მოხდება“

ირაკლი კაკაბაძე: „არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიებას ჩვენება მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა უკვე მისცეს“

EXCLUSIVE

დავით უსუფაშვილს ბრალდებები ნაუყენეს

ია ანთაძე: „პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ კანონი არ დარღვეულა, თუმცა იურისტები ამბობენ, რომ კანონი დაირღვა“

EXCLUSIVE

პროკურორი გრიგალაშვილი სულხან მოლაშვილის საქმეზე ალაპარაკდა

„მან თერმული დაზიანებები თავად მიიყენა და გააპირა ისე, რომ თითქოს ვიღაცამ აწამა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დათა ახალაიამ გირგვლიანი თბილისში მოკლა და ცხედარი ოქროყანაში აიტანეს

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმი“-სთვის ცნობილი გახდა გირგვლიანის მკვლელობის ახალი ვერსია. როგორც ჩვენი ინფორმატორი გვიყვება გირგვლიანის მკვლელობის ახალი ვერსია საკმაოდ შოკისმომგვრელია და საზოგადოება, მალე, სრულიად განსხვავებულ სურათს იხილავს. ამ ვერსიით, იცვლება, როგორც შემთხვევის ადგილი, ისე მკვლელობის უშუალო შემსრულებელი. მოკლედ, საუბარია იმაზე, რომ სანდრო გირგვლიანი ოქროყანაში არავის მოუკლავს. ამ ვერსიით, ის, თბილისში, უშუალოდ დათა ახალაიამ მოკლა, მოგვიანებით კი კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა ცხედარი, კვალის დაფარვის მიზნით, ოქროყანაში აიტანეს და სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე დააგდეს. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სწორედ ამ ვერსიაზე მუშაობს ახლა პროკურატურაც, თუმცა ჩნდება კითხვა, რა ბედი ელის იმ ათობით ჩვენებას (მათ შორის ბრალდების მხარის მოწმეების), რომლის მიხედვითაც შემთხვევა სწორედ ოქროყანაში მოხდა. ამ ჩვენებებს შორისაა გირგვლიანის მეგობრის, ლევან ბუხაიძის ჩვენებაც. ბუხაიძის მონაყოლით ამ ისტორიის სიუჟეტი სწორედ ოქროყანაში ვითარდება. ჩვენ მოვიპოვეთ მისი დაკითხვის ოქმი, სადაც ბუხაიძე ყვება, რომ სანდრო გირგვლიანმა, რომელსაც ოქროყანაში კუდ-ის თანამშრომლები სცემდნენ, გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც ყველა მათგანმა მისკენ გადაინაცვლა, იძულებით გახადეს ტანსაზომოთ და მობილური ტელეფონით სურათი გადაუღეს.

ახალი ვერსიით, „ოქროყანიდან გაქცეულ სანდრო გირგვლიანს გზად წამოეწივნენ კუდ-ის თანამშრომლები, ის თბილისში ჩაიყვანეს, სადაც მოხდა მკვლელობა დათა ახალაიას მიერ, შემდეგ კი ცხედარი კვლავ ოქროყანაში აიტანეს“, - ყვება ჩვენი წყარო.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ვერსიის ირგვლივ პროკურატურამ უკვე დაკითხა ოლეგ მელნიკოვი, რომელიც ამჟამად, სწორედ გირგვლიანის საქმისთვის, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. მელნიკოვის სახელი ფიგურირებს ბუხაიძის ჩვენებაში.

„თოვლში წამაქციეს და ერთ-ერთმა თქვა: „ერთი აქეთ ამოიხედეო“. რაზეც მეორემ იარაღის ლულით სახე ამომიტრიალა და თვალებთან უეცარი გაშუქებით მივხვდი, რომ სურათი გადამიღეს. ...ამჟამად შემიძლია, დარწმუნებით და შეუცდომლად განვაცხადო, რომ სასაფლაოზე შემდგომში მოსული პირი, რომელმაც იარაღიდან ისროლა და შესაძლოა, ფოტოც გადამიღო, ნამდვილად იყო ოლეგ მელნიკოვი, რომელიც გამოძიების დროს მე, მართალია, ვერ ამოვიცანი, მაგრამ სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში პირდაპირ სხდომაზე განვაცხადე ამის შესახებ. დარწმუნებით შემიძლია დავასახელო, რომ ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ გია ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ოლეგ მელნიკოვი და ავთანდილ აფციაური“, – ყვება საგამოძიებო ორგანოსთვის მიცემულ ჩვენებაში ლევან ბუხაიძე.

ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, სწორედ მელნიკოვმა დაადასტუროს ის ვერსია, რომელზეც ამჟამად გამოძიება მუშაობს. ის, რომ პროკურატურის წარმომადგენლები ამ თემაზე მელნიკოვს ნამდვილად ესაუბრნენ, ამას მისი ადვოკატი გოგა ონიანიც ადასტურებს. ონიანის თქმით, სამართალდამცველი უწყებების ყოფილ მაღალჩინოსნებზე ციხეში ზეწოლა ხორციელდება, რათა მათ გირგვლიანის მკვლელობაში უშუალოდ დათა ახალაია დაადანაშაულონ.

- გოგა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურა გირგვლიანის მკვლელობის ახალ ვერსიაზე მუშაობს, რომლის თანახმადაც მკვლელობა უშუალოდ დათა ახალაიას მიერაა შესრულებული, თბილისში და არა ოქროყანაში... თუ გსმენია ამის შესახებ?

- დიახ, ეს ინფორმაცია ჩვენამდეც მოვიდა. მას შემდეგ, რაც მთავარი პროკურორის ნასამართლობის შესახებ აგორდა სკანდალი, ხელისუფლებამ გადაწყვიტა გირგვლიანის თემა კიდევ ერთხელ გამოიყენოს პიარისთვის. ეს ადამიანები შედიან ციხეში, უშუალოდ პროკურორი შოთაძე და აიძულებს მათ მისცენ ჩვენება, რომ თითქოს გირგვლიანის მკვლელობა მოხდა ქვევით, თბილისში და შემდეგ გარდაცვლილი აიყვანეს ოქროყანაში. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არც ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს ამ ვერსიაზე ხელი არ მოუწერია, მომავალში არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე მათგანს ასეთი რამ ათქმევინონ.

- ანუ, არც თქვენ გამორიცხავთ, რომ მალე პროკურატურამ გირგვლიანის საქმის სრულიად განსხვავებული ვერსია დადოს?

- ამით ისინი გასცდნენ ელემენტარულ ანა-ბანას იურისპრუდენციაში, რადგან, დიახ, პროკურატურის მიერ 4-5-ჯერ დაკითხვის შემდეგ მოპოვებულ ათობით ჩვენებაში ყვებიან თუ სად და რა ვითარებაში მოხდა ეს შემთხვევა. ახლა პროკურატურა ცდილობს ეს ჩვენებები გადადოს გვერდზე, მთლიანად შეცვალოს საქმე და შეთხზას დათა ახალაიას ბრალეულობა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ იმ ადამიანებს, ვისთანაც პროკურატურა ამ თემაზე საუბრობს, ეყოფათ ვაჟკაცობა, გამოვლენ და იტყვიან თუ რას სთავაზობენ მათ. გამოძიება მათთან არ მიდის კითხვით - რა მოხდა? მათ პირდაპირ სთავაზობენ ვერსიას, რომელიც უნდა დაადასტურონ. დღეს ხელისუფლება ფიქრობს მოკლევადიან პერიოდზე, ეს უნდა გაკეთდეს ადგილობრივ არჩევნებამდე და ამან გამოიწვიოს მორიგი ხმაური საზოგადოებაში.

- ჩვენი იფორმაციით, შესაძლოა, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფმა ოლეგ მელნიკოვმა ითანამშრომლოს ამ მიმართულებით გამოძიებასთან...

- ჩემთან საუბარში მელნიკოვს არაერთხელ გამოუხატავს პოზიცია, რომ მან თქვა ის, რაც იცოდა და, რომ ის საერთოდ არ იმყოფებოდა ოქროყანაში. მიუხედავად ამისა, მელნიკოვს არაერთი საქმე აღუძრეს, სრულიად სხვადასხვა საქმეები, ამიტომ მას პირდაპირ სთავაზობენ, რომ შენი გამოშვება დამოკიდებულია ერთა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ჩვენებას მისცემს ოლეგ მელნიკოვი ახალაია წინააღმდეგ?

EXCLUSIVE

გოგა ონიანი: „იმედი მაქვს, მელნიკოვი არ გაყიდის სინდისს“

დერთ რამეზე - თუ დაადებ ხელს დათა ახალაიას და იტყვი, რომ მან მოკლა გირგვლიანი, შენ გაგათავისუფლებთო. მე დიდი იმედი მაქვს, რომ არც მელნიკოვი და არც რომელიმე სხვა ადამიანი, არ გაყიდის სინდისს იმ მიზნით, რომ რამდენიმე თვეში გარეთ გამოვიდეს. თუ ჩემი იმედები გაცრუვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ოლეგ მელნიკოვმა მისცა ცრუ ჩვენება. ანალოგიური წინადადება მიიღო ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომლის მიმართაც ასევე საქმეა აღძრული. უბრალოდ, მის ვინაობას, მისივე თხოვნით ვერ გავახმაურებ. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ადამიანები გადალახავენ შიშს და ეტყვიან საზოგადოებას თუ რა მეთოდებით ცდილობენ საქმის შეთხზვას.

- თქვით, რომ მელნიკოვს სხვა ფაქტებზეც აღუძრეს საქმეო... კონკრეტულად რა საქმეებს გულისხმობთ?

- მის მიმართ ახალი ბრალი, ალბათ, მალე გაჟღერდება. ამ საქმეებზე უკვე დაკითხეს ციხეში. საუბარია ვიღაც პიროვნების ცემაზე და ასევე, თითქოს უკრაინაში ყოფნის დროს, ის უკანონოდ იღებდა ხელფასს შსს-დან. ამ საქმეებს აქტიურად იყენებს პროკურატურა.

P.S. როგორ ჩანს, ზურაბ ჟვანიას საქმის შემდეგ, გირგვლიანის მკვლელობა იქნება პირველი, რომელსაც პროკურატურა დადებს. კონკრეტულად როდის გაახმაურებს გამოძიება გირგვლიანის საქმის ახალ დეტალებს და რა ჩვენებას მისცემს ოლეგ მელნიკოვი, ამას უახლოეს დღეებში ვნახავთ. ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ პროკურატურამ დათა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებები მართლაც მოიპოვოს, თუმცა უნცაურია ის, რომ მათ საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის სიმართლეში წინასწარვე ეჭვი შეაქვთ.

NATIONAL OSTEOPOROSIS FOUNDATION

ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარია თავისუფლად გადაადგილების უფლება!

ოსტეოპოროზი – XX საუკუნის ბოლოს „უცნობი“ დაავადებიდან XXI საუკუნის პირველ დეკადაში დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად იქცა. ის მოექცა სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ოთხეულში და მოიაზრება ისეთ დაავადებებთან ერთად, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, დიაბეტი, ონკოლოგია. 50 წელს გადაცილებული მოსახლეობის 65-70%-ს უვითარდება ოსტეოპოროზი, რომელსაც ახლავს მაღალი ინვალიდობა და ხშირი მოტეხილობები. ძვლის ნაადრევი დიაგნოსტიკა და ეფექტური ადრეული მკურნალობა – გამოსავალი, იცხოვროთ ოსტეოპოროზული მოტეხილობების გარეშე!

დარეკეთ და დარეგისტრირდით ჩვენს ცხელ ხაზზე – 597–38–00–05, 599–80–57–70.

დენსიტომეტრია – მაღალი ფასდაკლებით, ~~195~~ ლარის ნაცვლად **30 ლარი**

რევმატოლოგის კონსულტაცია – ~~50~~ ლარის ნაცვლად **20 ლარი.**

იჩქარეთ!!!

მისამართი: ლუბლიანას ქ. #18/20, „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა“.

WOMEN OVER 50 WILL EXPERIENCE OSTEOPOROTIC FRACTURES. AS WILL MEN

ouch!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იაშარ უსუპოვი: „მკვლელობა 2-3 თვეში გაიხსნება“

EXCLUSIVE

გოგლა ჟვანია: „თუ გამოძიებას დასჭირდება, ცხედრის ექსჰუმაცია მოხდება“

მარიამ ნადირაძე

გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლებაში მზადდება „ბომბი“. ეს ბომბი კი, არც მეტი, არც ნაკლები, „ჟვანიას საქმის“ გახსნა შეიძლება იყოს...

რა ვერსიით და რამდენ ხანში შეიძლება გაიხსნას ბოლო დროის ეს ყველაზე სკანდალური სისხლის სამართლის საქმე? – სწორედ ეს არის ჩვენი პუბლიკაციის მთავარი თემა.

ამავდროულად, კულუარულად შევიტყვეთ, რომ მალე დღის წესრიგში შესაძლოა, ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის საკითხი დადგეს. ინფორმაციის გადასამოწმებლად პრემიერის ძმას, **გოგლა ჟვანიას მივმართეთ,** რომელმაც ინფორმაცია უარყო, თუმცა არ გამორიცხა, რომ, თუ გამოძიებას დასჭირდება, ეს გადაწყვეტილება შესაძლოა, მიღებულიც იქნას:

– ეს საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში და არც ახლა დგას...

– საქმე პრემიერის მკვლელობას ეხება. ნებისმიერ მკვლელობას უნდა ახლდეს ექსპერტიზის დასკვნა. სააკაშვილის ხელისუფლებისდროინდელი დასკვნა არა მგონია, ამ გამოძიებისთვის რამის მიმცემი იყოს. ექსჰუმაციის გარეშე გამოძიების შედეგები რამდენად დამაჯერებელი იქნება?

– გამოძიებას სხვა ბევრი საშუალება აქვს იმისთვის, რომ მომხდარის შესახებ რეალური სურათი დადოს. თუმცა, თუ ექსჰუმაციის საკითხი დღის წესრიგში დადგება, ის ჩატარდება.

– თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით?

– არა მგონია, ეს საჭირო გახდეს.

ამ თემას სტატიაში მოგვიანებით ისევ მივუბრუნდებით. მანამდე კი გადავწყვიტეთ, ჩვენს მკითხველს ამ სკანდალური საქმის შესახებ პოზიციები მაქსიმალურად გავაცნოთ.

ცოტა ხნით ადრე მიშა მაჭავარიანმა ოფიციალურად განაცხადა, ჩვენ ვიცით, რა ვერსიას ამუშავებენ პროკურატურაშიო. გია ბარამიძემ კი ისევ სიტყვასიტყვით გაიმეორა ძველი ჩვენება, რა ვითარება დახვდა საბურთალოს ქუჩაზე, როდესაც მას პრემიერის გარდაცვალების შესახებ შეატყობინეს. თუ მანამდე ვინმემ რამე შეცვალა, ამის შესახებ, ალბათ, ზურაბ ჟვანიას დაცვა უნდა ფლობდეს ინფორმაციებს და მას დაუსვით კითხვებიო.

ვერ გეტყვით, ფარცხალაძემ ბარამიძის რჩევა გაითვალისწინა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ კობა ხარშილაძე დღეს სამართალდამცველების ხელშია.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას **გიორგი ბარამიძე** არ გამორიცხავს, რომ ვერსია, რომელსაც პროკურატურა ამუშავებს, პოლიტიკური მოტივებით იქნება ნაკარნახევი:

– რას გულისხმობდა მიშა მაჭავარიანი, როდესაც აცხადებდა, რომ თქვენთვის ცნობილია, რა ვერსიაზე მუშაობს პროკურატურა?

– ვერსია ორია – უბედური შემთხვევა, ან მკვლელობა. როდესაც ამ საქმეს პოლიტიკურ მოტივად იყენებდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ, ბუნებრივია, გვიჩნდება ეჭვი, რომ მკვლელობის ვერსიაზე მუშაობენ. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია. თუ გამოძიება მიმდინარეობს, ყველა ვერსია უნდა განიხილებოდეს, მით უმეტეს, როდესაც ოჯახს აქვს სერიოზული ეჭვი. გამოძიება ამას გვერდს ვერ აუვლის.

– ფიქრობთ, რომ კობა ხარშილაძე რამე ინფორმაციას ფლობს?

– პირველი ვინც ნახა, ის, ბუნებრივია, ყველაზე ზუსტ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ კობა ხარშილაძე დღეს დაპატიმრებულია ბუჩქების დარგვა-არდარგვაზე, რეალურად კი, აბსოლუტურად კანონსაწინააღმდეგოდ მის დაპატიმრებას იმ ვერსიის გასამყარებლად იყენებენ, რაც მათ უნდათ, რომ ხელოვნურად შეაკოწიწონ... რომ დაებარებინათ და ისე ეკითხათ ზურას საქმესთან დაკავშირებით, რა, კობა ხარშილაძე ისე არ გასცემდა პასუხს? რამდენი ხანია ჩემს და ჩემი მეგობრების სახელს ახსენებენ. რატომ არც ერთხელ არ მოვიდა ჩემთან გამომძიებელი და არ მკითხა რამე? უკვე წელიწადი და სამი თვე გავიდა. მაგრამ მათ არ სჭირდებათ კითხვებზე პასუხი, ვინაიდან ამ თემით პოლიტიკური ლიდერები სპეკულირებენ...

– თქვენ თავად არ გიჩნდებათ კითხვები ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით?

– მე წავიკითხე ამერიკული გამოძიების მასალები. არც რაიმე საფუძველი მაქვს, რომ არ ვენდო ქართულ გამოძიებას. მაგრამ სულ ამას ვამბობ, რომ ყველა ვერსია უნდა იყოს შესწავლილი. მე ხომ შეიძლება ზოგიერთი რამე არ ვიცოდე? სულაც არ მიმაჩნია, რომ ყოვლისმცოდნე ვარ. ზურას ოჯახის წევრებს ვერა, მაგრამ ნებისმიერს შევეჯიბრები ზურას ერთგულებასა და მეგობრობაში, ცოცხალი იყო ის კაცი თუ მკვდარი. ახლა გადმოდგა ათასი ნაძირალა, ზურას სახელით სპეკულირებენ და იმასაც კი კადრულობენ, რომ, როგორც ადრე ებრძოდნენ ზურას და მის მეგობრებს, ახლა უკვე ზურას სახელით აკეთებენ ამას.

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ უამრავი ვერსია გაჟღერდა. ზოგიერთის მიხედვით, ის სააკაშვილმა მოკლა საფერფლის საფეთქელში სროლით, ზოგიც ირწმუნება, დათა ახალაიამ მოახრჩო თავისი ხელითო, ზოგს ჰგონია, რომ სპეცსამსახურებმა მოკლეს სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას დაკვეთით... სულ ბოლოს კი, მას შემდეგ, რაც პრემიერის დაცვის უფროსი დაიჭირეს, სულ ახალი ვერსია გავრცელდა – თითქოს ჟვანია კობა ხარშილაძემ საკუთარი ხელით მოკლა კოჯრის გზაზე. მეტიც, გვიმტკიცებენ, რომ ამ ფაქტს მოწმეც ჰყავს. უცნაურია, მაგრამ ახალი მოწმის არსებობას არც ექსპერტები უარყოფენ. თავად პრემიერი ღარიბაშვილიც ადასტურებს, რომ საქმეში ბევრი ახალი და სერიოზული ინფორმაციაა და იქვე აცხადებს: „ვარწმუნებ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ყველაფერი აუცილებლად ბოლომდე გაირკვევაო, და იქვე განმარტავს, რომ სულაც არ გამორიცხავს, ძველი ვერსია თავდაყირა დადგეს.

„პრაიმტაიმმა“ კითხვებით ზურაბ ჟვანიასთან ერთად გარდაცვლილი რაულ უსუპოვის მამას, **იაშარ უსუპოვსაც მიმართა:**

– ვიცი, რომ ძიება მიდის და თანაც კარგად მიდის.

– რა ვერსიაზე მუშაობს გამოძიება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი კაკაბაძე:

„არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიებას ჩვენება მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა უკვე მისცეს“

მაია ნიკოლეიშვილი: „ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს“

– ვერსიების შესახებ ვერაფერს გეტყვით...

– ღარიბაშვილი ამბობს, ბევრი ახალი ინფორმაციაა...

– რა თქმა უნდა, ბევრი ახალია, მაგრამ ამაზე ვერ ვისაუბრებ.

– კობა ხარშილაძის დაკავებას როგორ აღიქვამთ?

– დაუკავშირებენ თუ არა ჩვენს საქმეს, მას ისედაც დაუშავებია და უნდა დაეკავებინათ. ამ საქმეშიც, რა თქმა უნდა, წვლილი მიუძღვის. ბოლოს და ბოლოს, დაცვის უფროსი იყო...

– თქვენ გსმენიათ პროკურატურაში ვერსიაზე, თითქოს ხარშილაძემ თვითონ მოკლა ჟვანია...

– არა, ამის შესახებ პროკურატურაში არაფერი უთქვამთ. თუმცა, ყველაფერია მოსალოდნელი. ღალატსა და შესრულებას შორის, მგონი, დიდი სხვაობა არ არის.

– პროკურატურა გიმჟღავნებთ ვერსიას, რაზეც მუშაობს?

– კი და ჩვენ ყველაფერში ვეთანხმებით მას.

– მკვლელობაზე მუშაობენ?

– აბა, რა! ვინ საუბრობს დღეს უბედურ შემთხვევაზე? როცა გაიხსნება, ყველა დაინახავს, რომ არავინ გაგუდულა გაზით.

– როდისთვის ელოდებით საქმის გახსნას?

– დაახლოებით 2-3 თვეში.

თუმცა, არის ჯგუფი, რომელიც სკეპტიკურად უყურებს ამ საქმის გახსნის შესაძლებლობას. ამ ჯგუფს **ჯონდი ბაღათურიაც** განეკუთვნება:

– მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ესენი არც არაფერს იძიებენ. არც ის მგონია, რომ ხარშილაძე ჟვანიას საქმეზე იყოს რეალურად დაჭერილი. ნაციონალების შიში ამ ადამიანის დაჭერასთან დაკავშირებით უკავშირდება უგულავას, ვინაიდან შეიძლება დადგინდეს მისი კავშირი „გრინსერვისის“ საქმესთან. ესენი ჟვანიას საქმის გამოძიებით რეალურად რომ იყვნენ დაინტერესებულნი, პირველ რიგში, ექსჰუმაციას ჩაატარებდნენ.

ცოტა ხნის წინ ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ექსჰუმაციის წინააღმდეგი ზურაბ ჟვანიას ოჯახია, თუმცა „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, უახლოეს მომავალში არ არის გამორიცხული, რომ პრემიერის ცხედრის ხელახალი ექსპერტიზა ჩატარდეს. ამის ინიციატორი, არც მეტი, არც ნაკლები, ოჯახია. თუმცა, რა ინფორმაციის მატარებელი იქნება ცხედარი 9 წლის შემდეგ, ამის შესახებ დამოუკიდებელ ექსპერტს, **მაია ნიკოლეიშვილს** ვესაუბრეთ, რომელიც სწორედ 9 წლის წინათ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისთანავე გამოთქვამდა ეჭვს, რომ ვანო მერაბიშვილის მიერ გამოცხადებული ცეოს კონცენტრაციის დონე სიკვდილს არ იწვევდა და შესაბამისად, უბედური შემთხვევით მისი

გარდაცვალებაც საეჭვო იყო. სწორედ მისი განცხადების შემდეგ შეიცვალა სისხლის სამართლის საქმეში ცეოს კონცენტრაციის ციფრიც.

– ექსჰუმაციას აზრი ყოველთვის აქვს. რა თქმა უნდა, რბილ ქსოვილებზე ინფორმაცია არ იქნება. ჩვენ მოსმენილი გვაქვს ვერსიები, სადაც ფიგურირებს ცეცხლსასროლი იარაღი, მკვრივი ბლაგვი საგანი. ცალსახად შემიძლია ვთქვა, თუ ძვლის დაზიანება იქნება, რა თქმა უნდა, ინფორმაციაც გვექნება.

– ხსენებული ვერსიების მიხედვით, საქმე სწორედ ძვალთან უნდა გვქონდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეიძლება დაზიანება იყოს საფეთქელთან საფერფლის მოხვედრის გამო, ან თავში, ტყვიით მიყენებული დაზიანებით...

– თუ ბლაგვი საგნით დაზიანდა ძვალი, მაშინ ინფორმაციული იქნება. იგივეა ცეცხლნასროლი დაზიანების შემთხვევაშიც. თუ ტყვია გავიდა რბილ ქსოვილებში, მაშინ ვერაფერს მივიღებთ. თუ შეეხო ძვალს, მაშინ ინფორმაცია გვექნება. ზოგადად, ეს საქმე ძალიან რთულია გამოსაძიებლად, ვინაიდან მტკიცებულებების აწყობა ბევრად რთულია, ვიდრე მისი დაშლა. მით უმეტეს, ამდენი წელია გასული. თუმცა ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

– მოწამლულია თუ არა პრემიერი, ამის შესახებ ამდენი წლის შემდეგ პასუხის გაცემა შესაძლებელია?

– მე ქიმიკოსების კომპეტენციაში ვერ შევიჭრები, თუმცა, მგონია, რომ ცეოზე ნაკლებად იქნება საუბარი.

– თქვენ ექსპერტიზის მასალებს თავის დროზე გაეცანით. რამე ნახსენებია დაზიანების შესახებ?

– აღწერილობაში ამის შესახებ აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი, გარდა ტუჩის მიდამოში არსებული დაზიანებისა. აღწერილია ნაჭდევი, იქვე არის სისხლჩაქცევა და ტუჩის შიგნითა მხარეს ლორწოზე არის ნასკდომი. ეს დაზიანება ისეა აღწერილი, რომ ყველანაირად მიუთითებს სიცოცხლისდროინდელ დაზიანებაზე და ექსპერტს ყველა წესის დარღვევით შეფასებული აქვს, როგორც სიკვდილისშემდგომი, რაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

– გინდათ თქვათ, რომ გარდაცვალებამდე ბლაგვი საგნითაა მიყენებული?

– დიახ. ზემოქმედება სახეზეა და არცთუ უბრალო.

– შესაძლებელია, მუშტით იყოს ეს დაზიანება მიყენებული?

– თუ გამოძიება ასე დასვამს კითხვას, არაფერს გამოვრიცხავ და ვიტყვი, რომ შესაძლებელია.

– ჯერ კიდევ პანაშვიდები მიმდინარეობდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრემიერს თავის არეში ჰქონდა დაზიანება, რომელიც ცვილით იყო შენიღბული. შესაძლებელია ასეთი ტიპის შენიღბვა?

– რატომაც არა. როდესაც გვამს კოსმეტიკურად ამუშავებენ, მაშინაც ხომ შეიძლება რაღაც დაიფაროს? ამიტომ, გამორიცხული არაფერია.

პროკურატურა ჟვანიას საქმის გამოძიებას ჩქარობს. უკანასკნელი ინფორმაციით, სწორედ ამ საქმის ფარგლებში ორი დღის წინ პროკურატურაში **ირაკლი კაკაბაძე** დაიბარეს და ჩვენება ჩამოართვეს. ის, რაც მან პროკურატურაში გამომძიებლებს მოუყვა, ცოტა ხნის წინ „პრაიმტაიმის ფურცლებზეც განაცხადა. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ სტატიიდან:

„ერიკ გუდისი არის გრუ-ს თანამშრომელი, თემურ ალასანიას კოლეგა. მამამისი იყო საბჭოთა კავშირის ჯარებში იარაღით ვაჭრობის განყოფილების უფროსი 1991 წლამდე. ერიკ გუდისი არის ცნობილი იარაღით მოვაჭრე, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. მისი ჯგუფი საქართველოში შემოვიდა 2004 წელს. ეს ძალიან გასაიდუმლოებული ბიზნესი იწვევდა ზურაბ ჟვანიას გაღიზიანებას. მე ამის შესახებ დაწვრილებით ვიცი და ყველაფერი ჩემს წიგნში მაქვს დეტალურად ასახული, რომელიც მალე გამოქვეყნდება. იარაღით ვაჭრობის საქმეში თემურ ალასანია ოფიციალურად ვერ იქნებოდა ჩართული, ვინაიდან გაეროს განიარაღების პროექტებში მუშაობდა, მაგრამ თემურ ალასანიას არაოფიციალურად ჰქონდა წილი, მოგვიანებით კი მისი შვილი გააფორმა ოფიციალურად ამ ბიზნესში. თვითონ, რა თქმა უნდა, არ ფიგურირებდა. ჟვანიას მკვლელობამდე სამი კვირით ადრე გუდისმა პირადად მითხრა, ჟვანიას მოაშორებენო, ეს მას შემდეგ, რაც აეროპორტზე ჟვანიასგან უარი მიიღო. ამაში მას მკვლელობა არ უგულისხმია, მაგრამ თქვა, ის ერთ თვეში თავის თანამდებობაზე აღარ იქნებაო. ეს სხვებსაც უთხრა. მე მასაც და ალასანიასაც კარგად ვიცნობდი, პირადად მაქვს მათი საუბრები მოსმენილი, როცა 31-ე ქარხანაში ვმუშაობდი, რომელიც გუდისმა და ალასანიამ პანტიკო თორდიას აართვეს და ისევ იარაღის წარმოება დაიწყეს. ამ ქარხნის გამოყენებით ხდებოდა არალეგალური ოპერაციები, რომელსაც თემურ ალასანიას კლანი ხელმძღვანელობდა“.

მაშ ასე, ვინაიდან ირაკლი კაკაბაძე დაკითხვის ოქმში ამ ინფორმაციების დასაფიქსირებლად დაიბარეს, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გამოძიება მიშა სააკაშვილის ბიძის კუთხით კვლავაც ინტენსიურად მუშაობს. დანარჩენს კი თავად ირაკლი კაკაბაძე გვიამბობს – რა კითხვები დაუსვეს და რით ინტერესდება გამოძიება...

– ეს საკითხი გამოძიებაში სერიოზულად მუსირებს. იმის თქმა, ვინ მოკლა ჟვანია, ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ზურაბ ჟვანიასთან 2004 წლის 18-დან 20 დეკემბრამდე მოლაპარაკებები შედგა, სადაც შესთავაზეს ქრთამი. ამ ქრთამზე უარი თქვა და ამის გამო ამ იარაღის მაფიასთან წინააღმდეგობაში შევიდა, რის შედეგადაც მიიღო მუქარები.

– რა ოდენობის ქრთამი იყო შეთავაზებული?

– დაახლოებით მილიარდ 100 მილიონი. ანუ, წლიური მოგების 20 პროცენტი, რაზეც ზურაბ ჟვანიამ უარი თქვა. ამის გამო იყო სკანდალი და 15 იანვარს ამ ჯგუფიდან მიიღო მუქარა, – ერთ თვეში აღარ იქნები თანამდებობაზეო.

– ქრთამს რისთვის სთავაზობდნენ?

– პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა მიეცა აეროპორტი, რომელიც ამ ჯგუფმა საბოლოოდ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ისედაც მიიღო.

– აეროპორტის გამოყენება უნდოდათ იარაღით ვაჭრობისთვის?

– დაიხ და გამოიყენეს კიდეც.

– თქვენ ჟვანიას საქმის საგამოძიებო ჯგუფმა დაგკითხათ?

– დიახ და კითხვები ამ დანაშაულებრივ ჯგუფთან დაკავშირებით დაისვა, რადგან იკვეთება აშკარა კონფლიქტი, რომელიც მოხდა ჟვანიასა და მათ შორის.

– თქვენი აზრით, ჟვანიას საქმის დაჩქარება ფარცხალაძის თემის გადაფარვით ხომ არ არის განპირობებული?

– ჩემი პრეტენზიები პირიქითაა. თუმცა, მერაბიშვილისა და კეზერაშვილის ჩვენებების შედეგად შესაძლოა, დაჩქარდეს კიდეც. გააჩნია, მათ რა ჩვენებები აქვთ მიცემული.

– ამბობთ, რომ ისინი დაიკითხნენ ამ საქმეზე და რამე ჩვენება მისცეს გამოძიებას?

– გამორიცხული არაფერი არ არის.

– ხარშილაძის დაკავებაც ამ საქმეს უკავშირდება?

– ვერ გეტყვით. მე შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ ხარშილაძე შემჩნეულია ტყუილში.

– რას გულისხმობთ?

– მან სულ სხვა ვერსია დააფიქსირა გოგლა ჟვანიასთან და სულ სხვა რამ თქვა გამოძიებაში, რის გამოც ის მაღალ თანამდებობებზე მაღალი ხელფასებით დაჯილდოვდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე ხმაური

ერეკლე სტურუა

მედიაში გამოქვეყნებული ხმაურიანი ისტორიები რომ შევაჯამოთ, თეა წულუკიანი ნამდვილად წლის ყველაზე სკანდალურ მინისტრად შეიძლება დასახელდეს. ის მედიის ყურადღების ცენტრში გამოჩენისთანავე მოექცა. მისი სავიზიტო ბარათი მინისტრის პოსტზე ლამის სიტყვა „მონსტრი“ გახდა, რომელიც მან ბაჩო ახალაიას მისამართით იხმარა. მოგვიანებით თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გაანადგუროს და ეს არის მისი მთავარი მისია.

მისია რომ ვერ შეასრულა, საკუთარ მთავრობას დაარტყა – სამართლიანობის აღდგენის პროცესი მაგათ შეაჩერეს, მე შევთავაზე, საგანგებო კომისია შევქმნათ, მაგრამ უარი მივიღეო. ასე აიცილა თავიდან პასუხისმგებლობა წულუკიანმა.

ასეთი დეტალებიდან ირკვევა, რომ თეა წულუკიანი მხოლოდ საკუთარ კარიერაზე ფიქრობს და გუნდური მოთამაშე არ არის, თავისუფლად შეუძლია საკუთარი პასუხისმგებლობა სხვას შეტენოს.

თეა წულუკიანი, მართლმსაჯულების დამდგენი კომისიის დაბლოკვის შესახებ:

– ჩვენ კანონპროექტი მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე გავიტანეთ. კომისიის შექმნას არავინ არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილად არის გასათვლელი ის შედეგები, რაც შესაძლოა, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუ ადამიანს გაამართლებ, მას გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის კი, დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. სწორედ ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩათვალა მთავრობამ, რომ ამ კომისიის შექმნა ამ ეტაპზე ნაადრევია...

როგორც იტყვიან, წულუკიანმა ხელები დაიბანა. ასეთი სხვა დეტალებიც არის მის მოქმედებებში.

თუმცა, ის თითქმის ერთადერთია, ვისაც პირადი ცხოვრებაც გაუსკანდალდა. რამდენიმე გაზეთში, იგივე „ალიაში“ დაიბეჭდა კიდეც ვრცელი ინფორმაცია მის მეგობარ მამაკაცზე, რომელთან ერთადაც მინისტრი იტალიაში ისვენებს. მან საახალწლო არდადეგებიც ნაადრევად მოიწყო, თანაც ხელისუფლებისთვის საკმაოდ მძიმე ვითარებაში. ევროპაში ისე გაემგზავრა თითქოს პროკურატურის წინააღმდეგ აგორებული ხმაური მე მეხებოდა, ან ვინმე სხვას, და არა მას.

რომაული არდადეგებით თეა წულუკიანმა ორი მესიჯი გაუგზავნა საკუთარ გუნდს, ანუ სწორედ მათ, ვისი წყალობითაც მან მაჟორიტარული არჩევნები მოიგო, შემდეგ მინისტრი გახდა და რომაული არდადეგებიც კი მოიწყო. პირველი: ჩემთვის ჩემი პირადი ცხოვრება უფრო ღირებულია, ვიდრე სახელმწიფო, მთელი თავისი საქმეებით; და მეორე: მე არ ვაპირებ სხვისი ნეგატივით საკუთარი იმიჯის გასვრას, ხომ ხედავთ NDI-ს კვლევებში რა პოპულარული ვარ?

რომაულ არდადეგებზე კი ის ვინმე ნუგზარ კაკულიასთან ერთად გაემგზავრა. „ალიამ“ ამ პირის შესახებ თითქმის ყველა ინფორმაცია გამოაქვეყნა.

„ალიას“ დოსიედან:

დაიბადა 1984 წელს თბილისში. აქვს მენეჯერული მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება. არის მარკეტინგის ანალიტიკური მიმართულების სპეციალისტი. მიღებული აქვს უმაღლესი განათლება თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. სხვადასხვა წლებში მიღებული აქვს მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულები კარატეში, არის შავი ქამრის მფლობელი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ასე რომ, გოგო 38 წლის არის, ბიჭი 28-ის. რომაული არდადეგების შემდეგ რა გეგმები აქვთ, ჯერ არ ხმაურდება.

წულუკიანი გათხოვებას ადრეც გეგმავდა. კაკულიამდე მისი რჩეული გიორგი ბადაშვილი იყო. ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მან „რეზონანსის“ შეკითხვას ასე უპასუხა: პირადი ცხოვრება მაქვს, ეს ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს და ამჯერად ჩვენი ურთიერთობა დაპაუზებულია, იმდენად დაკავებული ვარო.

სწორედ ეს ბადაშვილი ჰყავდა მხედველობაში წულუკიანს. მათ ერთმანეთი სტრასბურგში გაიცნეს, ერთად მუშაობდნენ წლების განმავლობაში სტრასბურგის სასამართლოში. თეამ ის მოგვიანებით თბილისშიც ჩამოიყვანა და საკუთარ მეგობრებსაც გააცნო. თუმცა, ამ ურთიერთობიდან არაფერი გამოვიდა. მან წულუკიანი სხვა ქალის გამო მიატოვა, რომელმაც მას საფრანგეთში შვილი გაუჩინა. ბადაშვილი თეაზე 5 ნლით უმცროსი იყო. მაგრამ ასაკი აქ არაფერ შუაშია. ნუგზარ კაკულიაც 10 წლით უმცროსია. თეა 38 ნლის არის, ნუგზარი – 28–ის...

ისინი ერთმანეთს ირაკლი ალასანიას ცოლის მეჯვარემ ეკა ხუციშვილმა გააცნო. ჩანს თუ არა ანგარება ამ კავშირში (რა თქმა უნდა, ბიჭის მხრიდან), ძნელი სათქმელია, თუმცა, ფაქტია, რომ „პატარა ბიჭმა“ მშვენიერი კარიერა მოიწყო. თეა წულუკიანმა ის იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილედ დანიშნა.

ასე რომ, თეა სკანდალურია როგორც მინისტრის პოსტზე, ისე პირად ცხოვრებაში. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. იუსტიციის მინისტრს კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთ წარმომადგენელთან მეგობრობაც „გაუბაზრდა“. სოსო ჯოხაძესთან ერთად გადაღებულ ფოტოები სოციალური ქსელებით გავრცელდა. „ალია“ საკუთარ დოსიეს ამ პირზეც ავრცელებს: ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, გასულ წლებში სოსო ჯოხაძის სახელს არაერთი გახმაურებული დანაშაული უკავშირდება, მათ შორის, 2001 წელს სასტუმრო „საქართველოსთან“ მომხდარი კრიმინალური გარჩევა, რომლის დროსაც მანქანებში არაერთი ადამიანი ჩაცხრილეს. ასევე, 2006 წელს, ციხის ბუნტის დროს ის იყო „კრიტის“ ე.წ. მაყურებელი და ამ ბუნტის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

თავად წულუკიანმა ჯოხაძესთან ნაცნობობა დაადასტურა (რაღას იზამდა, ფოტო გამოქვეყნდა), მეგობრობა – არა. აბა, როგორ დაუმტკიცებ მხოლოდ ერთი ფოტოთი. ჩემთან ფოტოებს ბევრი იღებს, ბევრს ვიცნობო.

მოკლედ, თეა რამდენად რეიტინგულია, არ ვიცი, მიჭირს თქმა, მაგრამ სკანდალებში რომ ვერავინ გაუსწრებს, ეს ცხადია.

თეა წულუკიანის შემდეგ ყველაზე ხმაურიანი ტიტული, ალბათ, მაინც ნოდარ ხადურს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, არაფერი პირადული, ხადურს მხოლოდ საქმის გამო აკრიტიკებდნენ, ან აშარჟებდნენ, ძირითადად მისი გამონათქვამების გამო. მისი პირველივე ინტერვიუ გასკანდალდა ერთი იმ ფრაზის გამო, სადაც კარტოფილის ფასი ფინანსთა მინისტრმა პენსიების ზრდას დაუკავშირა:

– აღარ გაძვირდება კარტოფილი. იმიტომ, რომ ჩვენ როცა ვსაუბრობდით, იყო დეკემბერი თუ იანვარი. იანვარში, როცა გაზრდი პენსიას, კარტოფილი არ არის. როცა ამას აკეთებ სექტემბერში, კარტოფილი არის, ვაშლიც არის და კიდევ ბევრი სხვა რამ. პომიდორია და ა.შ. ანუ ამ დროს, მიწოდებაა გაზრდილი ბაზარზე. საქონელია ბაზარზე...

ამ ფრაზის გამო ნოდარ ხადურმა თითქმის მთლიანად დაიპყრო სოციალური ქსელები. ერთ-ერთმა იუზერმა ასე იხუმრა: „კარტოფილი – მექსიკური. კარტოფილი – ფრი. კარტოფილი – ხადური“. სოცქსელებში სპეციალური გვერდიც კი შეიქმნა: „პენსია შეამცირეთ, კარტოფილი გაიაფდება“.

და მერე დაიწყო და აღარ დასრულდა: ხადურს, რა თქმა უნდა, მიეწერა „ოცნების“ ყველა იმ სოციალური დაპირების ჩაგდება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ გასცა.

„ოცნება არ მუშაობს“ – ასეთი სლოგანიც კი მოიფიქრეს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ნაციონალებმა. პენსიები არ გაიზარდა, როგორც ეს დაანონსებული იყო. ნოდარ ხადურმა თქვა, რომ პენსიების გაზრდა არც მომავალი წლისთვის იგეგმება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თეა წულუკიანს პირადი ცხოვრება გაუსკანდალდა, ნოდარ ხადურს – საკუთარი ფრაზები, ირაკლი ალასანიას კი – დიარეა...

მეტიც, ბიუჯეტი 1 მილიარდით გაირღვა და შეჩერდა ეკონომიკური ზრდა, რომელიც თავად ხადურმა წლის დასაწყისში 6%-ით დაგეგმა. მერე აღმოჩნდა, 2%-მდეც ძლივს აქაჩეს. ნოდარ ხადური თავიდან არც ბიუჯეტის გარღვევას ადასტურებდა და არც ეკონომიკური ზრდის „დატორმუზებას". თუმცა, ბოლოს აღიარა, თუმცა ყველაფერი კოჰაბიტაციას დააბრალა.

ნოდარ ხადური:

– წელს საქართველოში არის 2,5%იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზი. ჩვენ ველოდით, რომ წლის დასაწყისში ის იქნებოდა 6%. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებმა – ე.წ. კოჰაბიტაციამ და პრეზიდენტის მხრიდან მუდმივად ხელის შეშლამ, ასევე, სხვა ფაქტორებმა, რომელთა ნაწილი სუბიექტურია და ნაწილიც ობიექტური, მიგვყვანა იქამდე, რომ წელს ეკონომიკა, სამწუხაროდ, 6%-ით ვერ გაიზრდება...

ნოდარ ხადური თავდაპირველად არც ვალის აღების ფაქტს ადასტურებდა, შემდეგ კი, როცა ბიუჯეტი უკვე პარლამენტში დასამტკიცებლად შევიდა, განმარტა:

– საქართველო იღებს ვალს მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, ანუ ეს არ არის ვალი ვალისთვის, ეს არის ვალი, რომელიც გააუმჯობესებს საქართველოს ინფრასტრუქტურას და მომავალში ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას...

სანამ ეკონომიკური ზრდა ქვემოთ მიექანებოდა და ბიუჯეტი მილიარდით ირღვეოდა, ფინანსთა მინისტრმა „რუსთავი 2"-ისთვისაც მოიცალა. ის ნიკა გვარამიას დაკავებას გამოეხმაურა, ჟურნალისტებს ამ თემის გამოძიება დაავალა და ისიც აღნიშნა, რომ გვარამიას დაკავება ტელეკომპანიაში მუშაობის პერიოდს არ უკავშირდება.

– ჰკითხეთ „რუსთავი 2"-ის ფინანსურ დირექტორს, რატომ არ იხდიდა არხი გადასახადებს. უნდა დაინტერესდეთ ამ თემით, იმიტომ რომ ერთი თვეა ამ თემაზე ვსაუბრობ", – განაცხადა ხადურმა... ბატონი გვარამია ქრთამს რაზე იღებდა და აძლევდა, იცით? – საგადასახადო შეთანხმებაზე. მსგავსი საგადასახადო შეთანხმება, მათ შორის 24 მილიონ ლარზე, გაფორმებულია „რუსთავი 2"-თან... არ სჭირდება შემოწმება იმას, რაც გვარამიამ ან ხეთაგურმა ქრთამით თუ უქრთამოდ გააკეთეს. ეს უკვე გააკეთეს, მთავრობის დადგენილებაც არსებობს ამაზე. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს ვაპატიოთ 24 მლნ ლარი და ტელეკომპანია „კავკასია" დავაჯარიმოთ 2,50 ლარისთვის.

მოკლედ, გასაგები მიზეზების გამო, პენსიები, ხელფასები, ბიუჯეტი და ეკონომიკა ყოველთვის აქტუალურია – ხადური ყველაზე ხმაურიან მინისტრებს შორის მოხვდა.

ირაკლი ალასანია სიმპათიურია, თანაც მამაკაცური. თუმცა, როცა მინისტრი ხარ და არა მოდელი, შენს ღიმილიან სახესა და სექსუალურ ხალს არავინ უყურებს. ყველას აინტერესებს ის, რაც სამინისტროში ხდება.

თავდაცვის სამინისტროში კი ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები ბრაზილიური სერიალივით დაიწყო და აღარ დასრულდა.

ამ ფაქტმა ლამის ალასანიას იმიჯიც გადაიყოლა. სამინისტროში ჯერ მოწამვლის ფაქტს უარყოფდნენ შემდეგ საერთოდ თქვეს, რომ ფაღარათი კი არა, დიარეა აქვთო. სოციალურ ქსელებსაც მეტი რა უნდოდა. ერთი ამბავი ატყდა, ალასანიამ, ეტყობა, არ იცის, რომ ფაღარათი და დიარეა ორივე კუჭის აშლილობას ნიშნავსო.

დავა ციფრებზე დაიწყო. სამინისტრო ოფიციალურად აცხადებდა, რომ მოწამლულია 13 ჯარისკაცი, არასამთავრობოები გაცილებით მეტ ციფრს ასახელებდნენ.

მოწამვლის ფაქტები დაფიქსირდა მე-2 და მე-3 ბრიგადაში. მოგვიანებით, ეს ფაქტი მე-4 ბრიგადაშიც განმეორდა.

ალასანიას მოუნია, ეღიარებინა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი, თუმცა, რაოდენობაზე მაინც ცივი უარი განაცხადა, – ტყუილია, რომ ათასობით ჯარისკაცია მოწამლული, მხოლოდ 11-ს დაუდგინდა მსუბუქი დიარეაო:

– ბოლო მონაცემებით, 11 სამხედრო გადის შემოწმების სტადიას, რათა დადგინდეს, რამ გამოიწვია მათი მოწამვლა. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევას ფართომასშტაბიანი ხასიათი არ მიუღია, მივიღე გადაწყვეტილება და თანამდებობიდან გადავაყენე პირი, რომელიც ჩვენი სამხედროების კვების უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი... მთლიანად შეიცვლება „ქართული კვების კომპანიის" მენეჯმენტი, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების კვებას. ჩემთვის და მთელი თავდაცვის სამინისტროსთვის, ჯარისკაცის კვებით უზრუნველყოფა იგივეა, რაც საკუთარ ოჯახში საკუთარი შვილი უზრუნველვყო საკვებით. აქედან გამომდინარე, ეს უმთავრესი პრიორიტეტია და შესაბამისი გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია... ყველა, ვინც თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება, სრული სიმკაცრით დაისჯება. თუკი გამოძიების დასრულების შემდეგ დამნაშავეები გამოიკვეთება, მივიღებ უმკაცრეს ზომებს და ყველას თავი დაგორდება, ვინც ვერ იაზრებს, რა პასუხისმგებლობაა, როცა შენ ჯარის კვება და ჯარის მომსახურება გაბარია...

ამ საქმეს ირაკლი ალასანიამ თავი რომ ვერ მოაბა, საქმე გამოსაძიებლად პროკურატურამ წაიღო. თუმცა, ამას ალასანიასთვის ხელი არ შეუშლია, ღარიბაშვილისთვის ორჯერ ღიად შეეთვალა: თუ ჯიჰადის კადრებს ვერ იძიებთ, მე გამოვიძიებო.

მაშინ ერთ ხმაში აგუგუნდა მთელი სოცქსელები: არ გინდა, ჯერ შენს უწყებაში გამოიძიო დარღვევებიო? საქმე ხომ მხოლოდ მოწამვლას არ ეხებოდა.

ალასანიას უწყებაში გაცილებით მნიშვნელოვანი შემთხვევები დაფიქსირდა. მაგალითად: „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ინფორმაციით, თელავში, სამხედრო ბაზაზე 22 წლის ჯარისკაცმა არკადი იმერლიშვილმა თავი მოიკლა. გამოცემის ცნობით, თვითმკვლელობის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. თავდაცვის სამინისტროში კი მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ.

ქართველმა ჯარისკაცმა თავი ერაყშიც მოიკლა: მე-3 ქვეითი ბრიგადის კაპრალმა ზურაბ ჩიგოშვილმა ერაყში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს ინფორმაცია 2 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა. ინციდენტი 30 სექტემბერს ქალაქ ალ-კუტში მოხდა, სადაც ქართული კონტინგენტია განთავსებული.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაზე ირაკლი ალასანიას არც წლის ბოლოს გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე უსაუბრია...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია ხუხაშვილის ინტრიგები გაიხსნა?

რატომ დაუხურა კარი ხუხაშვილს ბიძინა ივანიშვილმა

EXCLUSIVE

ერეკლე სტურუა

გია ხუხაშვილი შეიძლება ყველაზე სკანდალურ ფიგურად მოინათლოს. ის წლების განმავლობაში აკეთებდა პოლიტიკაში ფულს. ასე იყო ბადრი პატარკაციშვილის დროს და შემდეგ ბიძინა ივანიშვილის კარზეც. მისი პოზაც და პოზიციაც, ერთი შეხედვით, მარტივი იყო. პოზა – ოპოზიცია, პოზიცია – თანამდებობა, რომელიც ხუხაშვილს პირდაპირ პასუხისმგებლობას არაფერზე აკისრებს, თუმცა ყველგან და ყველაფერში ჩარევის უფლებას უტოვებს.

ბადრი პატარკაციშვილის ტრაგიკული ისტორიიდანაც ის, როგორც იტყვიან, მშრალი გამოვიდა. დიდი ალბათობით, ბადრი მას სოლიდურ თანხებს უხდიდა, ისევე როგორც სხვა დანარჩენებს; პატარკაციშვილის კარზე მოღალატის იარლიყი თითქმის ყველას ააკრეს, ხუხაშვილის გარდა.

ბიძინა ივანიშვილთანაც უჩინმაჩინის როლში მოკალათდა – თითქოს არსად იყო, თუმცა მის „კომპეტენტურ“ აზრს ყოველთვის და ყველგან შეეჩეხებოდით. ხუხაშვილი ამბობდა, რომ ის ექსპერტი იყო, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუებსაც ხშირად ესწრებოდა, თუმცა გაუგებარია, რა სტატუსით. მოგვიანებით კი გამოაცხადა: მე სამართლიანობისთვის ვიბრძოდი და იმის ნიშნად, რომ სხვა არაფერი მაინტერესებს, ხალხის კეთილდღეობის გარდა, ხელისუფლებაში მონაწილეობას არ მივიღებ, სამოქალაქო სექტორში გადავდივარო. გადავიდა კიდეც. თუმცა, შემდეგ კულისებში სერიოზული სკანდალი გასკდა და ინფორმაციებმა გარეთაც გამოჟონა. როგორც აღმოჩნდა, ხუხაშვილმა ჩრდილში ყოფნა შემთხვევით არ არჩია. მსხვილი ბიზნესების გადაბარების პროცესს ჩაუდგა სათავეში, „პიქსელის“ ოფისში ბიზნესმენებს იბარებდა, როგორც ითქვა, „აღსარებაზე“. ვითომ ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლი ხუხაშვილი, როგორც ირკვევა, საინტერესო ბიზნესპროექტების ხელში ჩასაგდებად მუშაობდა.

კვერცხების თემა პირველი სკანდალი იყო. ექსპერტებმა მაშინვე თქვეს, რომ კვერცხის ბიზნესს უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე ნარკოტიკების. და ეს სრულებითაც არ არის გადაჭარბებული შეფასება. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ამას მოჰყვა „იმედისა“ და პატარკაციშვილების ოჯახის თემა, ფინანსური სქემები, რომელსაც, როგორც მედიაში წერენ, ხუხაშვილი სხვებთან ერთად აწყობდა დიდი ფულის „მოსაღუნად“ და კიდევ ის ჩადგა ერთგვარი ცენზორის როლშიც. განაცხადა, რომ მედიაბაზარზე მხოლოდ 3 ტელეარხი უნდა დარჩეს და სხვები დაიხუროს, რომ ვანო ჯავახიშვილის იუმორი პროვინციულია და ასე შემდეგ.

ანუ, რომ შევაჯამოთ, ეგრეთწოდებულ სამოქალაქო სექტორს ამოფარებული გია ხუხაშვილი ფინანსურ სქემებსაც აწყობდა, „იმედის“ პოლიტიკასაც განსაზღვრავდა, პატარკაციშვილსა და ჩხარტიშვილს შორისაც შუამავლობდა და ცენზორის როლშიც ჩადგა. ანუ ის შეეცადა, ფინანსური წყაროები და მედიასაშუალებები ჩაეგდო ხელში.

ხუხაშვილი ხშირად ყვება ხოლმე საკუთარ გმირულ წარსულზე. როგორ ებრძოდა ის წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებას. საინტერესოა, რომ იგივე ბადრი პატარკაციშვილის დროს მაშინდელ ხელისუფლებას თითქმის დეტალური ინფორმაციები ჰქონდა ოპოზიციის კულისებზე, იმაზე, თუ ვინ ვის შეხვდა, რა თემაზე ან რა გეგმების თაობაზე.

მაშინ თითქმის ყველა მოხვდა ეჭვქვეშ, ხუხაშვილის გარდა. ამასაც ხომ ოსტატობა უნდა. ვითომ ტანჯული და სამართლიანობისთვის მებრძოლი ხუხაშვილი რეალურად ყოველთვის მისი ამ „ბრძოლის“ თითოეულ საფეხურზე საკმაოდ მდიდრულად და კომფორტულად ცხოვრობდა. ის „სოკარში“ მუშაობდა და, შესაბამისად, სოლიდურ გასამრჯელოსაც მიიღებდა. რასაც ვერ ვიტყვით სხვა ზოგიერთ იმ ოპოზიციონერზე, ვინც მაშინ მიტინგებსა თუ სხვა სახის საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა.

თუმცა მთავარია, რატომ გადაწყვიტა მან სიმართლისთვის ბრძოლა, როდის შეაწუხა უსამართლობამ. საინტერესოა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ის მაშინ დაუპირისპირდა, როცა ხუხაშვილს დავით ონოფრიშვილმა კორუფციული ფინანსური სქემის აწყობის საშუალება არ მისცა რკინიგზაში. მაშინ ხუხაშვილი სამსახურიდან დაითხოვეს, ონოფრიშვილს მან უმძიმესი ბრალდებები წაუყენა, თუმცა შემდეგ, როცა „ქართულ ოცნებაში“ ისინი გვერდიგვერდ მოხვდნენ, ხუხაშვილს ხმაც არ ამოუღია.

> **„მოღალატის იარლიყი მან მალევე დაიმსახურა, კულისებში ხუხაშვილის ნაციონალებთან კავშირებზეც ალაპარაკდნენ“**

როგორც ჩანს, დიდ ექსპერტს კულისებში ყოფნა თავმდაბლობის გამო კი არ უყვარს, როგორც თავად ასაღებს ამას, არამედ იმისთვის, რომ ფინანსური სქემები ააწყოს და მუდმივი ფინანსური წყაროები შექმნას.

არის ლოგიკა იმ ადამიანების არგუმენტებში, რომლებიც კითხულობენ: თუ ხუხაშვილი სააკაშვილთან არ იყო შეკრული, როგორ ჰქონდა მას ისეთი პრივილეგია, როგორიც „სოკარში“ მაღალანაზღაურებად პოზიციაზე მუშაობაა? როგორ არ დაბლოკა ის სააკაშვილმა? მაშინდელი პრეზიდენტი ხომ შანსს არ უშვებდა, მისთვის მიუღებელი ფიგურები დაებლოკა?

მოკლედ, ხუხაშვილი იყო იქ, სადაც ფულის სუნი ტრიალებდა. ვერტიკალშიც ფულთან ახლოს იდგა, ოპოზიციაშიც და შემდეგ სამოქალაქო სექტორსაც ამ მიზნებით იყენებდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციები ასეთი დასკვნის საშუალებას ნამდვილად იძლევა. თუმცა, თავად ხუხაშვილი ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ ბინძური კამპანია აგორდა.

მართალია, ბადრი პატარკაციშვილის კარზე ის მოღალატის სტატუსს გადაურჩა, მაგრამ შესაძლოა, მან ეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტრიგებით მოახერხა – ბადრისთან საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა იმისთვის, რომ ბრალდების სიმძიმე სხვებზე გადაენაწილებინა – თუმცა, ბიძინა ივანიშვილთან ასეთი ტაქტიკა უკვე აღარ გაუვიდა. მოღალატის იარლიყი მან მალევე დაიმსახურა, კულისებში ხუხაშვილის ნაციონალებთან კავშირებზეც ალაპარაკდნენ. სხვათა შორის, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინ იყო მსჯელობები, საიდან იგებდა სააკაშვილი, რა ხდებოდა ივანიშვილის კარზე. ისეთი შეხვედრებიდანაც კი ჟონავდა ინფორმაცია, რომელსაც რამდენიმე კაცი ესწრებოდა ხოლმე, მათ შორის ხუხაშვილიც. ბოლოს ბევრი რამ ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიებს დაჰბრალდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ალიბის გამოყენება ხუხაშვილმა ვერ შეძლო.

მითია თუ რეალობა? ახლა ამაზე დავას მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ჩანს, საკუთარ სამართლიანობაში ხუხაშვილმა ვერც ბიძინა ვანიშვილის დარწმუნება ვერ შეძლო, ამიტომაც ბიძინა ივანიშვილის შუშებიანი სასახლიდან მან ჯერ დავით კეზერაშვილის ფინანსურ იმპერიაში გადაინაცვლა, მის ხელში ჩასაგდებად, ახლა კი კვლავ „სოკარს“ დაუბრუნდა. როგორც ჩანს, მასშტაბში ვერ გაქაჩა. იმპერია რომ ააშენო, ამას კიდევ სხვა რამ სჭირდება, უფრო მეტი ჭკუა, ვიდრე მხოლოდ ინტრიგები...

ასეა თუ ისე, ხუხაშვილს თავმდაბალი ბიჭის როლის თამაში არ გამოუვიდა. ერთხელ თქვა: აი, ხედავთ, მე სულ ჯინსებითა და ბოტასებით ვივლი იმის ნიშნად, რომ სხვა არავითარი ინტერესი არ გამაჩნიაო. თუმცა, გაუგებარია, როდის უშლიდა ბოტასები ხელს ფულის კეთებას და რატომ იყო ბოტასი ხუხაშვილის ალიბი.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია – ფინანსური იმპერატორი გია ხუხაშვილისგან ვერ გამოვიდა, ვერც სამართლიანობისთვის მებრძოლის იმიჯი მოირგო და როგორც ჩანს, ვერც სერიოზულ ფიგურად ჩამოყალიბდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურორი გრიგალაშვილის საქმ

my View

მირიან გოქოლიშვილი

სულხან მოლაშვილი

„მან თერმული დაზიანებები თავად მიიყენა და გააპიარა ისე, რომ თითქოს ვილაცამ აწამა“

რამდენიმე დღის წინ კონტროლის პალატის ყოფილმა ხელმძღვანელმა სააგენტო „პირველს“ სკანდალური ინტერვიუ მისცა და ციხეში ყოფნის პერიოდში მის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში უშუალოდ გიგა ბოკერია დაადანაშაულა. კორუფციულ ბრალდებაში მხილებული შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსანი ინტერვიუში კიდევ ერთ გვარს ასახელებს და მას იგივე ბრალდებებს უყენებს. ეს არის ქალაქის მაშინდელი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი.

„მერე კი, როცა ჩემი წამება დაიწყეს, რიგით თანამშრომლებთან ერთად ჩემს წამებაში ცნობილი სახეები და თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ – ვალერი გრიგალაშვილი და გიგა ბოკერია. პირდაპირ ვადებ ხელს, რომ ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ ჩემს წამებაში. გიგა ბოკერია კი არ ესწრებოდა, მონაწილეობდა, უშუალოდ მონაწილეობდა ჩემს წამებაში. მივმართავ სამართალდამცველ სტრუქტურებს, დაიწყოს გამოძიება და დაიკითხონ ბოკერია და გრიგალაშვილი. მე, როგორც ერთ-ერთი თანამებრძოლი დღევანდელი ხელისუფლებისა და ერთ-ერთი გულშემატკივარი, დღენიადაგ ვიმედოვნებდი და ვიმედოვნებ, რომ აუცილებლად დაიწყებენ ასეთი საქმეების გამოძიებას. თუ ამას არ გააკეთებენ, მაშინ ეს ხელისუფლება იქნება განწირული მარცხისთვის მომავალ არჩევნებზე“, – აცხადებს ინტერვიუში სულხან მოლაშვილი.

რას პასუხობს კონტროლის პალატის ექსშეფის ბრალდებებს ვალერი გრიგალაშვილი, რომელიც ამჟამადაც მოქმედი პროკურორია? ამ თემაზე ჩვენ მას პირადად დავუკავშირდით, თუმცა სანამ მის მოსაზრებებს გაგაცნობთ, გეტყვით იმასაც, რომ სულხან მოლაშვილი შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსნებს შორის ერთადერთი არაა, რომელიც გრიგალაშვილს ადებს ხელს. მის მიმართ პრეტენზიები აქვს შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორ, ლევან მამალაძესაც, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რას ყვება პროკურორი სულხან მოლაშვილის საქმეზე.

ვალერი გრიგალაშვილი, პროკურორი:

– არასწორი ინფორმაციაა, თითქოს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღიძრა საქმე სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ. როდესაც კონკრეტულ საქმეს ვიძიებდით, აღმოვაჩინეთ ორი აქტი. ერთი ეხებოდა იმას, რამდენად დიდი დავალიანება ჰქონდა სახელმწიფოს მიმართ ორგანიზაციას, და მეორე ზუსტად ანალოგიური აქტი, მხ-

ოლოდ ბოლო გვერდია შეცვლილი და ყველანაირი დავალიანება განულებული. ცხადია, ამაზე დავიწყეთ გამოძიება. ეს ადამიანი წინასწარ ემზადებოდა, რომ დავაკავებდით, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თვითონ გამოცხადდა პროკურატურაში. ამხელა საქმე იყო აღძრული, საკმაოდ დიდ თანხებზე იყო საუბარი და უკან ხომ არ გავუშვებდით ქალაქის პროკურატურიდან. დავაკავეთ და განვათავსეთ ე.წ. კაპეზეში. ეს ადამიანი შინაგანად იმდენად მომზადებული იყო, რომ წინასწარ გათვალა ყველაფერი. მან პირდაპირ მითხრა, რომ გავიკითხ-გამოვიკითხე თერმული დამწვრობის შესახებ ინფორმაციებიო.

– ანუ თვითდაზიანება მიიყენა?

– გამოძიებას ჰქონდა ორი ვერსია. „კაპეზეში“ ფიზიკურად ვერავინ აწამებდა. დაკითხულია ყველა, დადგენილია, რომ ის არავის არ გამოუყვანია. ერთი ვერსიით, მან ეს დაზიანება სიგარეტით მიიყენა, ამაზე მუშაობდა გამოძიება. მაგრამ მეორე და ყველაზე სარწმუნო ვერსიით, რაც თავად მოლაშვილისგანაც მოვისმინე, არის თერმული დაზიანება. ჩვენ დავათვალიერეთ აბანო, სადაც იბანდნენ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები. სავარაუდოდ, ის შეგნებულად მიეყუდა ცხელ „ვინტილს“ ზურგით. სხვათა შორის, იგივე მეთოდით მიიყენა თვითდაზიანებები ბუშის ტერაქტში ბრალდებულმა არუთინიანმა. ძირითადად ეს ორი ვერსია იყო.

– ფოტოების გადაღება როგორღა მოახერხა?

– ეს დაზიანებები მორჩენილი ჰქონდა, ამის შემდეგ მასთან ყოველ მეორე დღეს შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხოური ორგანიზაციებიც და გააპიარა ისე, რომ თითქოს ვილაცამ აწამა. პრაქტიკულად სახალხო დამცველის წარმომადგენლები მასთან ერთად იჯდნენ საკანში. მაშინ იქნა სწორედ ეს ფოტოები გადაღებული და გავრცელებული ისე, რომ თითქოს სულხან მოლაშვილი ციხეში სასტიკად აწამეს. ის კარგი იურისტია და თავისი პიარით გადაფარა ის ბრალდება, რაც წარვუდგინეთ და რაც უნდა წარდგენოდა კიდევ. დარწმუნებული ვარ, რომ ის არავის უწამებია, მაგრამ დღეს არავინ საუბრობს იმაზე, რა დანაშაულებში ედებოდა ბრალი, საუბარია მის ვითომ წამებაზე. ნამდვილად კარგად გათვალა. იყო ის ვერსიაც, რომ ფულის გამოძალვის მიზნით შიგნით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფმა პატიმრებმა მიაყენეს რაღაც დაზიანება. მოგეხსენებათ, მაშინ რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და ქურდები ციხეებს კვლავაც აკონტროლებდნენ. როდესაც ფულიანი პატიმარი შედიოდა ციხეში, ის იბარებდა და ახდენდა ფულის გამოძალვას. მაგრამ სიმართლე გითხრა, პირადად მე არ მჯერა, რომ ის ვინმემ აწამა. მით უმეტეს, ქალაქის პროკურორი რატომ გაისვრიდა ხელს მაგ ნაძირალაზე?! ხან ამბობს, რომ მე და ბოკერიამ ვაწამეთ, ადრე ადეიშვილს ასახელებდა, შარშან 28 სექტემბერს თქვა ეს. მანამდე ოქრუაშვილზე ამბობდა, ოქრუაშვილი ადეიშვილმა შეცვალა. ერთი სიტყვით, ეს კაცი ამტკიცებს, მაწამესო და პერიოდულად ცვლის ფიგურანტებს, ვინც „აწამა“, იმის მიხედვით, კონკრეტულ მომენტში ვის ვერ იტანს.

– რამდენ მილიონს ედავებოდით მაშინ მოლაშვილს?

– ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რატომღაც მან გააპიარა, თითქოს პრემიების დარიგების გამო დავიჭირეთ. ეს არის სრული სიცრუე. არავითარ პრემიებზე ის არ ყოფილა დაკავებუ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალაშვილი სულხან ეზე ალაპარაკდა

ლი. სინამდვილეში საუბარი იყო იმაზე, რომ, როდესაც კონტროლის პალატის მუშაკები შემოწმებას აწარმოებდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტში დარიცხული თანხების 30 პროცენტს იღებდნენ თავად. შემოწმებას უშვებდა რომელიმე წარმოებაში, აჯარიმებდა გარკვეული თანხით, რომლის 30 პროცენტს თავად იდებდა ჯიბეში. მაგალითად, ახლა რაც მახსენდება, შემოწმდა კოჯრის ბავშვთა სახლი, დააკისრეს 1000-ლარიანი ჯარიმა, აქედან 300 ლარი მოხსნა და წამოიღო კონტროლის პალატის ანგარიშზე. ეს მიზერული თანხაა, მაგრამ ასეთი რამ ხდებოდა ტოტალურად, სხვა დაწესებულებებთან მიმართებაში. საბოლოო ჯამში, დაახლოებით 3 მილიონ ლარამდე იყო საუბარი. ამ თანხებს სულხან მოლაშვილი ერთპიროვნულად განკარგავდა. იქით რომ მიეცა თანხა ბავშვთა სახლისთვის, პირიქით, წაართვა. ამ თანხებიდან ბიუჯეტში ერთი თეთრიც კი არ არის შესული. დღეს რა ხდება? სამწუხაროდ, პროკურორის ბედი ასეთია. როცა ებრძვი დიდი ფულის მქონე ადამიანს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაჯობებს. ჩვენი საზოგადოების მართლშეგნება ასეთია, რაკი ვიღაც დაიჭირა პროკურორმა, ესე იგი ის არის ცუდი, იმაზე აღარავინ ფიქრობს, რაზე დაიჭირეს, რა ბრალდება წარედგინა და რა დანაშაულებს სჩადიოდა. ამ წუთში მოლაშვილის მთავარი მიზანია, მოახსნევინოს პროკურორი თანამდებობიდან, რომელმაც მას ბრალი წაუყენა. რატომ მუშაობს გრიგალაშვილი კვლავ თანამდებობაზეო? ესაა მისი მთავარი კითხვა. ღმერთმა კარგად ამყოფოს მოლაშვილი, მაგრამ საფრანგეთში ცხოვრობს მშვენივრად, სახლიც აქვს, კარიც აქვს და როცა მოესურვება, გაფრინდება და გამოფრინდება. მე მაგალითად, ჩემთან ბორჯომში ვერ ჩავდივარ, იმიტომ რომ ბენზინის ფული არ მქონია ხშირად. როდესაც დიდი ფული აქვს ადამიანს, პროკურორი უძლურია, მაგრამ მას უნდა იცავდეს თავისი სისტემა. სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება.

– ანუ დღეს თქვენ თავს დაუცველად გრძნობთ?

– არ ვიცი, ვნახოთ. კბილაშვილი-ნაცვლიშვილის დროს ჩემ მიმართ რაიმე საუბარი არ ყოფილა. იგივე ლევან მამალაძემ აღიარა, რომ მან სთხოვა კბილაშვილს ჩემი განთავისუფლება, მისი ადვოკატი ყოფილა თავის დროზე სამოქალაქო კუთხით. კბილაშვილი პატიოსანი კაცია და იცის, ვინ რას წარმოადგენს. რაკიღა მასთან ჰქონდათ მცდელობა, ალბათ, ასეთივე მცდელობა იქნებოდა პროკურატურის ახალ ხელმძღვანელობასთან მიმართებაშიც. ალბათ, ეს ოდიოზური ფიგურები, ადრე თუ გვიან, მიაღწევენ საწადელს, რადგან მათ უკან მართლაც დგას სერიოზული ფინანსები. სავარაუდოდ, დიდხანს, ალბათ, აღარ მომიწევს პროკურატურაში მუშაობა.

სულხან მოლაშვილის გარდა, ვალერი გრიგალაშვილს ადანაშაულებს შევარდნაძის მთავრობის კიდევ ერთი ოდიოზური ფიგურა ლევან მამალაძეც. მეტიც, ის არათუ მისი საქმის გადახედვას, არამედ პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭებასაც ითხოვს. ლევან მამალაძისა და მასთან ერთად გასამართლებული რუსთავის საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსის, ზაზა კოკაიას საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით განცხადება მთავარ პროკურატურაში ჯერ კიდევ არჩილ კბილაშვილის დროს შევიდა. განცხადების ავტორი ზაზა კოკაიას პირადი მძღოლი, კობა ბექაურია. ბექაური, რომელმაც თავის დროზე მამალაძე-კოკაიას წინააღმდეგ მისცა ჩვენება, დღეს აცხადებს, რომ ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი და რუსთავის საგადასახადოს ექსშეფი უდანაშაულოები არიან და წლების წინათ მან ჩვენება ზეწოლის შედეგად მისცა. ზეწოლაში კი კობა ბექაური უშუალოდ ვალერი გრიგალაშვილს ადანაშაულებს. ბექაური ყვება, რომ ვალერი გრიგალაშვილი მას, სასურველი ჩვენების მიღების მიზნით, გაუპატიურებითაც კი ემუქრებოდა. „პრაიმტაიმი“ შეეცადა, კობა ბექაურის ჩვენების შეცვლის რეალური მიზეზი დაედგინა.

ლევან მამალაძე

„ეს ოდიოზური ფიგურები, ადრე თუ გვიან, მიაღწევენ საწადელს, რადგან მათ უკან მართლაც დგას სერიოზული ფინანსები“

„მამალაძე თუ არა, მოლაშვილი თუ არა, ვინ უნდა მიგვეცა პასუხისგებაში? რატომ იყო ჩვენი ქვეყანა მაშინ ჩაბნელებული და გაუბედურებული?“

კობა ბექაური:

– როდესაც ქალაქის მთავარ სამმართველოში მიმიყვანეს, შემიყვანეს ოთახში, სადაც ვალერი გრიგალაშვილი იმყოფებოდა. იქ გრიგალაშვილმა დამიწყო სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყვირილი, გინება... დამემუქრა, ყველაფერს იტყვიო. დამემუქრა, სარდაფში ჩაგიყვანთ და იქ გაგაუპატიურებენო. პირადად ვალერი გრიგალაშვილი მემუქრებოდა გაუპატიურებით. გამოიძახა ორი ახმახი თანამშრომელი და ჩემს თვალწინ უთხრა, „პადვალში“ ჩაიყვანეთ და მიხედეთო. საბედნიეროდ, იქ არ ჩავუყვანივარ, ამიყვანეს ერთი სართულით ზევით, სადაც ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს, მაგინებდნენ და მირტყამდნენ. ოთახიდან ოთახში, ზევიდან ქვევით დავყავდი და თან შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ადვოკატთან გასაუბრების საშუალებაც არ მომცეს. რაც უნდოდათ, დაბეჭდეს და მე ხელი მოვაწერე, ოღონდაც იქიდან გამოვსულიყავი. გამოვედი სამმართველოდან, ტელევიზიებს აჩვენეს, რომ გამათავისუფლეს, კამერებმა რომ დააფიქსირა ეს ყველაფერი, ისევ გრიგალაშვილთან შემაბრუნეს, უკვე ადვოკატთან ერთად.

მამალაძის საქმის შესაძლო გადახედვაზე და პროკურორ გრიგალაშვილის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე „პრაიმტაიმი“ ერთხელ უკვე წერდა. მაშინ ჩვენ ამ საქმეზეც ვესაუბრეთ გრიგალაშვილს, რომელმაც კობა ბექაურის ბრალდებებს სისულელე უწოდა და აღნიშნა, რომ დღეს გაუპატიურებაზე საუბარი მოდაში შემოვიდა.

ვალერი გრიგალაშვილი, პროკურორი:

– ლევან მამალაძე ჩემს დროს მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. რა ტყუილებსაც ამბობს ახლა ის, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯეროთ. ის თავის დროზე ძალიან სამართლიანად მიეცა პასუხისგებაში, იმის გამო, რომ უზარმაზარი სახელმწიფო მიწები ჰქონდა გაყიდული, წილში იჯდა ქარხნებში, ფაქტობრივად, ცხოვრება შეუძლებელი გახადა საქართველოში, არ იყო შუქი, არ იყო გაზი. ხომ გახსოვთ, რა დრო იყო, არა? ეს ყველაფერი მამალაძისა და მისი კლანის დამსახურება გახლდათ. მე მაშინ ქალაქის პროკურორი ვიყავი.

– მამალაძის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ვინმე კობა ბექაური, დღეს ჩვენებას ცვლის და ამბობს, რომ თავის დროზე ყოფილ გუბერნატორსა და რუსთავის საგადასახადოს უფროსზე ჩვენება ზეწოლის შედეგად მისცა... ის ამბობს, ვალერი გრიგალაშვილი გაუპატიურებითაც კი მემუქრებოდაო...

– ეს გაუპატიურების თემა მოდაში შემოვიდა რაღაც. სინამდვილეში ეს ბექაური თვალით არ მყავს ნანახი. მე არ ვიძიებდი მაგ საქმეს, მე უბრალოდ ქალაქის პროკურორი ვიყავი. მერე ეს საქმე რესპუბლიკის პროკურატურამ წაიღო და სასამართლოშიც იმათ გაიტანეს. თუმცა, რამდენადაც ვიცი, ეს ბექაური სასამართლოზე გამოვიდა და მამაო ჩვენოსავით ჩამოაყალიბა ის ჩვენებები, რაც წინასწარი გამოძიების დროს მისცა. სასამართლოში ვინ ემუქრებოდა ცემითა და გაუპატიურებით? რა რჯიდა, თუ უდანაშაულო და პატიოსანი კაცის, ლევან მამალაძის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას? როგორ თქვა, როგორ გამაუპატიურაო? ცოცხი შემტენაო, თუ როგორო? რეალობა არის ის, რომ ლევან მამალაძემ საქართველოდან დიდძალი ქონება გაზიდა, ის არის საკმაოდ შეძლებული პიროვნება და ცხადია, მოწმის გადაბრუნება შეუძლია. მას შეუძლია, მოწმეს ჩვენებაც შეაცვლევინოს და სხვა ათასი საზიზღრობაც ათქმევინოს. ძალიან სამწუხაროა ეს, მაგრამ არა მგონია, საქართველოში არსებობდეს თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც მამალაძის დაგეგმილ ამ სისულელეებს დაიჯერებს... შეგიძლიათ, გააჩეროთ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და ის გიპასუხებთ, როგორი პოლიტიკური დევნილიცაა ლევან მამალაძე. აბა, მამალაძე თუ არა, მოლაშვილი თუ არა, ვინ უნდა მიგვეცა პასუხისგებაში? რატომ იყო ჩვენი ქვეყანა მაშინ ჩაბნელებული და გაუბედურებული? როდესაც ლევან მამალაძე, ქრთამის სახით, ათეულ ათასობით ლარს იღებდა, ხალხი ისეთი გაჭირვებული იყო, მაღალსართულიანი კორპუსებიდან ხტებოდა და თავს იკლავდა. რატომ, იცით? მათნაირები სახელმწიფო ბიუჯეტს რომ ატყავებდნენ და ხალხს საარსებო საშუალება არ ჰქონდა. მამალაძემ აქ სახელმწიფოს ხარჯზე ფულები აკეთა, მერე რუსეთში წავიდა, იქ მიამატა ქონება და ახლა ჩამოდის და გრიგალაშვილს უყენებს პრეტენზიებს, – უკანონოდ დამიჭირაო! მე ეგ დამსახურებულად მივეცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში და პირდაპირ გეტყვით, კიდევ რომ განმეორდეს იგივე სიტუაცია, კვლავ მივცემ პასუხისგებაში.

დაიწყება თუ არა გამოძიება სულხან მოლაშვილის, ან თუნდაც ლევან მამალაძის საქმეზე და გაუშვებენ თუ არა ვალერი გრიგალაშვილს პროკურატურიდან, ეს, ალბათ, მალე გაირკვევა, თუმცა ამ ფონზე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსნები ნამდვილად არ ყოფილან ანგელოზები. თუკი მათი უფლებები დაირღვა, ცხადია, ეს გამოძიების საგანია, მაგრამ ფაქტია, რომ კორუფციულ სკანდალში გახვეულ ექსჩინოსნებს ეს ვერ გაათეთრებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილს ბ

EXCLUSIVE

ია ანთაძე: „პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ კანონი არ დარღვეულა, თუმცა იურისტები ამბობენ, რომ კანონი დაირღვა“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

დავით უსუფაშვილს, შეიძლება ითქვას, სერიოზული ბრალდებები წაუყენეს. მას ბრალად ედება იმ პროცესის ჩაშლა, რომელსაც თვეების განმავლობაში თავადვე ედგა სათავეში და კოორდინაციას უწევდა. საუბარია საზოგადოებრივ მაუწყებელზე. პარლამენტმა რესპუბლიკელების ლობით ჯერ კანონი მიიღო და ის კრიტერიუმები დაადგინა, რის მიხედვითაც მაუწყებელში სამეურვეო საბჭოს წევრები უნდა აერჩიათ, შემდეგ კი შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული 27 კანდიდატიდან 9 წევრის შერჩევა და დამტკიცება ვერ მოახერხა.

საპარლამენტო უმრავლესობას წარდგენილი სიიდან სამი კანდიდატურის შერჩევის უფლება ჰქონდა, თუმცა, მხოლოდ ერთი გამოიყენა და საბჭოს წევრად ნათელა სახოკია დაასახელა. დანარჩენ ორ ვაკანსიაზე, როგორც ითქვა, კონსულტაციები გაგრძელდება. სამი კანდიდატურის შერჩევის უფლება ჰქონდა უმცირესობასაც, მათ მხოლოდ ორი დაასახელეს – ნინია კაკაბაძე და ქეთევან მსხილაძე.

ინფორმაციისთვის: მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო 9 წევრისგან უნდა დაკომპლექტდეს. საბჭოს წევრობის 3 კანდიდატს საპარლამენტო უმრავლესობა ირჩევს, 3 კანდიდატს – უმცირესობა, 2-ს – სახალხო დამცველი და 1-ს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო...

27-კაციანი სია პარლამენტს კომისიამ წარუდგინა. კომისიის წევრებს შორის იყვნენ: ია ანთაძე, ნინო ბექიშვილი, ზვიად დევდარიანი, ნათია კაპანაძე, ნათია კუპრაშვილი, არნოლდ სტეფანიანი, ზვიად ქორიძე, ზაზა შათირიშვილი და თამაზ ჯოლოგუა.

კომისიის წევრებმა სკანდალური განცხადებები მას შემდეგ გააკეთეს, რაც პარლამენტმა საბჭოს წევრების დაკომპლექტება ვერ შეძლო. რატომ ჩავარდა ეს პროცესი? რატომ დაარღვია პარლამენტმა მისივე მიღებული კანონები?

ია ანთაძის მინიშნებით ამ სკანდალს შესაძლოა, უმრავლესობაც გადაჰყვეს. ღიად ია უკვე არაფერს შიფრავს, თუმცა, როგორც ჩანს, კულუარულად მან ზუსტად იცის, რა პროცესები მიმდინარეობს კულისებში. ამბობს, რომ, ადრე თუ გვიან, კოალიცია ორად გაიყოფა.

ია ანთაძე, კომისიის წევრი, მედიაექსპერტი:

– ცვლილებები მაუწყებლის შესახებ კანონში თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ პარლამენტში იყო პოლიტიკური ნება იმისა, რომ მაუწყებლის დეპოლიტიზება მომხდარიყო. ამ გადაწყვეტილებას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირადად ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა ჰქონდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ცხადია, არც ეს კანონი იქნებოდა მიღებული და არც ცვლილებებს დაუჭერდნენ მხარს უმრავლესობის წევრები. ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კანონში, საფუძველი ჩაუყარა რეალურ რეფორმას, შექმნა კომისია, რომლის არჩევაც მოხდა ერთხმად არც ერთის წინააღმდეგ, შემდეგ დაგვიმტკიცეს კომისიის დებულება და შემდეგ ჩვენ მიერ წარდგენილი კანდიდატები მათ აღარ მოეწონათ. თქვეს, რომ შექმნიდნენ ახალ კომისიას, რომელიც თავიდან გამოაცხადებს კონკურსს. ანუ, ფაქტობრივად, გამოდის, რომ პარლამენტში არიან ძალები, რომლებიც მზად არიან, მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზება, პროცესის დემოკრატიზაცია და მეორე მხრივ, არიან ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესს და მაინც ცდილობენ, რომ პროცესი გადაიყვანონ კულაპოტში, სადაც გარანტირებულად იქნება მართვაში ტელევიზია. ეს ძალები, ბუნებრივია, არიან უმრავლესობაში, რადგან არაუმრავლესობა იქ ვერაფერს წყვეტს. ამიტომ ვამბობ, რომ, რადგან უმრავლესობაში არის ძალა, რომელსაც უნდა მაუწყებლის დეპოლიტიზება და არის ძალა, რომელიც ამ პროცესს ხელს უშლის, ცხადია, რომ შიგნით, უმრავლესობაში არის სერიოზული შეუთავსებლობა. ეს წმინდა პოლიტიკური საკითხია.

– შეგიძლიათ, დაგვისახელოთ, ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი?

– ერთადერთი რამ შემიძლია, დაბეჯითებით ვთქვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი არის ადამიანი, რომელიც ოფიციალურად იყო კოორდინატორი მთელი პროცესის. ცხადია, ვფიქრობ, რომ ის მომხრეა დეპოლიტიზების.

– და რესპუბლიკელებიც თავისთავად?

– კი, თუ პოლიტიკურ ძალაზე განვაზოგადებთ, ასე გამოდის. თუმცა შეიძლება მარტო რესპუბლიკელები არ არიან, მაგრამ ძალა რომ არსებობს, რომელიც ხელს უშლის დეპოლიტიზებას, ფაქტია. პარლამენტში არიან ძალები, რომლებიც წარდგენილ კომისიის წევრებზე აცხადებდნენ, არ ვიცნობთ და როგორ ავირჩიოთო, როგორ დავუჭიროთ მხარი, უცხო ხალხიაო. ჯერ ერთი, ის უცხოები იყვნენ ძალიან ცოტანი და თანაც ძალიან კარგი პროფესიონალები. თუ ვინმე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, შეეძლო, წაეკითხა მათი კონცეფცია, ან ენახა მათი პრეზენტაციები და შექმნოდა მოსაზრებები ამ ადამიანებზე. მე კონკრეტულად არ ვიცი, ვინ რომელ მხარეს წარმოადგენენ. მაგალითად, უმრავლესობის ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, იმდენად კარგი კანდიდატები იყვნენ, რომ მათ შორის არჩევანი ვერ გავაკეთეთ და შერჩევა გაგვიჭირდაო. ასეთი განცხადებების ფონზე ჩვენმა კომისიამ რაღა უნდა გააკეთოს? ჩვენ დავასრულეთ საქმიანობა და ველოდებით, რა იქნება შედეგი.

– როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ეს შედეგი?

– ალბათ, სავარაუდოდ, აირჩევენ 6 ადამიანს სიიდან და არჩევნებისთვის შექმნიან ახალ კომისიას. საბჭოს დალაგების შემდეგ შეგვეძლება, გავიგოთ, როგორი ბალანსი იქნება ამ ძალებს შორის. ეს წარმომადგენლობა ძალიან კარგად გამოავლენს ბალანსს.

– როცა აცხადებთ, რომ უმრავლეს-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რალდეზეზი წაუყენეს

„ასეთი განცხადებების ფონზე ჩვენმა კომისიამ რაღა უნდა გააკეთოს? ჩვენ დავასრულეთ საქმიანობა და ველოდებით, რა იქნება შედეგი“

„პარლამენტს ძალიან კარგი სია ედო და შეეძლო, ამ სიიდან თავისუფლად ამოერჩია ის კანდიდატები, ვისაც საუკეთესოდ მიიჩნევდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ... ეს ხდება იმიტომ, რომ მათ გაუჭირდათ იმ ადამიანების შერჩევა, ვისზეც მოახდენენ პოლიტიკურ გავლენას“

ობა გადაყვება ამ საკითხს, როგორ წარმოგიდგენიათ, რა პრობლემები შეიძლება შეექმნათ მათ?

– არ ვიცი, როგორც ხდება ხოლმე, ოდესმე ეს კოალიცია დაიშლება, ალბათ. სინამდვილეში კი, გამოდის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ კანონი არ დარღვეულა და ყველაფერი მიდის წესის მიხედვით, თუმცა იურისტები ამბობენ, რომ კანონი დაირღვა, რადგან წარმოდგენილი იყო ექვსი ადამიანი და არა ცხრა. რასაკვირველია, პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ამ პროცესის ხელმძღვანელი იყო, სულაც არ უნდოდა პროცესის ჩაშლა, მაგრამ იძულებულია, მსგავსი არაპოპულარული განცხადებები გააკეთოს. რამდენ ხანს გაჰყვება ასე მოქცევის სურვილი, ნამდვილად არ ვიცი. როდის გამოვლინდება და როდის მოხდება ამ ორი ძალის იდენტიფიცირება, ეს უკვე აღარ ვიცი.

– რამდენად სამართლიანია მუსხელიშვილთან დაკავშირებით კითხვების არსებობა, პრინციპში, ის ერთ-ერთი მხარის აშკარა მხარდამჭერია...

– ჩვენ გვქონდა ძალიან ფორმალური კრიტერიუმი იმისთვის, რომ ერთმანეთისგან გაგვემიჯნა ადამიანები იმ ნიშნით, შეიძლება თუ არა, ისინი ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი საბჭოს წევრები. ეს კრიტერიუმები შეადგინა თავად პარლამენტმა. კრიტერიუმების მიხედვით, საბჭოში ვერ მოხვდებიან ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ ან წარმოადგენდნენ რომელიმე პარტიას არჩევნებში, შეკრებებზე ან აქციებზე. ვიცით, რომ ნინელი ჭანკვეტაძე დამფუძნებელია „ქართული ოცნების“, ასევე კოალიციას წარმოადგენდა მამუკა არეშიძეც. რაც შეეხება მარიამ მუსხელიშვილს, ის არ წარმოადგენდა არც ერთ პარტიას.

კომენტარები კომისიის სხვა წევრებმაც გააკეთეს. ზვიად ქორიძის განმარტებით:

– პარლამენტს ძალიან კარგი სია ედო და შეეძლო, ამ სიიდან თავისუფლად ამოერჩია ის კანდიდატები, ვისაც საუკეთესოდ მიიჩნევდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ... ეს ხდება იმიტომ, რომ მათ გაუჭირდათ იმ ადამიანების შერჩევა, ვისზეც მოახდენენ პოლიტიკურ გავლენას.

ზვიად ქორიძე ამბობს, რომ 27-კაციან სიაში შერჩეული იყვნენ ის პირები, ვინც „პოლიტიკური, ეკონომიკური და პირადი გავლენებისგან მაქსიმალურად თავისუფალი“ იყვნენ. აქედან ქორიძის დასკვნით, პარლამენტმა თავისუფალი პროცესი ჩააგდო იმისთვის, რომ პოლიტიკურად მართული პროცესი მიიღოს და საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკოსებმა გააკონტროლონ:

– მიმაჩნია, რომ ეს გზა არც სამართლებრივად და არც პოლიტიკურად არ არის მართებული, ეს არ არის გზა, რომელიც დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელს სჭირდება. ეს არის საკმაოდ ფარული გარიგებების რეჟიმი, რომლითაც მათ სურთ, რომ შეარჩიონ ახალი წევრები და ახალი კანდიდატები სამეურვეო საბჭოს წევრობისთვის და ეს პროცესი ისევ ჩაკეტონ.

სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესს სოცქსელებშიც გამოეხმაურნენ. დიდი დავა დაიწყო კონკრეტული ფიგურების მიმართ. მაგალითად, რატომ დასთანხმდა ნინია კაკაბაძე, ყოფილიყო ნაცების კვოტიდან საბჭოში, რა კრიტერიუმებით შეარჩია კომისიამ მარინა მუსხელიშვილი და ასე შემდეგ.

ვარაუდობენ, რომ დანარჩენი ექვსი წევრის შესარჩევად ახალი კომისია და ახალი სია შედგება. პარლამენტში კი ახალი კენჭისყრები გაიმართება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს სტრატეგიას - თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

უმრავლესობის წევრები საკუთარ ოპონენტებად იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მიიჩნევენ, რომლებიც კონკრეტულ კანონპროექტებზე საკუთარ კრიტიკას აფიქსირებენ და კოალიციას საკუთარ რჩევებსაც აძლევენ, ვიდრე ნაციონალებს. თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი, ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალები საპარლამენტო ტრიბუნას მხოლოდ პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად იყენებენ და მთავარ მიზნად კონკრეტული თანამდებობის პირების დისკრედიტაციას ისახავენ. ამის მაგალითად სესიაშვილის მთავარი პროკურორის მიმართ გავრცელებული ბრალდებები მოჰყავს. სესიაშვილის განცხადებით, ოთარ ფარცხალაძე ნაციონალების მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან სწორედ მის პირობებში მოეთხოვებათ ყოფილ ჩინოვნიკებს პასუხი ჩადენილ დანაშაულებზე. შესაბამისად, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფარცხალაძემ არა თუ საკუთარი თანამდებობა უნდა დატოვოს, არამედ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს სამუშაო რეჟიმი...

„ჩვენ ვიხელმძღვანელებთ არა პოლიტიკური ინტერესებით, არამედ კანონით, სამართლებრივი ჩარჩოებითა და დემოკრატიული პრინციპებით“

ირაკლი სესიაშვილი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

– მთავარ პროკურორთან დაკავშირებით საქმე გვქონდა უმცირესობის მხრიდან ამ საკითხის პოლიტიზებასთან, ისევ და ისევ პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მიზნით. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი დებულებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს წლების განმავლობაში ქვეყნის ძარცვას, პოლიტიკურ ტერორს. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარცხალაძემ არა თუ დატოვოს თანამდებობა, არამედ გააგრძელოს ის აქტიური მუშაობა, რაც პროკურორად დანიშვნისთანავე დაიწყო. მე ვფიქრობ, ეს თემა უფრო მეტად პოლიტიკურად აჟიტირებული იყო, ვიდრე რეალობასთან ახლოს და არ ვთვლი, რომ დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო ოთარ ფარცხალაძის თანამდებობიდან წასვლის საკითხი. მიმაჩნია, რომ ეს ხმაური გადაჭარბებულია. აღნიშნული თემა ძალიან ზედმეტად ასწიეს. რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ამოცანა იყო, მომხდარიყო ოთარ ფარცხალაძის სახელის, ზოგადად, მისი პიროვნების დისკრედიტაცია, მისი დემონიზაცია.

– უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სწორედ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიებების ბოლომდე მიყვანა იმ გახმაურებულ საქმეებზე, რომლებზეც საუბარი აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოებაშიც. ფიქრობთ, რომ ამ მხრივ 2014 წელი მნიშვნელოვანი იქნება და სამართლიანობა აღდგება?

– დარწმუნებული ვარ, რომ პროკურატურა ამას შეძლებს. მით უმეტეს, რომ გარკვეულ ინფორმაციას ვფლობ კიდეც. როგორც ვიცი, ნაციონალები გარკვეული ინფორმაციის ანალიზს აკეთებენ და სწორედ ამიტომ ისინი არსებულ რეალობას ვერ გაექცევიან, ამ მიზნითაც ხდება თავდასხმა იმ პიროვნებაზე, ვის მიმართაც მათ განსაკუთრებული შიში აქვთ და საფრთხეებსაც ხედავენ მისგან.

– ოპოზიცია საახალწლო დღესასწაულების შემდეგ საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავს, როგორი იქნება ხელისუფლებისა და სამართალდამცავების რეაქცია?

– ჩვენი რეაქცია იქნები ისეთი, როგორიც არ იყო ხოლმე მათი რეაქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არავის დარბევას არ დავიწყებთ და ამას არც ვაპირებთ, არც არავის მიმართ არ ჩავიდენთ ისეთ ქმედებას, როგორსაც თავად ნაციონალები სჩადიოდნენ, ვგულისხმობ ზეწოლას, დაშინებას. უფრო მეტიც, თუ მათ სურვილი ექნებათ, გამოხატონ პროტესტი რაიმეს მიმართ, ეს მათი ნებაა და, რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოიქცნენ. ერთადერთი, რასაც ორივე მხარე უნდა გაუფრთხილდეს, ეს არის კანონებისა და პრინციპების უზენაესობის დაცვა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ ვინმე რაიმე ტიპის დანაშაულს ჩაიდენს, პასუხი აუცილებლად უნდა აგოს. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ არა პოლიტიკური ინტერესებით, არამედ კანონით, სამართლებრივი ჩარჩოებითა და დემოკრატიული პრინციპებით.

– ნაციონალები ბრალს გდებენ, რომ მიმდინარეობს ოპონენტების პოლიტიკური დევნა. როგორ ფიქრობთ, მათი ბრალდება სამართლიანია?

– ეს არის ერთგვარად იმავე თემის გაგრძელება, რასაც ისინი მთავარი პროკურორების მიმართ ახორციელებენ. „ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს სტრატეგიას – თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხვდებიან, რომ მათ მიერ ჩადენილ „გმირობებზე“ პასუხი უნდა აგონ. ისინი ცდილობენ, ამ სამართლებრივ პროცესს პოლიტიკური დევნის ელფერი მისცენ, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლება არ ერევა სასამართლო გადაწყვეტილებებში. ასევე, ფაქტია, რომ პროცესები არის აბსოლუტურად გამჭვირვალე და მედიას, არასამთავრობოებს, დამკვირვებლებს აქვთ საშუალება, დააკვირდნენ პროცესს. მათ დასკვნებში ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ სასამართლო პროცესები აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიმდინარეობს.

– როგორ შეაფასებთ გასული წლის საპარლამენტო მუშაობას, ფიქრობთ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო პარლამენტს?

– უკმაყოფილება არსებობს არა იმ კუთხით, რომ ცუდად იმუშავა პარლამენტმა, არამედ უფრო იმ კუთხით, რომ უფრო მეტის გაკეთება შეგვეძლო. მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ გვიწევს იმ კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც წინა ხელისუფლებას საკუთარ თავზე ჰქონდა მორგებული. ეს ერთი. მეორე – სამწუხაროდ, უმცირესობა შინაარსობრივ კამათსა და დისკუსიაში არ შემოდის. ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს რომ გადავხედოთ, ყველა კანონპროექტთან დაკავშირებით ნაციონალები ითხოვენ სიტყვას, გამოდიან ტრიბუნასთან და აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს. არ კამათობენ კანონპროექტთან დაკავშირებით, არ ახდენენ რეალურად კრიტიკას არც შინაარსზე და არც კონკრეტული კანონპროექტის არსზე. ამას კი ქვეყნისთვის მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ რეალურად დღეს ჩვენ, უმრავლესობას, ოპოზიცია გვყავს არა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, არამედ ჩვენი ნამდვილი ოპოზიცია არის იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც თავისი სურვილით კარგ რჩევებსა და შენიშვნებს გვაძლევენ კანონებთან დაკავშირებით. ამიტომ შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო, რომ უმცირესობას რომ უფრო შინაარსობრივად ემუშავა, ჩვენ მეტს შევძლებდით და შედეგიც ბევრად დიდი იქნებოდა. ახლა, სამწუხაროდ, პოლიტიკურ დისკუსიაში უფრო მეტ დროს ვხარჯავთ, ვიდრე კანონპროექტის დამუშავებაში.

– აქვს უმრავლესობას რაიმე ტიპის გეგმა, რომ მომავალი სესიის მუშაობა ამ მხრივ ბევრად შედეგიანი და პროდუქციული გახადოს?

– რა თქმა უნდა, ასეთი გეგმა არსებობს. პირველი წელი ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო კოჰაბიტაციის პირობებში. ჩვენ წინასწარ ვგეგმავთ, რას ვაპირებთ. მაგალითად, ასე მომზადდა იგივე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი, იგივე მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებები. ასე რომ, სამუშაო მართლაც ბევრია. მაგალითად, მე წინასწარ მაქვს დაგეგმილი ჩემი სამუშაო წელი.

– თქვენი კომიტეტის?

– დიახ, რა თქმა უნდა... იგივე სამხედრო ნაწილების მონახულება, ფინანსური საქმიანობის შესწავლა თავდაცვისა თუ სხვა სამინისტროებში, ასევე მთელი რიგი სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი, ნორმატიულ აქტებზე ზედამხედველობა და, ზოგადად, რეფორმებზე მონიტორინგის განხორციელება.

ირაკლი სესიაშვილი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარცხალაძემ არათუ უნდა დატოვოს თანამდებობა, არამედ გააგრძელოს ის აქტიური მუშაობა, რაც პროკურორად დანიშვნისთანავე დაიწყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამი ვარსკვლავის გახსნა ფუნიკულიორზე

თამარ გონგაძე

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტელევიზიის 57 წლის იუბილესთან დაკავშირებით პირველ დიქტორებსა და ტელეწამყვანს, 22 დეკემბერს, ვარსკვლავები გაუხსნა. ჯულიეტა ვაშაყმაძის, ლია მიქაძისა და ალექსანდრა მაჭავარიანის ვარსკვლავები მთაწმინდაზე, ფუნიკულიორთან, ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა, ცერემონიალი კი დეკემბრის ბოლოს გავა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. ადგილი ვარსკვლავებისთვის სიმბოლურად შეირჩა. ალექსანდრა მაჭავარიანსა და ლია მიქაძეს - პირველ დიქტორებს და ჯულიეტა ვაშაყმაძეს - პირველ ტელეჟურნალისტსა და ტელეწამყვანს აქედან მიჰყავდათ გადაცემები.

ლია მიქაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე და ალექსანდრა მაჭავარიანი

ალექსანდრა მაჭავარიანი: „პირველად ვიგრძენი, რომ ჩემმა ხალხმა დამაფასა“

ლია მიქაძე: „ჩვენ ჩვენი საქმე ძალიან გვიყვარდა, რასაც, მე პირადად, ჩემი ცხოვრება შევწირე“

თიკო ბერძენიშვილი: - ამ დღისთვის დიდი ხანია ვემზადებოდით. ეს ყველაფერი ძალიან ემოციურია. მადლობა მთაწმინდის პარკს, რომ ამ ინიციატივაზე წამოგვყვნენ.

ჯულიეტა ვაშაყმაძე: - ვარსკვლავის გახსნით ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა აღინიშნა. ამისთვის ყველას დიდი მადლობა, დიდი მადლობა ხალხს, რომელიც ყოველთვის დიდ ანგარიშს მიწევდა. როდესაც მე გადაცემები მიმყავდა, იმ დროს მათგან ამ მადლიერებას მუდმივად ვიღებდი. ყოველდღე აქედან მიგვყავდა გადაცემები. ეს დიდ პასუხისმგებლობასთან ასოცირდებოდა. ზოგჯერ ფეხით ამოვდიოდით, ზამთარში, როდესაც ტრანსპორტი არ იყო. ბევრი საინტერესო დღე გვაქვს აქ გატარებული. ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი იყო შემოქმედებითი გარემო. დღეს ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა შეჩერებულია, მაგრამ, მე ვფიქრობ, შეჩერებული. მე ამ საქმიანობას კვლავ დავუბრუნდები. ტელევიზიის გარეშე ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია.

ლია მიქაძე: - უსაზღვროდ დიდი ემოციები დამეუფლა. აქედან დავიწყეთ ჩვენ და 11 წელი ფუნიკულიორზე დავდიოდით ყოველდღე. ზოგჯერ ფეხითაც. ჩვენთვის არ არსებობდა წელიწადის რომელიმე დღე თუ სეზონი. ჩვენ ჩვენი საქმე ძალიან გვიყვარდა, რასაც, მე პირადად, ჩემი ცხოვრება შევწირე.

ალექსანდრა მაჭავარიანი: - ხშირად მაგზავნიდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებში, სადაც წარმატებებს ვიხვეჭდი. დღემდე ვიღებ თბილ წერილებს. კაკო ძიძიგურმა მკითხა, კი მაგრამ, შენში რა ნახეს ისეთი, რომ ასე გააგიჟე ყველაო. ილია რურუამ მიუგო (მთავარ რედაქტორად მუშაობდა) - შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. აქ სულ ინტრიგები იყო. სულ ჭიდილი და პირველობაზე ჩხუბი ჩემი კოლეგებისგან. ვარსკვლავის გახსნაზე კი პირველად ვიგრძენი, რომ ჩემმა ხალხმა დამაფასა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ სამსახურში წერილები სულ მომდიოდა.

შალვა გაბუნია (ჯულიეტა ვაშაყმაძის მეუღლე, ტელერეჟისორი): - ვარსკვლავის გახსნაზე სიხარულისგან თვალზე ცრემლი მომადგა... ძალიან ემოციური მომენტია... და ამ მომენტში მის გვერდით ვართ ოჯახის წევრები. ეს ვარსკვლავი ჯულიეტას დაფასებაა. სითბო მოდიოდა ჩაწერისას. ზუსტად ანძის ქვეშ იყო ჩვენი სტუდია, აქ აიდგა ფეხი საქართველოს ტელევიზიამ. ყველაფერი აქედან დაიწყო. დაძაბული წლები გავატარეთ მუშაობაში. ნორმირებული დღე არ გვქონია. დღე და ღამე მუშაობაში გავატარეთ, მაგრამ დიდი ხალისით, ჩვენი საქმე გვიყვარდა.

გიორგი გაბუნია: - ძალიან ემოციური დღეა, ვერ ვიტყვი, რომ მოულოდნელი. ტელევიზიის პირველი ვარსკვლავია და ვიცოდი, რომ ოდესღაც გაიხსნებოდა. ძალიან გახარებული ვარ, მიხარია, რომ დედა პირველ ვარსკვლავებს შორის მოხვდა. რომ ვუყურებდი, ვხვდებოდი - რას გრძნობდა. რომ წარმოვიდგინოთ, ეს დაახლოებით ის განცდაა, რაც მთელი ის 50 წელი ჰქონდა, რაც მან ტელევიზიაში გაატარა. ეს მისი სამყაროა, რომელიც ძალიან უყვარს. გახარებულია, რომ ეს სიხარული მატერიალური სახით გამოისახა აქ, ანძასთან, სადაც პირველად დაიწყო მუშაობა.

დათა გაბუნია: - იმ წუთებში ჯულიეტა ბედნიერი გახლდათ და მე ეს მიხარია. სიცოცხლეშივე რომ ვარსკვლავს გაუხსნი ადამიანს, ეს ბევრს ნიშნავს მისთვისაც და ჩემთვისაც.

ლელა გაბუნია: - ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დედასთვის განსაკუთრებით. სიმბოლურად იმის დადასტურებაა, რაც მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე აკეთა.

ირმა სოხაძე: - ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი ცხოვრებას რაღაცას მიუძღვნი და თუნდაც ამ სახით დაგიფასდება. შეიძლებოდა ამ დაფასებას ცოტა უფრო პერმანენტული სახე ჰქონოდა, ეს ქალბატონები ცოტათი გულნატკენები არიან, მაგრამ იმ პოპულარობის მერე, რაც ამ სამ ადამიანს ჰქონდა, შეიძლება ცოტა ყურადღების ნაკლებობა იგრძნეს შემდგომ წლებში.

გოგა ჩართოლანი: - ვარსკვლავების გახსნის იდეა ხუთი წლის წინ გამიჩნდა. პირველი ქართველი დიქტორები ქართველი ტელევარსკვლავები არიან. მიხარია, რომ ამ იდეის რეალიზაცია მოხერხდა. ტელევიზიის დაბადების დღეს ეს ცერემონიალი დეკემბრის ბოლოს გავა ეთერში. იმედი მაქვს, რომ ამით არ დასრულდება, რადგან ქართულ ტელესივრცეში კიდევ არიან გამორჩეული ტელეწამყვანები და არა მარტო ქალბატონები, არამედ მამაკაცებიც, რომელთა ვარსკვლავები, იმედი მაქვს, რომ მომავალში გაიხსნება. ვფიქრობ, კარგი დასაწყისია, ქალბატონი ჯულიეტა, არა მხოლოდ დიქტორი, არამედ გამორჩეული ვარსკვლავი იყო, ეს ქალბატონი იყო კომენტატორი, იყო ჟურნალისტი, ავტორი და წამყვანი მრავალი სხვადასხვა ჟანრის გადაცემისა. Ⓐ

ჯულიეტა ვაშაყმაძე: „მე ამ საქმიანობას კვლავ დავუბრუნდები. ტელევიზიის გარეშე ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲛᲔᲛᲘᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲔᲠᲗ ᲮᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲛᲔᲠᲐᲑᲘ

my View

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

პარლამენტის თავმჯდომარე საკუთარი გუნდის მუშაობით უკმაყოფილოა. პრინციპში, ამას ოპონენტებიც ხაზგასმით აღნიშნავენ. გიორგი კანდელაკს ციტატები მოჰყავს იმ სასაცილო კანონპროექტებიდან, რომელზეც საკანონმდებლო ორგანო დროს ხარჯავს მაშინ, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკა ინგრევა... ბუნებრივია, ყველა კანონის განხილვას თავისი ვადა აქვს, თუმცა პრიორიტეტების დალაგება აუცილებლობას წარმოადგენს. შესაძლოა, ეს არის ერთადერთი მოსაზრება, რომლის ირგვლივაც უმრავლესობა-უმცირესობის შეთანხმება მოხდა. თუმცა გამონაკლისებით. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ დეპუტატებს არც ერთი წუთი უქმად არ დაუხარჯავთ. მეტიც, დასვენების დღეებსაც კი შრომისთვის იყენებდნენ. შესაბამისად, უსუფაშვილის განცხადებას გადამეტებულად თვლის, თუმცა ფიქრობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და უმრავლესობა თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს. შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობა შეფასებებს უფრო საზოგადოებისგან ელის...

„ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲔᲗ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ“

ლევან ბერძენიშვილი, უმრავლესობის წევრი:

– პარლამენტის თავმჯდომარემ ასე უნდა თქვას, რადგან, თუ ვინმე კმაყოფილია პარლამენტის მუშაობით, ეს მედიამ, ან საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. აბა, თავად თავმჯდომარე ხომ არ იტყვის, კარგად ვიმუშავეთო? პარლამენტმა ბევრი იმუშავა წელს, არც ერთი დღე არ გაგვიცდენია, მაგრამ თვითკმაყოფილები არ უნდა ვიყოთ. ჩვენ წელს არ დაგვისვენია არც ერთი დღე. ამ მხრივ, საყვედურის თქმა ნამდვილად არ შეიძლება. თუმცა შეგვიძლია მუშაობის გაუმჯობესება და ამას გავაკეთებთ კიდეც.

– როგორც ითქვა, მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით პარლამენტსა და ხელისუფლებას შორის იყო მოლაპარაკებები და სწორედ ამიტომ გადაიდო სისხლის სამართლის კოდექსი...

– საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ პარლამენტსა და ხელისუფლებას შორის რაიმე სერიოზული პრობლემები არ ყოფილა. ამაზე მუდმივად არის საუბარი, მაგრამ სერიოზული დარღვევა არ არის. ეს რომ ასე იყოს, მაშინვე გამოჩნდებოდა და შესამჩნევიც იქნებოდა. რაღაცას პარლამენტი მხარს არ დაუჭერს, ან უკან დაუბრუნებს ხელისუფლებას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბედნიერი არავინ არ იყო ცვლილების გადავადებით, თუმცა ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ წერტილიდან, რომ, თუ არ არის მზად ესა თუ ის უწყება, კანონს ხომ არ დავარღვევთ? გარეთა შეფასებებს მე არ მივაქცევდი ყურადღებას, რადგან სინამდვილეში არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი და პარლამენტსა და ხელისუფლებას შორის ხან თანხმობაა და თან უთანხმოება. რაც მთავარია, არ არსებობს პოლიტიკური უთანხმოება.

– მთავრობის მუშაობას როგორ შეაფასებთ? თვლით, რომ რომელიმე უწყება გამორჩეულად წარმატებული იყო?

– ეს არ არის ჩვენი საქმე. ეს ხალხმა უნდა შეაფასოს, ჩემს აზრს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

– პარლამენტი მთავრობის მუშაობას აკონტროლებს და ბუნებრივია, თქვენი შეფასება გექნებათ...

– კონტროლი და შეფასება სხვადასხვა რამეა. მე მთავრობის საქმიანობას, კონტროლის თვალსაზრისით, უფრო შევაფასებდი, ვიდრე შეფასებით. ისე კი, ყველა მოგვწონს. თუ ვინმე არ მოგვეწონება, ავიღებთ და ვიტყვით ხმამაღლა. ამიტომ ცალკე გამოყოფას აზრი არ აქვს, რადგან ეს მტრობად იქნება აღქმული და იტყვიან, რომ აი, რესპუბლიკელები ვიღაცას ლობირებენ. ჩვენ მხარი დავუჭირეთ მარტო პრემიერ-მინისტრს, მთავრობა კი წარადგინა პრემიერ-მინისტრმა. ჩვენ ცალკეული მინისტრებისთვის მხარი არ დაგვიჭერია.

– მაშინ ასე გკითხავთ: თქვენი აზრით, მინისტრთა კაბინეტში შესაცვლელია ზოგიერთი მინისტრი?

– ეს მთლიანად პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაა. ეს არ არის პარლამენტის საქმე. ეს კითხვა პრემიერ-მინისტრს უნდა დაუსვათ. ჩვენ ცალკეულ მინისტრებზე არ ვსაუბრობთ. მთლიანად მთავრობასა და მათ ლიდერს, პრემიერ-მინისტრს ვაკონტროლებთ. თუ გამოსაცვლელი ეყოლება ვინმე პრემიერს, იმედი მაქვს, გამოცვლის და ამის არ მოერიდება.

– რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა პირდაპირ განაცხადა, რომ დავით საგანელიძის მხრიდან არასწორი საქციელია პარლამენტის ვადაზე ადრე დატოვება. რატომ ტოვებს უმრავლესობას მისი ლიდერი? და, როგორც ამბობენ, საგანელიძის გარდა, კიდევ რამდენიმე წევრი აპირებს წასვლას...

– არ ვიცი, საგანელიძემ გააკეთა განცხადება, რომ შესაძლოა, ასეთი რამ მოხდეს, თუმცა შემდეგ ამაზე საუბარი არ გაგრძელებულა. ამიტომ ვფიქრობ, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ერთადერთი, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მე ნამდვილად არ დავტოვებ პარლამენტს და ჩვენი პარტიიდანაც არავინ ტოვებს პარლამენტს.

– რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიის სახელწოდების შეცვლას გამყოფი ხაზით, არ ფიქრობთ, რომ ეს სწორედ კანონის შერბილების გაგრძელება იყო, რომელსაც თქვენი ოპონენტები ასე აპროტესტებდნენ?

– მანდ ცოტა უფრო რთულად იყო საქმე. ჩვენ სიტყვა „ოკუპაცია“ ვიხმარეთ და ვიხმარეთ ასევე „გამყოფი ხაზი“. ჩვენ გამოვიყენეთ ორივე ტერმ-

„ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐᲗ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲜ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ?“

EXCLUSIVE

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

და ის ხალხი, ვინც თუნდაც შვილისნაირ კანდიდატს“

ლევან ბერძენიშვილი:

„მერაბიშვილის დანიშვნა შეეძლოთ, სადაც უნდოდათ, მაგრამ არჩევით – დიდი ბოდიში. ის შეიძლება ციხის კამერაში აირჩიონ უფროსად“

ინი. ოპონენტები ამბობდნენ, რომ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ოკუპაციის ხაზი. ეს კი ცოტა მწყრალად იყო ქართულთან, აქ მეტი პრობლემა არაფერი ყოფილა.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ ცვლილებას არ აქვს პოლიტიკური დატვირთვა...

– არა, როგორ არის პოლიტიკური დატვირთვა? როცა ხმარობ სიტყვა „ოკუპაციას“ და გეუბნებიან, რომ „საოკუპაციო ხაზის“ თქმის გეშინიაო, ეს ლოგიკურია? კანონში ეწერა სიტყვა „ოკუპაცია“. ეს კამათი იყო თითიდან გამონოვილი. უბრალოდ, ამით „ნაციონალურ მოძრაობას“ დრო გაჰყავდა, ეს არ იყო საქმიანი კამათი. ამ საკითხზე საუბარი, კამათი და თუნდაც ხუთი წუთის დახარჯვა იყო უაზრობა. სინამდვილეში ისე არ იყო საქმე, როგორც ამას თავად ნაციონალები ხატავდნენ. ამ კამათს აზრი მაშინ ექნებოდა, თუ ვიღაცას მართლა შეეშინდებოდა სიტყვა „ოკუპაციის“ ხმარება. პარლამენტში არის შემთხვევები, როცა ოპონენტები, უბრალოდ, წყალს ნაყავენ, იმიტომ რომ ასეა საჭირო. ეს მომენტი იყო ამ შემთხვევაშიც. ასეთი რამ ხდება მსოფლიოს უამრავ პარლამენტშიც. ხანდახან სისულელეებზე იხარჯება ნახევარი დღეც კი. ახლა ჩამოვედი შვედეთის პარლამენტიდან და იქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გასაკვირი ასეთ ფაქტებში არაფერია.

– ბატონო ლევან, არ თვლით, რომ კომიკური სიტუაცია შეიქმნა, როდესაც გიგი უგულავას გადაყენების მოთხოვნა და ბრძანებაც არსებობს და არ არის აღმსრულებელი პირი?

– რა საჭიროა ამხელა ამბის ატეხა? მივა გიგი უგულავა მერიაში და იმუშავებს, თუ ესეც იგივე წყლის ნაყვაა და ამით ერთობიან? როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, ის უკვე აღსრულებულია. გიგი უგულავა უკვე აღარ არის თბილისის მერი და ახლა რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ. რატომ უნდა აღვასრულოთ ეს ბრძანება? არ მივა უგულავა სამსახურში, მის მაგივრად მივა სხვა და ამით დასრულდება ყველაფერი. ნაციონალებმა ძალიან სასაცილო მდგომარეობაში თავად ჩაიგდეს თავი, რადგან სინამდვილეში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი, აღსრულებული და ძალაში შესულია. სხვა საკითხია, ვის მოსწონს ეს საკითხი და ვის – არა. გიგი უგულავა თუ შემთხვევით კიდევ არ მოიგებს არჩევნებს, აღარასოდეს აღარ იქნება თბილისის მერი.

– სწორედ ამაზე საუბრობენ, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ავიწროებს ოპონენტებს, რომ შემთხვევით ვინმემ რამე არ მოიგოს... ასე ითქვა მერაბიშვილის დაკავების დროსაც, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ნაციონალები სწორედ მერაბიშვილს განიხილავდნენ საპრეზიდენტო კანდიდატად და ის დააკავეს. ახლა, როცა საუბარია გიგი უგულავას მერობის კანდიდატობაზე, მასაც პრობლემები ექმნება...

– გიგი უგულავას არავინ არ უშლის ხელს, იყოს მერობის კანდიდატი, მას ამის პრობლემა არ აქვს. უკაცრავად და, თუ მას დააპატიმრებენ, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ ის არ იყოს მერობის კანდიდატი, არამედ იმიტომ, რომ სასამართლო მას ჩათვლის დამნაშავედ. ეს სხვადასხვა რამ არის. მსოფლიოში უამრავი მერი დაუჭერიათ და უამრავი მერი ყოფილა კორუფციაში გახვეული. ყველა მათგანი ამბობდა იმავეს, რომ მოწინააღმდეგე იშორებს მას პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით. რაც შეეხება უგულავას, მე პირადად არანაირი ეჭვი არ მაქვს, რომ სასამართლო მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. თუკი ამ ქვეყანაში ვინმემ რამე დააშავა, კორუფციის თვალსაზრისით, გიგი უგულავა არის ნომერ პირველი. სანამ სასამართლო არ იტყვის ამას, ეს დარჩება ჩემს აზრად. როცა სასამართლო იტყვის, შემდეგ იქნება უკვე ფაქტი. უგულავას პრობლემა იმაში არ მდგომარეობს, იქნება თუ არა ის კანდიდატი და აიღებს თუ არა თავის 6%-ს. გამარჯვების შანსი მას არ აქვს. დავით ბაქრაძემაც კი ვერ მოიგო მაშინ, როდესაც ყველამ ვიცით, რომ პოლიტიკურად ბაქრაძე ბევრად სიმპათიურია უგულავაზე. სწორედ ამ მიზნით არავინ არ ებრძვის უგულავას, ის არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ბუნებრივია, ნაციონალები იტყვიან, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორებაა, აბა რას იზამენ? ადამიანს უმტკიცდება, რომ ჩვენი ბიუჯეტის ფული შეაჭამა თავის პარტიას. როგორც კი ამას დაუმტკიცებენ, მაშინვე დადგება დღის წესრიგში ადეკვატური საკითხი. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ამაზე კამათიც არ ღირს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ნაციონალებს საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად ბევრად განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე ბაქრაძე ჰყავდათ. ვანო მერაბიშვილთან პრობლემა გაჩნდა 2006 წელს, როდესაც მოხდა გირგვლიანის მკვლელობა. არავის მერაბიშვილი იმიტომ არ დაუკავებია, რომ ის კანდიდატი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, შემირცხვენია ის პარტია და ის ხალხი, ვინც თუნდაც ერთ ხმას მისცემს მერაბიშვილისნაირ კანდიდატს. გიგი უგულავა სხვა საქმეა, მასზე იგივეს არ გეტყვით. მისი არჩევა შესაძლებელი იყო და იყო კიდეც დედაქალაქის არჩეული მერი. უგულავასგან განსხვავებით, მერაბიშვილი აურჩეველია, მერაბიშვილის დანიშვნა შეეძლოთ, სადაც უნდოდათ, მაგრამ არჩევით – დიდი ბოდიში. კაცს სახეზე აწერია, არ ამირჩიოთო. შეიძლება ციხის კამერაში აირჩიონ უფროსად, თუ ეყოლება საკანში ვინმე. ჯერჯერობით მარტოა იქ.

– ბრძანების აღსრულებას დავუბრუნდები. თუ არ ვცდები, სასამართლო გადაწყვეტილებაში ეწერა, რომ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, თუმცა არ იყო მითითებული პირი, უწყება, ვინც ეს გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს, სწორედ ამაზე კამათობენ დღეს...

– ვინ გითხრათ ეს სისულელე? კანონში წერია ასეთი რამ: სასამართლო გადაწყვეტილება მიღებისთანავე აღსრულებულად ითვლება. აღსრულების საკითხი დღის წესრიგში დადგებოდა მაშინ, თუ გიგი უგულავა მივიდოდა მერიაში, დაჯდებოდა კაბინეტში და აღარ გამოვიდოდა იქიდან. აი, მაშინ დადგებოდა საკითხი: ვინ აღასრულებს გადაწყვეტილებას. აქ საუბარია თანამდებობის უფლებამოსილების შეჩერებაზე და ეს უფლებამოსილება უგულავას შეჩერებული აქვს. გიგი უგულავა ვერც ბრძანებას გასცემს აწი, ვერც დოკუმენტს მოაწერს ხელს და არც არავინ დაემორჩილება მას. ამიტომ ეს იურიდიული კამათი შეუძლიათ კიდევ მრავალი წელი გააგრძელონ, ფაქტი ფაქტია. იცით, ეს რას ჰგავს? რომ ვთქვათ, სანამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ დაბრუნდება, მანამდე არც ერთი ხელისუფლება არ არის თურმე კანონიერი.

– წეღან განაცხადეთ, რომ უგულავა არჩევითია, მერაბიშვილს არასდროს არავინ აირჩევსო... როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს კიდევ აქვს შანსი, აირჩიონ?

– სააკაშვილი ყველაზე მაგარი იყო მაშინ, როცა ის აირჩიეს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ არიან არჩევითები. ამას ზომავენ, ამოწმებენ სოციოლოგები და ეს მთელი თეორიაა. ჩემი აზრით, არც ბატონი ივანიშვილი და არც სააკაშვილი პოლიტიკაში აღარ დაბრუნდებიან. ერთ მდინარეში ორჯერ არავინ შედის. სააკაშვილს ახლა შეიძლება აქვს ასეთი ფიქრები. ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არ ფიქრობს ამაზე. პოლიტიკაში დაბრუნება მას არ სურს. სააკაშვილს, ალბათ, აქვს ასეთი სურვილი, მაგრამ პოლიტიკაში ძალიან მალე ისე შეიცვლება სიტუაცია, რომ სააკაშვილისნაირი პოლიტიკოსი ნამდვილად არ იქნება საჭირო. სააკაშვილი თავის დროზე ძალიან გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, მაგრამ მან, რაც შეეძლო, გააკეთა და ახალი იმედების მასზე დამყარება არასწორი იქნება. მან საქართველო დაღალა თავისი გამოსვლებით, თავისი ყვირილით, თავისი უსაქციელობით, თავისი ზრდილობით, თავისი უზრდელობით, თავისი ინგლისურით, ფრანგულით, ესპანურით, ლიტვურითა და უკრაინულით, თავისი კაცებითა და ქალებით... ყველაფრით ამოვიდა ყელში და ასე ხდება ხოლმე. მან ხალხს თავი მოაბეზრა და ამიტომ ის პოლიტიკაში ვეღარ დაბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფიგურას, ვანო მერაბიშვილისგან განსხვავებით, რომელიც არასოდეს არაფერს წარმოადგენდა. თავიდან ბოლომდე ის იყო გამოგონილი ფუყე ფიგურა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ფიგურა საქართველოში პრემიერმინისტრობამდე ავიდა და ბოლოს პრეზიდენტობის კანდიდატობამდე აპირებდა თურმე ასვლას. ეს საწყენია, რადგან საქართველო არ არის სულიერად ისეთი ღარიბი ქვეყანა, რომ ვინმეს ვანო მერაბიშვილი მოენატროს.

– მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, შეხვედრიხართ მას, ან უმრავლესობას თუ გაუმართავს კონსულტაციები კონკრეტულ საკითხებზე?

– მე პირადად არ შევხვედრივარ, თუმცა ვიცი, რომ კონსულტაციებიც იყო და შეხვედრაც იქნება აუცილებლად, რადგან, თუკი ვინმეს რამე უნდა ჰკითხო, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. თუკი ის მოიცლის ამ საქმეებისთვის კითხვას დაუსვამენ ხოლმე. თუმცა ერთი ფაქტია, რომ ტყუილი აღმოჩნდა ის ამბავი, რომ ის პოლიტიკიდან წავიდოდა და ისე მართავდა ქვეყანას. ის ქვეყანას არ მართავს კულისებიდან, არ ერევა მთავრობის საკითხებში. თუ გაგვიჭირდება და კითხვით მივმართავთ, დარწმუნებული ვარ, ამ რჩევას არ დაგვამადლის.

– შეიძლება, რომ ფარცხალაძესთან დაკავშირებით მისი რჩევა დაგჭირდეთ?

– არ ვიცი, მოხდება თუ არა კონსულტაციები ამ საკითხზე. მე არ ვარ ის ფიგურა, რომ ამ საკითხებში ვიყო ჩართული. პირადად მე ფარცხალაძის საკითხზე მოსაზრება არ მაქვს, რადგან პირადად მე არანაირად არ მეხება მისი გადადგომა-არგადადგომა. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ჩვენ დავამტკიცეთ პრემიერი და ახლა ეს მისი გადასაწყვეტია. რაც შეეხება ნასამართლობას, ნასამართლობა ფარცხალაძეს არ აქვს, რადგან ვადები არის უკვე გასული. ამიტომ იურიდიული პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება მორალურ მხარეს, ვიღაცას მიაჩნია, რომ არც მე არ უნდა ვიყო პარლამენტში, იმიტომ რომ ეგრეთნოდებული სახელმწიფო ღალატისთვის ვიყავი გასამართლებული. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ვთვლი, რომ გასარკვევია რაღაცები, ოღონდ ეს ჩემი გასარკვევი ნამდვილად არ არის. მართალი გითხრათ, მე ის უფრო მაინტერესებს, როგორ იმუშავებს პროკურატურა, ვიდრე დანარჩენი საკითხები. რაც შეეხება დიპლომის ამბავს, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ეს ფილმი ძალიან მოკლე დროში ვნახეთ, უკვე ძალიან ბევრჯერ, მგონი, მეხუთედ. ვიცით, რომ ყველას დიპლომი დაწუნებულია, არავის დიპლომი არ მოსწონთ და ყველას დიპლომში ეჭვი ეპარებათ, ვფიქრობ, დიპლომის ნაწილი ცოტა სასაცილოც კი არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ხალხთან აქვთ დამოკი
კატასტროფამდე მიიყვ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ვერც ამერიკის ძალა და ვერც ევროპის ძალა ვერ იქნება ისეთი, როგორიც შიგნიდან ხალხში მოდუღებული ძალაა“

დავით ნარმანია შეეცადა „კორკოტა“-სთვის საკუთარი „ჯიგრობა“ დაემტკიცებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გია კორკოტაშვილი ნარმანიას თბილისის სახედ მაინც არ აღიარებს. მიუხედავად ამისა, დაპირისპირება მაინც ამოწურულია. შეთანხმება დაახლოებით ასეთია. „კორკოტა“ მხარს დაუჭერს ნარმანიას, თუ თავის მხრივ, არჩევნებში გამარჯვებული მერი თბილისელებისგან დაკომპლექტებულ გუნდს მიიყვანს მერიაში. კიდევ უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, გამარჯვების შემთხვევაში, მეურნედ აღიარებულმა კანდიდატმა, მოადგილეებად ძირძველი თბილისელები უნდა დანიშნოს. ბუნებრივია, „გრეჩიხა“ არ იკადრებს ნარმანიას მოადგილეობას, თუცმა ეს პოსტი დაახლოებით ასეთი გაგების ადამიანმა უნდა დაიკავოს... ეს იმ შემთხვევაში თუ მომავალ მერს „გოროდელების“ გულის მოგება უნდა... ეს, რაც შეეხება დედაქალაქს. მთავრობასთან კი საზოგადოებას ერთი პრობლემა აქვს. გია კორკოტაშვილის თქმით, ხალხი კარგად ვერ გაერკვა როგორია ახალი ხელისუფლების გეგმა, რას აპირებენ ნაციონალებთან მიმართებაში, როგორ აპირებენ დაპირებების შესრულებას, რა სახსრებით უნდა აყვავდეს ქვეყანა, ან სულაც სად არის დაპირებული 100 ქარხანა... კორკოტაშვილი ქვეყნის მეთაურებს ურჩევს, რომ 2014 წლიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა სწორედ ასეთ საკითხებზე ისაუბრონ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, რომლებიც ნელ-ნელა „დუღდებიან“ და სადღაც აუცილებლად იფეთქებენ...

გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:

- ქვეყანაში დომინანტები ნაციონალები რომ აღარ იქნებიან, ეგ უკვე შვებას მანიჭებს. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი წინსვლაა და მადლობა ღმერთს, და მადლობა ბიძინა ივანიშვილს, რომ ასე მოხდა. ამ ყველაფერში ძალიან დიდი როლი მიუძღვის სწორედ ივანიშვილს. ის იყო ამ ნახევრად გამარჯვების სათავეში. თუ გამარჯვება არის, მაშინ ბოლომდე უნდა გავიმარჯვოთ. მე „ქართული ოცნები“-ს ხელისუფლებაში მოსვლა წარმომემდგინა აღტკინებული, ნიჭიერი, ჯანმრთელი გონების მქონე, დაუზარელი ადამიანების მოსვლით, რომლებიც აღმშენებლობას შეუდგებოდნენ. ამ პროცესს შეიძლება სწორედ კოჰაბიტაცია ამუხრუჭებს. გასაგებია, რომ არის გარე სამყარო, დასავლეთის, ევროპის, ამერიკის, რუსეთის სახით, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ამერიკელების არჩეული ხალხი „ოცნებამ“ პირდაპირ ვერ გადაყარა და ვერ მოიშორა. ახლა სწორედ ის პროცესია, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, რომ ეს ადამიანები ნელ-ნელა ჩაანაცვლონ და მათ მაგივრად ნორმალური ადამიანები დანიშნონ. მაგრამ „ოცნება“ ერთ რამეს ვერ ითვალისწინებს - რა ენერგიასაც და ნიჭიერებასაც ხარჯავს იმაზე, რომ ევროპას დაანახვოს საკუთარი დემოკრატიულობა, ამასობაში ავიწყდება, რომ უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო ქართველი ხალხისთვის, რომელიც ასე ძალიან არის გაღიზიანებული. ეს იმიტომ, რომ ვერც ამერიკის ძალა და ვერც ევროპის ძალა ვერ იქნება ისეთი, როგორიც შიგნიდან ხალხში მოდუღებული ძალაა.

- რა შემთხვევაში მოდუღდება?

- რამდენიმე შტრიხი იყო, როდესაც ქართველმა ხალხმა იქუხა და ბიძინა ივანიშვილს აუბა მხარი. ეს გამარჯვების ყველაზე მაღალი წერტილი იყო. იმის შემდეგ მაღლა სვლა აღარ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვამჩნევ. ამიტომ ქართველ ხალხს უნდა

გია კორკოტაშვილი: „შეიძლება არც გვყავდეს კანდიდატი, მაგრამ თუ ბატონ დავითზე საბოლოოდ შეჩერდება არჩევანი მაშინ ვიტყოდი, რომ მან მის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ისეთი გუნდი, რომელიც კარგად იქნება გარკვეული თბილისში და თბილისელობაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ - ᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ...ᲐᲜᲡ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ“

EXCLUSIVE

„ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ“

მოუსმინონ. ნაციონალებმა ქართველი ხალხი გაამწარა, საკუთრება წაართვა.

- კიდევ გჯერათ, რომ წართმეულ საკუთრებას ვინმე ვინმეს დაუბრუნებს?

- ეს ხელისუფლება ხალხმა სწორედ იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობა აღადგინონ. თუ სამართალი არ აღდგება, მაშინ ხალხი ამ ხელისუფლებას გაწევს და აირჩევს ისეთ ძალას, ვინც ქვეყანაში საბოლოოდ სამართიანობას აღადგენს, ევროპის და ამერიკის ხათრის გაწევის გარეშე. ჩვენ თუ ყველას ინტერესებს გავითვალისწინებთ, რა გამოვა? მაია ფანჯიკიძის განცხადება წავიკითხე, ამ ბოლო დროს, სადაც ამბობს, რომ თუკი თურქი-მესხების საქართველოში ჩამოსახლება არ მოხდება, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ჩვენს იმიჯზეო. მთავრობას მივმართავ - „წაკუზვა“ საქართველოს და ქართველებს არ აკლია და ყელში ნუ ამოგვიყვანენ. ის ევროპა იზრუნებს ან ზრუნავს ჩვენი დევნილების დაბრუნებაზე?! ჯობს ფანჯიკიძემ ეს კითხვა დასვას იქ, სადაც საჭიროა. თუ ევროპა იმით ზრუნავს ჩვენზე, რომ ერთსქესიანი ქორწინება უნდა „შემოგვტენოს“, მაშინ არ გვინდა. ჩემი ახალგაზრდობის დროსაც ბევრი იყო ასეთი ავადმყოფი, უძლურებაში მყოფი ადამიანები, მაგრამ ისინი თავისთვის იყვნენ და ამის პროპაგანდას არ ეწეოდნენ. მე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ და ლგბტ წევრებს ვერაფრით ვერ დავუშვებ და ვერ მივცემ უფლებას ღიად დააფიქსირონ თავისი თავი.

- ანუ თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ტრადიციების დაცვა, ვიდრე საგარეო კურსი, საგარეო ურთიერთობები, თუნდაც ნატო და ევროკავშირი?

- რასაკვირველია... ეს უნდა მოხდეს პარალელურად. იცით როგორ არის? თუ შენ შინაგანად ჯანმრთელი არ ხარ, თუ კიბო გაქვს, გარედან რა ფერუმარილიც არ უნდა წაგისვან, მაინც ვერ დამალავ და მაინც ვერ იქნები კარგად. მე ვფიქრობ, რომ კიბოა „ნაციონალური მოძრაობა“.

- მაგრამ ნაციონალები უკვე დიდი ხანია ხელისუფლებაში აღარ არიან... გინდათ, რომ ოპოზიციაშიც აღარ იყვნენ?

- ოპოზიციაში უნდა იყვნენ, მაგრამ ძალაუფლება არ უნდა ჰქონდეთ. თან ნამდვილი ოპოზიცია არის „ნაციონალური მოძრაობა“? ამიტომ მაქვს მე ირაკლი ღარიბაშვილის იმედი.

- ვინ მიგაჩნიათ ნამდვილ ოპოზიციად? არჩევნებმა აჩვენა რეიტინგები, სადაც ჩანს, რომ ხალხი სწორედ მათ აღიარებს რეალურ ოპოზიციად...

- ოპოზიცია არ არის ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა, და კიდევ ბევრი სხვა პარტია?

- არიან, მაგრამ მათი რეიტინგები ძალიან დაბალია, თანაც თავად ხელისუფლება არ აღიარებს, არც ნინო ბურჯანაძეს, არც კუკავას...

- მე მაინც მგონია, რომ ათი წლის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან დიდი ფული დააგროვა ხალხის ჯიბიდან. ამით, ამ ძალამ, ჟანგბადი გადაუკეტა ყველა დანარჩენ ძალებს. თუ მათთან არ თანამშრომლობდი არაფერი გამოგივიდოდა. დღეს ასე არ არის, დღეს ნაციონალები კიდევ საქმეში არიან და კიდევ აკეთებენ რაღაცებს. პარტიებს უნდა ჰქონოდათ განვითარების საშუალება, ეს საშუალება ნაციონალების დროს არავის არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს სულ სხვა რეალობა იქნებოდა. ამომრჩევლების დიდი რაოდენობა, ვერც „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ იტანს, უკმაყოფილოა მათთან კოჰაბიტაციაში მყოფი „ოცნებით“, არ მოსწონთ არც ნინო ბურჯანაძე, არ დაუდგებიან გვერდით არც კახა კუკავას. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა და ისინი ახალს ელოდებიან.

- და ეს ახალი ვინ არის, ან სად არის?

- ეგ არის პრობლემა, რომ ლიდერი არ ჩანს.

- შეიძლება, რომ ლევან ვასაძე იყოს ეს ახალი ლიდერი?

- ლევანი კარგი ბიჭია, მაგრამ არაფერს არ აკეთებს და...

- რატომ, ამ ბოლო დროს საკმაოდ აქტიურია განცხადებებში?

- ლევან ვასაძის აქტიურობა არ არის ის აქტიურობა, რომელიც მასას წაიყვანს. შეიძლება ის სინჯავს თავის პოზიციებს პოლიტიკაში... თუცმა უნდა ვთქვა, რომ ის ნამდვილი ქართველია, მაგრამ არ ვიცი რამდენად გათვითცნობიერებულია პოლიტიკაში. პოლიტიკაში ნაბიჯები სხვანაირად იდგმება. თუ გინდა, უნდა მოხვიდე და მყარად დადგე, თანაც ბოლომდე. პოლიტიკოსობა ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ასე მოაზროვნე „ოცნებაშიც“ ბევრია. ფიქრობენ, რომ ახალ ხელისუფლებას მოყვნენ, უმრავლესობაში მოვიდნენ და ამით დამთავრდა ყველაფერი. არ არის ასე. მაგალითად, ძალიან კარგი პოლიტიკოსია გია ვოლსკი. ის ნიჭიერი კაცია, არ არის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ერთი დღით. ვიცი და მჯერა, რომ ის კარგს გააკეთებს.

- სამართლიანობის აღდგენის გარდა კიდევ სხვა პრეტენზია გაქვთ ხელისუფლებასთან?

- სამართიანობის აღდგენა ძირითადი თემაა. მაგრამ ხელისუფლებამ ხალხს უნდა აუხსნას ის, რასაც აკეთებს. ისედაც ჭრილობიან ორგანიზმზე მარილი აღარ უნდა დაუმატო. საზოგადოებას უნდა მოეფერონ, აუხსნან რას აკეთებენ, რა არ გამოსდით, რატომ არ გამოსდით. ძალიან კარგად იციან, რომ 100 ქარხანა ვერ აშენდებოდა, ყველა მშიერი ვერ დაპურდებოდა, ყველა დაუსაქმებელი ვერ დასაქმდებოდა. უნდა აუხსნას, ეს რატომ ხდება. ეს ხელისუფლება ხალხთან ახლოს არ არის. ეს ძალიან დიდი შეცდომაა. ხალხთან აქვთ დამოკიდებულება - ნული და ეს კატასტროფამდე მიიყვანს ამ ხელისუფლებას, თუ არ შეცვალეს მიდგომა. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ რეკლამა და პიარი არ გვინდაო, მაგრამ ეს სახელმწიფოა და აქ სხვანაირი თამაშებია და ახსნა საჭიროა. მე კი ვიცი რასაც აკეთებენ, მაგრამ ხალხს არ ესმის.

- რას აკეთებენ?

- მათ უნდათ სუფთა პოლიტიკის მიღება და პოლიტიკას ასუფთავებენ სიბინძურისგან. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხთან ურთიერთობას გააძლიერებენ. ამით ისინი გააძლიერებენ იმ თემას, რომელზეც თავად დგანან, რადგან შეიძლება პარლამენტში დადგეს მომენტი, როცა „ოცნება“ გაიხლიჩება და ასეთ შემთხვევაში ვინ ვის მხარეს დადგება არავინ იცის. პროამერიკულ ძალებსაც ვხედავ, რომლებსაც გეგმაში აქვთ ერთ გუნდად შეკვრა. ამიტომ პროქართული ძალები ვინც არიან „ოცნებაში“ ერთად უნდა იყვნენ.

- პროამერიკული პროქართული არ არის?

- არა, არ არის. ვერც იქნება. როგორ ფიქრობთ, პროქართული ძალა დაუშვებს, რომ ბიჭმა ბიჭი მოიყვანოს ცოლად? რა თქმა უნდა, არ დაუშვებს. იცით რა? მოდით ექსპერიმენტი ჩაატარონ პარლამენტში იმ წევრებმა, ვინც ასეთ კანონს მხარს დაუჭერს. გაათხოვონ საკუთარი შვილი-ბიჭები. ჩვენ შევხედავთ და თუ კარგი იქნება, მაშინ ქართველი ხალხი მათ ტაშს დაუკრავს. მანამდე ჩვენ ამ კანონს არ დავუშვებთ და საკუთარ შვილებზე ასეთ ექსპერიმენტს არ ჩავატარებინებთ. საკუთარ შვილებზე კი არა, ასეთი რამისთვის მტრის შვილიც არ მემეტება. ამერიკა შეიძლება ბევრ რამეში გვეხმარებოდეს, დემოკრატია მოჰქონდეს, მაგრამ ვაღიარებ - ამერიკა, როგორც მიყვარდა საბჭოთა კავშირის დროს, ახლა ისე აღარ მიყვარს.

- ანუ თქვენ ფიქრობთ და ელოდებით, რომ კოალიცია გაიხლიჩება?

- ირაკლი ღარიბაშვილს ძალიან დიდი ჯვარი დააკისრეს. მას შეუძლია ისტორიაში ჩაეწეროს ძალიან დიდ მმართველად. შეიძლება ძალიან დიდი აურზაური ატყდეს მის დროს და ეს იმიტომ მოხდება, რომ სწორად დაალაგებს და წაიყვანს ყველაფერს. მან უნდა მოახერხოს და დაუსხლტეს პროამერიკულსაც, პრორუსულსაც, პროევროპულსაც და ძირითადად პროქართული ინტერესები გაიტანოს.

- პროქართული ძალა რომელია „ოცნებაში“?

- ვისაც სიტყვა საქართველო მართლა გულზე ახატია ის ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ, რომ არავის პრო არ იყვნენ და ვიყოთ ნამდვილი ქართველები. ჩვენ ჩვენი ტრადიციები არ უნდა დავივიწყოთ.

- შეეგუეთ ნარმანიას კანდიდატობას თუ ისევ წინააღმდეგი ხართ?

- არ მგონია, რომ საბოლოოდ ნარმანიაზე შეჩერდეს არჩევანი. თუმცა ჩემი შეთავაზებები მე მაქვს.

- თქვენ ამბობდით, რომ საკუთარი კანდიდატი გეყოლებოდათ, ეს შეთავაზება ძალაში რჩება?

- შეიძლება არც გვყავდეს კანდიდატი, მაგრამ თუ ბატონ დავითზე საბოლოოდ შეჩერდება არჩევანი, მაშინ ვიტყოდი, რომ მან მის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ისეთი გუნდი, რომელიც კარგად იქნება გარკვეული თბილისში და თბილისელობაში.

- ანუ თქვენ შეიძლება შესთავაზოთ მოადგილე ან მოადგილეები, რომლებიც ნარმანიასთან იმუშავებენ?

- რასაკვირველია. იყოს, კი ბატონო, ნარმანია მეურნე, მაგრამ გუნდი უნდა შემოიკრიბოს თბილისელებისგან. საერთოდ სხვადასხვა მოდელი არსებობს. შეიძლება იყოს ქალაქელი კაცი, ძალიან ცნობილიც, კომუნიკაბელურიც, მაგრამ არ იყოს მეურნე. თუ წავალთ იმ მოდელით, რომ დედაქალაქის მერი აუცილებლად უნდა იყოს მეურნე, მაშინ მას უნდა ჰყავდეს ისეთი მოადგილეები, რომლებიც ერთიანობაში შექმნიან თბილისის სახეს. დავით ნარმანიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის ვერ გახდება თბილისის სახე, ეს სიმართლეა და მას არ ეწყინება დარწმუნებული ვარ. დავით ნარმანია არის კარგი ბიჭი და მეურნე, მაგრამ არა თბილისის სახე. მაგრამ თბილისის სახე გახდება იმ შემთხვევაში, თუ ეყოლება თბილისელებისგან დაკომპლექტებული გუნდი.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

MEIDAN GROUP

გილოცავთ ახალ წელს!®





ტელ.: +995 (322) 509 901
ელ.ფოსტა: Info@meidan.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ჯგუფი GROUP

გილოცავთ ახალ წელს

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI ორბელი ჯგუფი

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვენ�i გილოცავთ შობა-ახალი წელს

და გთავაზობთ 20 იანვრის ჩათვლით

20%-დან 40%-მდე

ფასდაკლებით ენვიტას, დოქტორ ფიშერის, დოლივას, აჰავას, ალკალუტის, საუგელას, აღგასანისა და ტონუს ელასტის სამკურნალო პროდუქციას

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

+995 32 296 72 27

www.aversi.ge

ავერსი AVERSI

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2013 წლის 5 სკანდალური პატიმარი

ხმაურიანი დაპატიმრებებით გამოძიება სააკაშვილის კვალზე გასვლას გეგმავს

my View

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურაში ხელმძღვანელობის შეცვლამ სამართლიანობის აღდგენის იდეის მხარდამჭერებს იმედი ჩაუსახა. მათი მოლოდინები ახლა ერთი მთავარი მიმართულებით არის მიპყრობილი - მოახერხებს თუ არა გამოძიება სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემას. ბოლო პერიოდში წრე თითქოს მართლაც შევიწროვდა და, ერთი შეხედვით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ გამოძიება სააკაშვილის კვალს დაადგა. უკვე დაანონსებულია, რომ მომავალი წელი, უფრო ზუსტად თვითმმართველობის არჩევნებამდე პერიოდი, გახმაურებული საქმეების გახსნის წელი იქნება, მათ შორის ყველაზე აქტიურად კვლავ ჟვანიას საქმე სახელდება.

2013 წლის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ პატიმრად შეგვიძლია დავასახელოთ ბაჩო ახალაია. ბევრი საუბრობდა იმაზე, რომ ახალაიები ხელისუფლებას გაურიგდებიან და საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ გამოძიებას სააკაშვილის ბრალეულობის შემცველ კომპრომატებს გადასცემდნენ. ამბობდნენ იმასაც, რომ ბაჩო ახალაია სწორედ გაჩუმების მიზნით შეიწყალა სააკაშვილმა მისი საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეებში. მკითხველს გავახსენებ, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ სასამართლოში ერთდროულად სამი პროცესი მიმდინარეობდა, რომელთაგან ორში ის მოსამართლემ გაამართლა, ერთ ეპიზოდში კი, რომელიც ეხებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო სპეცრაზმელების წამებას, 3 წლითა და 9 თვით პატიმრობა შეეფარდა. სწორედ ამის შემდეგ შეიწყალა ის სააკაშვილმა და რომ არა შეწყალებამდე წაყენებული კიდევ ერთი ბრალი და სასამართლოს მიერ ხელახლა შეფარდებული წინასწარი პატიმრობა, ახალაია უკვე თავისუფლებაზე იქნებოდა. შეწყალების აქტს პროკურატურამ სულ რამდენიმე დღით დაასწრო და ყოფილ მაღალჩინოსანს ბრალი გირგვლიანის საქმეზეც წაუყენა.

ახალაიები მოქმედ ხელისუფლებას არ გაურიგდებიან - ასეთია ოჯახის პოზიცია, თუმცა კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ შესაძლოა ძებნილობაში მყოფმა დათა ახალაიამ ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ჩვენება მისცეს არა სააკაშვილის, არამედ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ. ამ მოსაზრების გასამყარებლად კი, რამდენიმე თვის წინათ, სოციალური ქსელით დათა ახალაიას მიერ გავრცელებული განცხადება მოჰყავთ, სადაც ის ბრალდებებს სწორედ ვანო მერაბიშვილს უყენებს.

„...მე ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის - ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენ ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა, ჩემს ძმაზე შურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ციხის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მარშუტირება, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენ დამარცხებაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იაღლუჯაზე ჩვენი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ჩემს ძმას ასამართლებენ. აქვე დავძენ, რომ მე არ ვამტკიცებ, თითქოს ვანო მერაბიშვილი გარიგებული იყო მაშინდელ ოპოზიციასთან, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია - საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალაიები დაზარალდებოდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურების წყალობით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიმპზე დარჩებოდა, რადგან არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა...“, - წერდა დათა ახალაია სოციალური ქსელით გავრცელებულ განცხადებაში.

საბოლოოდ, ვანო მერაბიშვილიც დააკავეს, თუმცა არა დათა ახალაიას „ჩვენების“ საფუძველზე. მას ბრალი რამდენიმე ეპიზოდით წაუყენეს: ფიქციური დასაქმებები, გირგვლიანის საქმე, კვარიათის აგარაკის მისაკუთრება და 26 მაისის თემა. ექსპერტების ნაწილი ვარაუდობდა, რომ ახალაია კი არა სწორედ მერაბიშვილი იქნებოდა ის, ვინც სააკაშვილის წინააღმდეგ ალაპარაკდებოდა. ვარაუდები ამ შემთხვევაშიც არ გამართლდა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, თუმცა ცოტა ხნის წინ მერაბიშვილის მიერ გაკეთებულმა სკანდალურმა განცხადებამ ბევრი დაიფიქრა. საზოგადოების ნაწილმა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მიერ ნათქვამი ფრაზა - „მთხოვდნენ ჟვანიას საქმეზე სააკაშვილისთვის დამედო ხელი და ასევე მიმეთითებინა მისი ფინანსური ანგარიშები“, აღიქვა, როგორც კონკრეტული გზავნილი ამერიკაში მყოფი სააკაშვილის მიმართ. მერაბიშვილის განცხადებაში ასეთი ქვეტექსტი ამოიკითხა მოქმედმა პრემიერმაც. ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პატიმრობაში მყოფი გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის მიერ მთავარი პროკურორისგან ზეწოლის შესახებ გაკეთებული განცხადება, შესაძლოა, ემსახურება სააკაშვილის დაშანტაჟებას.

„არსებობს რამდენიმე ვერსია, რატომ გააკეთა ეს განცხადება. მე მოვისმინე განცხადებები, რომ დააკავეს ძველი თბილისის გამგეობის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც იყო ჟვანიას დაცვის წევრი და მძღოლი, ან შესაძლოა მერაბიშვილი ცდილობს დააშანტაჟოს მისი ყოფილი ხელმძღვანელი სააკაშვილი“, - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ჟვანიას დაცვის წევრი, რომელზეც პრემიერ-მინისტრი საუბრობს, კობა ხარშილაძეა. ის, რამდენიმე დღის წინ დააპატიმრეს, თუმცა არა ჟვანიას საქმეზე. გამოძიება ხარშილაძეს სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობას ედავება და ასევე შემოსავლების უკანონო ლეგალიზაციას, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ხარშილაძე ჟვანიას დაცვის უფროსი გახლდათ და როგორც ამბობენ, მან პირველმა ნახა გარდაცვლილი პრემიერი და დეტალურად იცის, თუ რა მოხდა იმ დღეს საბურთალოს ქუჩაზე. შემატებს თუ არა რამე სიახლეს გამოძიებას ხარშილაძის ჩვენება, ან დაადებს თუ არა ის ხელს რომელიმე მაღალჩინოსანს, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ მას პროკურატურა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოწმედ განიხილავს.

და ბოლოს... 2013 წლის ერთ-ერთ ხმაურიან პატიმრად შეიძლება მივიჩნიოთ დავით კეზერაშვილი. თავდაცვის ყოფილი მინისტრი საფრანგეთში 15 ოქტომბერს დააკავეს. კეზერაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით აქვს წაყენებილი - საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნის და ქრთამის მიღების, იგი ასევე ბრალდებულია „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზეც გიგი უგულავასთან ერთად. ერთი ეპიზოდი ეხება „თბილსერვის ჯგუფში“ 700-ზე მეტი მოქალაქის დასაქმებას, ხოლო მეორე ეპიზოდი ეხება ტელეკომპანია „იმედის“ უკანონოდ მითვისებას და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას. შსს-ს ცნობით, ამჟამად საფრანგეთის პროკურატურის მიერ დავით კეზერაშვილის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები. ქართული მხარე მის საქართველოში ექსტრადირებას მოითხოვს. სანამ კეზერაშვილი საფრანგეთის იზოლატორში იმყოფება, მისი ბრალეულობის შესახებ საქართველოში სხვადასხვა ინფორმაციები ვრცელდება. მოარული ხმებით საუბარია იარაღით უკანონო ვაჭრობაზე, თუმცა ეს თემა ოფიციალურად არ დასტურდება. ხმები იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც სამართალდამცველებმა დააკავეს ალექსანდრე ნინუა, რომელიც კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს შესყიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ითქვა, რომ ნინუას დაკითხვას უშუალოდ ამერიკის „ეფბიაი“ ითხოვდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის პრესკლუბი“ წლის ლიდერი გახდა

ნანა შონია

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, „ქართული ბრენდის დღის“ რიგით მე-11 საზეიმო დაჯილდოებაზე „პრაიმტაიმის პრესკლუბს“ წლის ლიდერი ბრენდის ჯილდო მიენიჭა.

პრესკლუბის სახით, პირველად, სწორედ „პრაიმტაიმმა“ შექმნა თავისუფალი ტრიბუნა, რომელიც ერთნაირად ხელმისაწვდომია ყველა სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფებისთვის. „პრაიმტაიმის“ პრესკლუბის სახით მედიასივრცეში შეიქმნა სრულიად განსხვავებული ფორმატი, რომელიც წარმატებით დაინერგა ქართულ მედიასივრცეში.

თამარ ფხაკაძე, გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი: „გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ ქართულ მედიასივრცეში სამი წლის წინათ დანერგა ნოვაცია პრესკლუბის სახით, მას შემდეგ ძალიან ბევრი პრესკლუბი გაიხსნა. მიხარია, რომ ჩვენი იდეა წარმატებით დაინერგა ქართულ მედიასივრცეში. მინდა ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, ვინც ეს აითვისა“.

ელგუჯა მარღია, „ქართული ბრენდის დღის“ დამფუძნებელი: „ტრადიციისამებრ, წელს, უკვე მეთერთმეტედ ტარდება დაჯილდოების ცერემონიალი წარმატებული ქართული ბრენდებისთვის, სახელწოდებით „ქართული ბრენდის დღე“. მოხარულები ვართ, რომ წელს კიდევ გამოვლინდნენ ლიდერი ბრენდები და მინდა წარმატება ვუსურვო ყველას“.

მანანა გეგიძე, „ქართული ბრენდის დღის“ დამფუძნებელი: „როგორც ყოველ წელს, წელსაც განსაკუთრებულ და საზეიმო ვითარებაში ჩაიარა წლევანდელმა დაჯილდოებამ. „ქართული ბრენდის დღემ“ ღირსეულად დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ სინამდვილეში. ჩვენმა პროექტმა შეძლო წარმოეჩინა არაერთი ქართული ბრენდი მისი განვითარების ყველა ეტაპზე“. მე მინდა მადლობა ვუთხრა პროექტის პარტნიორებს: საქართველოს ეროვნულ აკადემიას, „გრანდ ექსპოს“, „ემბი თრენინგს“, „საქართველოს ფოსტას“, „ჰორტენზიას“, „ლეგატოს“, „აიტი ექსპერტს“. „რუსთავი 2“-ს, „მაესტროს“, „პირველ არხს“, „მესამე არხს“, „საპატრიარქოს ტელევიზიას“, „რადიო ფორტუნას“, „ფორტუნა+“-ს, „სტარეფემს“, გაზეთ „პრაიმტაიმს“, ჟურნალ „სარკე“-ს, გაზეთ „ყველა სიახლეს“, „იტვ. გე“-ს, „ფორ.გე“-ს, „პრესა.გე“-ს, „დრონი.გე“-ს, „მაი ვიდეო.გე“-ს“.

„ქართული ბრენდის დღის“ რიგით მე-11 საიუბილეო საღამოს „ბრენდ პერსონის წოდება“ წელს ყველასთვის საყვარელ მსახიობს გივი ბერიკაშვილს მიენიჭა.

გივი ბერიკაშვილი, მსახიობი: - ყველაზე დიდი ჯილდო არის ის, როცა გაფასებენ. მე ამისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი ჩვენს ხალხს. როდესაც ხალხი ასეთ არჩევანს აკეთებს და ასეთ ნომინაციაში გამარჯვებული ხდები, სიმართლე გითხრათ, ცოტა ვიბნევი, მაგრამ ყველას ვეუბნები, მზად ვარ ვემსახურო ჩემს ქვეყანას, ამას ვაკეთებდი ყოველთვის.

„ახალი ქართული ბრენდი“-ს ნომინაციაში კი გამარჯვება წელს სუხიშვილების ახალ, წარმატებულ პროექტს „რამიშვილებს“ ხვდა წილად.

ნინო სუხიშვილი: - ძალიან სასიამოვნოა ყველანაირი დაჯილდოება. სასიამოვნოა, როცა გაფასებს ერი, ქვეყანა, მაყურებელი. ჯილდო წელს პროექტმა „რამიშვილებმა“ მიიღო. ეს პროექტი ჩემთვის და ილიკოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ პროექტში ჩვენ ყველაფერი ჩავდეთ. ის, რაც გვიყვარს, გვტკივა და გვიხარია. როცა ასეთი აღიარება და მოწონება მოჰყვება ამას, ეს ძალიან სასიამოვნოა. ეს არის ჩემი ხალხის უსიტყვო აღიარება.



ნომინაცია „ლიდერის“ გამარჯვებულები:

- კომპანია „პე-ეს-პე“; რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „სანტე“; ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნიკორა“; დავით გაგუას კლინიკა, ტელეგადაცემა „ცეკვავენ ვარსკვლავები“; სს „სარაჯიშვილი“; ჟურნალი „სარკე“; რადიოსადგური „ფორტუნა“; თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზი“; სილამაზის სალონების ქსელი „ნატალი“; სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“; „თელავის ღვინის მარანი“; ტელეგადაცემა „სხვა შუადღე“.

ნომინაცია „რეპუტაცია და ნდობა“

კორძაძის საადვოკატო ბიურო; ავეჯის მწარმოებელი კომპანია „ოპ-არტი“; სტომატოლოგიური კლინიკა „უნიდენტი“; „პანორამის თეატრი“; რესტორანი „ქართული სახლი“; სამშენებლო კომპანია „მგზავრები“, სარეკლამო კომპანია „ქედი-სტუდიო“; პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი „ქალთა ბედნიერება“; ჟურნალი „ბომონდი“; საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“; ტელეგადაცემა „კვირიკე“.

ნომინაცია „ახალი ქართული ბრენდი“

ჭიპლარის ღეროვანი უჯრედის ბანკი „ჯეოქორდი“; ენდოკრინოლოგიური კლინიკა „ენმედიცი“; პურ-პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „მარგი“; კომპანია „მაკნატუნა“; რესტორანი „რივერსაიდ ბაბილო“; ჯგუფი „შინ“; სუხიშვილების პროექტი „რამიშვილები“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა, ალბათ, არის ის, რომ ისინი ნებისმიერი ფაქტის დაფიქსირებისთანავე იწყებენ მის უარყოფას“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ გასული წელი ბევრ სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯით გამოირჩეოდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ეს წელი განსაკუთრებული იყო ერთი დეტალით. 2013 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პირველად დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც არასამთავრობომ ხელისუფლებას მოუგო სასამართლო პროცესი. პროცესი მანამდეც ბევრი ყოფილა, თანაც ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საჯარო ინფორმაციის მოწოდება რომელიმე კონკრეტული უწყებიდან. ეს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ეკა გიგაურის განცხადებით, მათ პროცესებიც მოიგეს და სამსახურიდან უსამართლოდ გადაყენებული ადამიანებიც აღადგინეს. მაგალითად, ქუთაისის ორი ვიცე-მერი... თუმცა ახალ ხელისუფლებაზე საუბრისას არასამთავრობოები ერთ მთავარ მინუს უკვე ასახელებენ. მათი დაკვირვებით, ახალი ხელისუფლება ნებისმიერი ფაქტის დაფიქსირებისთანავე ცდილობს, ყველაფერი უარყოს, შემდეგ კი თავადვე უწევთ პირველად დაფიქსირებული პოზიციის დაცვა...

EXCLUSIVE

ეკა გიგაური: „დღეს ადამიანები საკუთარი უფლებების დარღვევებზე ხმამაღლა და ყოველგვარი შიშის გარეშე საუბრობენ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დაახლოებით 15 საჯარო მოხელე აღვადგინეთ სამსახურში, მათ შორის ქუთაისის ორი ვიცე-მერი“

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი:

– ჩვენთვის, არასამთავრობოებისთვის, კანონის უზენაესობის პრინციპები ყველაზე მაღალი პრინციპია, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ. შესაბამისად, ამოვდივართ ერთი ამოსავალი წერტილიდან – კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ყველა ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული, მით უმეტეს, თუ საუბარია პოლიტიკურ ოპონენტზე და იმ ადამიანზე, რომელიც შეიძლება მთავარი კონკურენტი გახდეს მმართველი კოალიციის მერობის კანდიდატისთვის. საერთაშორისო ორგანიზაცია სამართლიანობის აღდგენის მთელ პროცესს ძალიან ზედმიწევნით უყურებს. თუ ამ პროცესს მათი თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ არჩეული მერისთვის უფლებამოსილების შეჩერება არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა უფლებამოსილების შეწყვეტა ისე, რომ თავად მოქმედი მერი არ დასწრებია სასამართლო პროცესს. ბუნებრივია, ვიცით, რომ სასამართლოს ჰქონდა უფლება, უგულავას დასწრების გარეშე განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება, თუმცა რამდენად მიზანშეწონილი იყო ეს ყველაფერი, სხვა საკითხია. ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა, ალბათ, არის ის, რომ ისინი ნებისმიერი ფაქტის დაფიქსირებისთანავე იწყებენ მის უარყოფას. ეს კი ისევ მათ აყენებს ცუდ მდგომარეობაში, რადგან მერე სჭირდებათ ისევ საკუთარი პოზიციის დაცვა. მით უმეტეს, როცა არ არის გამორიცხული, რომ მერაბიშვილისა და უგულავას განცხადებები ტყუილი შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთ დროს ხელისუფლების სწორი რეაქცია იქნებოდა, თქვან, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევას გამოიძიებენ.

– ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი დამატებით კითხვებს გააჩენს დასავლელი პარტნიორების მხრიდან?

– თუ ადეკვატური რეაგირება არ იქნება ხელისუფლების მხრიდან, მაშინ, ბუნებრივია, კითხვები გაჩნდება და ეს კითხვები იქნება სერიოზული. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანის უფლებების დაცვის, უსაფრთხოების კუთხით ნამდვილად არის წინსვლა. მე მახსოვს წინა ხელისუფლების დროს ის ადამიანები, ვის უფლებებსაც ვიცავდით. ხშირ შემთხვევაში ამ ადამიანებს ეშინოდათ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისა ხელისუფლებასთან მიმართებაში. მაგალითად, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდით საკუთრების დაცვის თემებზე, ძალიან ბევრი ადამიანის ინტერესების დაცვას ვცდილობდით. ძალიან ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც ძალით ათმობინებდნენ საკუთრებას. ამაში იყვნენ ჩართულები როგორც პროკურატურის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი წარმომადგენლები. ეს მასალები ჩვენ გადავეცით ახალ ხელისუფლებას. დღეს ადამიანები საკუთარი უფლებების დარღვევებზე ხმამაღლა და ყოველგვარი შიშის გარეშე საუბრობენ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დაახლოებით 15 საჯარო მოხელე აღვადგინეთ სამსახურში, მათ შორის ქუთაისის ორი ვიცე-მერი. მინდა გითხრათ, რომ ეს იყო ის შემთხვევები, როცა ჩვენ მოვიგეთ სასამართლო პროცესები. სწორედ ამ პერიოდში დავიწყეთ სასამართლო პროცესების მოგება. წინა ხელისუფლების დროს ეს წარმოუდგენელი იყო.

– წინა ხელისუფლების პირობებში რამდენი საქმე მოიგეთ?

– არც ერთი პროცესი არ მოგვიგია წინა ხელისუფლების დროს. წინა წლებში შეუძლებელი იყო, პროცესი მოგეგო. დაწყებული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვიდან, დამთავრებული სხვა საკითხებით, არც ერთი პროცესი არ მოგვიგია.

– რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას, ამ მხრივ, არის სხვაობა?

– ახლა, როგორც წესი, არ იქმნება ხოლმე პრობლემა. ამ ეტაპზე ყველა ცდილობს, პასუხები გაგვცეს და საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოს. წინა ხელისუფლებასთან სასამართლო დავებიც გვქონდა საჯარო ინფორმაციების არმოწოდების გამო. მათ შორის მერიასთანაც. ისინი უარს აცხადებდნენ სარემონტო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე. აქედან გამომდინარე, ბევრი პრობლემა იქმნებოდა. დღეს თავადაც აცხადებენ და აღიარებენ ამ პრობლემების არსებობას. ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ასევე ფარული მოსმენები და ის ტექნიკური შესაძლებლობები, რაც დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს... ბუნებრივია, ამბობენ, რომ მსგავსი რამ აღარ ხდება. თუ წინა ხელისუფლების დროს ამ სიტყვების გადამოწმების საშუალება არ გვქონდა, ახლა ვითხოვთ კანონში ცვლილებებს და სამართლებრივი ჩარჩოების დადგენას. აქ საუბარია არა მარტო ადამიანის მოსმენაზე, არამედ მისი ადგილმდებარეობის გარკვევაზე, მის ტექსტურ შეტყობინებებზე, ინტერნეტში მის „მოძრაობაზე“... თუ ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტზე, მაშინ დამეთანხმებიან, რომ კანონის შეცვლა საჭიროა. ჩვენი კანონმდებლობა, ამ მხრივ, არანაირ კრიტიკას არ უძლებს. ამ საკითხზე ჩვენ უკვე დაახლოებით ერთი წელია ვმუშაობთ. სხვადასხვა სამინისტროებში გვყავს მხარდამჭერები.

– რა ხდება საბიუჯეტო ფინანსებისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მხრივ?

– ძალიან დიდი სხვაობაა ამ მხრივაც. თუკი ვისაუბრებთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე წინასაარჩევნო პერიოდში, ამ შემთხვევაში ნამდვილად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს და წინასაარჩევნო პერიოდები 2012 წელს ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე წინა წლებში. ამაზე ჩვენი ანგარიშებიც მეტყველებს. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ძალიან მცირე შემთხვევები დაფიქსირდა. წინასაარჩევნოდ ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ფაქტებიც თითქმის არ იყო. ჩვენ ვსაუბრობდით პენსიების გაზრდაზე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს წლის დასაწყისში იყო დაგეგმილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავსი დამთხვევებიც არ უნდა მოხდეს. ჩვენ ასევე გამოვაქვეყნეთ ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. საუბარი იყო პირდაპირი წესით დადებულ კონტრაქტებზე. 2012 წელს პირდაპირი წესით დადებულმა კონტრაქტების ღირებულებამ მილიარდ 800 მილიონი შეადგინა. ეს არის ტენდერები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებმა სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციებთან ელექტრონული ტენდერების სისტემის გვერდის ავლით მოახდინეს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ტენდერები იდებოდა იმ ბიზნესორგანიზაციებთან, რომლებიც შემოწირულობას ახორციელებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. წელს მსგავს კონტრაქტებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 540 მილიონია გახარჯული.

– რაც შეეხება ბოლო პერიოდში გასკანდალებულ ძვირადღირებული ავტომობილების შეძენის საკითხებს, როგორ ფიქრობთ, უნდა დაწესდეს თუ არა ზედა ზღვარი, რათა ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხის გახარჯვა არ მოხდეს?

– აქ არის მიზანშეწონილობის თემა, ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად აქტიური იქნება აუდიტის სამსახური, რადგან წინა წლის განმავლობაში აღნიშნულმა უწყებამ არ იაქტიურა. სწორედ ეს სამსახური სწავლობს მსგავს საკითხებს. ერთია, სამართლებრივად რამდენად სწორად შეისყიდა კონკრეტულმა უწყებამ რაიმე სერვისი ან პროდუქტი და მეორეა, რამდენად სჭირდებოდათ ეს მათ. მგონი, ჩვენს სიტუაციაში, როდესაც სხვა გამოსავალი არ გვაქვს, სჯობია, დაწესდეს ზედა ზღვარი, თუმცა, ზოგადად, ის, რომ ქვეყანაში არის საჭიროება, სახელმწიფო მოხელესა და ბიუჯეტის განმკარგველს დაუწესო ზღვარი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავად არ იცის პრიორიტეტების დალაგება, ძალიან სასაცილოა.

„ძალიან ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც ძალით ათმობინებდნენ საკუთრებას. ამაში იყვნენ ჩართულები როგორც პროკურატურის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი წარმომადგენლები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2014 წელს კომპრომატე

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ნებისმიერი ხელისუფლება თავისი შეცდომების ტყვე ხდება მაშინ, როდესაც ის ვერ ახერხებს შეცდომის აღიარებას“

მთავარი პროკურორის ირგვლივ აგორებულმა სკანდალმა საზოგადოების ნაწილში გააჩინა ეჭვი, რომ მომავალი წლიდან კომპრომატების ომი კიდევ უფრო გააქტიურდება. ექსპერტების აზრით, ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი დევნის პარალელურად საზოგადოება ბევრი სიურპრიზის მომსწრე გახდება. რას უნდა ველოდოთ სამართლიანობის აღდგენის კვალდაკვალ 2014 წელს? რა კომპრომატებით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ხელისუფლება და ოპოზიცია? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო ხათუნა, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, რა გაკეთდა 2013 წელს სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით?

– განვლილ წელს მე გავყოფდი ორ ეტაპად – დეკემბრამდე და დეკემბრის შემდეგ. დეკემბრამდე პერიოდში სასაყვედურო უფრო ნაკლები იყო ხელისუფლების მიმართ, რადგან სამართლიანობის აღდგენის ქოლგის ქვეშ ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, კანონი არ დაერღვია. ჩვენ გვახსოვს, რომ კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით მოსულმა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ მაშინვე დაიწყო შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაკავება. ხშირ შემთხვევაში მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები სამართლიანი იყო, მაგრამ თავად დაკავების ფორმა იმდენად კანონის ფეხქვეშ გათელვით წარმოებდა და შემდეგ უკვე სასჯელის შეფარდების მომენტიც, რომ თავად „ნაციონალური მოძრაობა“ აღმოჩნდა მთავარი კანონდამრღვევი. როდესაც მაშინ საზოგადოებამ ამაზე რეაქცია არ მისცა, ეს იქცა „ნაციონალური მოძრაობის“ წახალისების მექანიზმად. მაშინ არა თუ კრიტიკულად შეაფასა საზოგადოებამ კანონის ფეხქვეშ გათელვა კანონიერების აღდგენის ეგიდით, არამედ პირიქით, ამ პროცესს ჰქონდა აქტიური მხარდაჭერა. დღევანდელმა ხელისუფლებამ, მიუხედავად საზოგადოების დაკვეთისა, მოახერხა და ყველაზე მაღლა დააყენა კანონის მოთხოვნები, ის არ წავიდა მასობრივ დაპატიმრებებზე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დეკემბრამდე.

– და რა მოხდა დეკემბერში ისეთი, რომ წარმოდგენა შეგეცვალათ?

– დეკემბერში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ჩვენ გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საზოგადოების აქტიური ნაწილი ხელისუფლებას კანონდარღვევას ედავება და ითხოვს მის გამოძიებას. ამ თვალსაზრისით გამოვყოფდი მერაბიშვილის საქმეს, ვგულისხმობ ციხიდან გაყვანის ეპიზოდს. გავრცელდა ვერსია, რომ თითქოს ამის ინსპირირება თავად მერაბიშვილმა მოახდინა, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს ხელისუფლებას პასუხისმგებლობას არ უხსნის. გამოდის, რომ არა მხოლოდ დააშავა ხელისუფლებამ, არამედ წამოეგო კიდეც სხვის მიერ გადმოგდებულ ანკესს. ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის სისუსტეს. ნებისმიერი ხელისუფლება თავისი შეცდომების ტყვე ხდება მაშინ, როდესაც ის ვერ ახერხებს შეცდომის აღიარებას. როდესაც ხელისუფლება ცდილობს შეცდომის დაფარვას, ის კიდევ უფრო მეტ შეცდომას უშვებს და საბოლოოდ შეიძლება ეს შეუქცევად პროცესად ჩამოყალიბდეს. არადა ძალიან კარგი პრეცედენტი გვიჩვენა თავად ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს არა მხოლოდ გაათავისუფლა თავისი მოადგილე, არამედ პასუხისგებაშიც კი მისცა ხვედელიძე. იმედი მქონდა, რომ პრემიერმინისტრობის პერიოდშიც ეს იქნებოდა მისი ხელწერა. ძალიან არ მინდა, ღარიბაშვილი გახდეს იმ შემთხვევების ტყვე, რომელსაც მას გარემოება აიძულებს.

– გასაგებია... რაც შეეხება დაპირებებს, რომელსაც „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ გასცემდა, რამდენად მოახერხა ხელისუფლებამ წელს ამ დაპირებების შესრულება და ხომ არ ფიქრობთ, რომ თავის დროზე ბევრი არარეალისტური დაპირება გაიცა?

– სამწუხაროდ, პოლიტიკა ისეთი სფეროა, რომლისთვისაც უცხო არაა არჩევნების წინ უამრავი დაპირების გაცემა და საბოლოოდ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ 30, ან 50 პროცენტი სრულდება. ეს, სხვათა შორის, მხოლოდ ქართულ პოლიტიკას არ ახასიათებს. თუ თვალს გადავავლებთ წინასაარჩევნო პერიოდს, თავად ბიძინა ივანიშვილი ძალიან ფრთხილი იყო საკუთარ დაპირებებში, მიუხედავად ამისა, პროგრამაში მაინც მოხვდა ბევრი ისეთი დაპირება, რომლის განხორციელებაც არარეალური აღმოჩნდა. თუკი საუბარია დაპირებაზე, რომელიც ეხება სამართლიანობის აღდგენას, ეს ის დაპირებაა, რომელიც ხელისუფლებას აუცილებლად უნდა გაეცა, არა

„კომპრომატების გამოქვეყნება, მათ შორის მოქმედ თუ პოტენციურ მაღალჩინოსნებზე, არის რეალური საფრთხე. პროკურორის ნასამართლობის შესახებ აგორებული სკანდალიც სწორედ ამაზე მეტყველებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბის ომი გააქტიურდება

მხოლოდ საზოგადოებრივი დაკვეთიდან, არამედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეც. ყოველმა შემდგომმა ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება. თუმცა, როდესაც „ქართული ოცნება“ ამ დაპირებას გასცემდა, ბევრი რამ, როგორც ჩანს, ვერ გაითვალისწინა. იგივე „ნაციონალების“ გავლენები პროკურატურასა და სასამართლოში. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის სასამართლო და პროკურატურაა, რომელიც 9 წლის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანულ ნაწილად იქცა. კითხვები ჩნდება, რატომ შედიოდა სასამართლოში პროკურატურის მხრიდან მოუმზადებელი საქმეები, რომლებზეც მოსამართლეს შეეძლო, ხელაღებით ეთქვა უარი? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ერთი – არაპროფესიონალი კადრები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ გამზადებული და ზემოდან ნაკარნახევი ბრალდებების წაღებას სასამართლოში, მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი – პროკურატურის კადრებზე „ნაციონალებს“ ექნებათ ბევრი კომპრომატი, რომელიც იძლევა მათი მართვის საშუალებას და მესამე ის, რომ, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ რაიმე დანაშაულს სჩადიოდა, ცდილობდა, ამის მტკიცებულებები არ შეექმნა, ან თუ არსებობდა, გაენადგურებინა. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას სასამართლოზე, სადაც წლების განმავლობაში განაჩენებს იწერდნენ პირდაპირ პროკურატურის საბრალდებო დასკვნებიდან. არ გამოვრიცხავ, რომ მოსამართლეებზეც არსებობდეს რაღაც ტიპის კომპრომატები.

– თუმცა ცოტა ხნის წინ გიგი უგულავასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილება მაინცდამაინც „ნაციონალების“ გავლენებზე არ მეტყველებს...

– ცალსახად შავ და თეთრ ფერებში არ ვხატავ სურათს. მე არ ვამბობ, რომ დღეს მთელი სასამართლო „ნაციონალების“ გავლენის ქვეშაა. საუბარი მაქვს რაღაც ნაწილზე, რომელიც რეალურად ძალიან დიდ როლს თამაშობს. ის, რაც გიგი უგულავას შემთხვევაში მოხდა, ნამდვილად აჩენს კითხვებს. ფაქტია, რომ ნაციონალებისთვის არასასურველი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მოდით, შევხედოთ, რომელი მხარე უფრო მეტად აზარალა ამ გადაწყვეტილებამ. ჩემი აზრით, მოსამართლის ასეთმა საეჭვო მოქმედებამ თუ ვინმეს დაარტყა, პირველ რიგში, ხელისუფლებას და არა „ნაციონალურ მოძრაობას“. მერის პოსტზე მყოფი გიგი უგულავასთვის საარჩევნო კამპანიის წარმოება ასეთი ეფექტური ნამდვილად არ იქნებოდა, როგორიც შეიძლება იყოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ. ახლა მას აქვს მსუყე არგუმენტები ხმამაღალი განცხადებების საკეთებლად და აქვს საბაბი, უკანონოდ დაჩაგრულის მანტიის მოსარგებად. ერთი რამ მენიშნა – ამ დრომდე არც აშშ-ის ელჩის და არც დასავლელი პარტნიორების მხრიდან მკვეთრი და რადიკალური განცხადება ყოფილი ჩინოსნების სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. უგულავას ეს საქმე იყო პირველი, როდესაც აშშ-ს საელჩომ ღიად გამოთქვა შეშფოთება ამ გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით. ასე რომ, ეს აღმოჩნდა საკმაოდ რეზონანსული საქმე და კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ვინმე დააზარალა, ეს, პირველ რიგში, არის საქართველოს ხელისუფლება.

„სამწუხაროდ, პოლიტიკა ისეთი სფეროა, რომლისთვისაც უცხო არაა არჩევნების წინ უამრავი დაპირების გაცემა და საბოლოოდ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ 30, ან 50 პროცენტი სრულდება“

– რამდენად უნდა ველოდოთ, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მწვავე დაპირისპირება კომპრომატების ომში გადაიზარდოს? მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საუბარია ოპოზიციის არაერთი წარმომადგენლის შესაძლო სისხლის სამართლებრივ დევნაზე?

– კომპრომატების გამოქვეყნება, მათ შორის მოქმედ თუ პოტენციურ მაღალჩინოსნებზე, არის რეალური საფრთხე. პროკურორის ნასამართლობის შესახებ აგორებული სკანდალიც სწორედ ამაზე მეტყველებს. ყველა ამტკიცებს, რომ ინფორმაცია ფარცხალაძის ნასამართლობის შესახებ კარგა ხნით ადრე ჰქონდათ. ისმის კითხვა – სანამ გიგი უგულავას, ან ვანო მერაბიშვილს არ შეეხნენ, რატომ არ გამოაქვეყნეს ეს? ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპრომატები დღის სინათლეს იხილავს მაშინ, როცა ნაციონალებს დასჭირდებათ საკუთარი თავისა და პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად. ჩემი აზრით, ხელისუფლებას უნდა შეემუშავებინა ერთგვარი ლუსტრაციის კანონი იმ პირების მიმართ, ვისზეც არის ეს კომპრომატები, რადგან დაეზღვია საკადრო პოლიტიკა და დაეცვა თავი მსგავსი ტიპის თავდასხმებისგან. ეს ყველაფერი ან ხელისუფლებას შეუმცირებს მხარდამჭერთა რაოდენობას, ან თავად ხელისუფლება დაიწყებს იმ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას, რასაც მიმართავდა „ნაციონალური მოძრაობა“. ხვალ რომელ მაღალჩინოსანზე რა ამოტივტივდება, კაცმა არ იცის, ამ ყველაფერმა კი შეიძლება ქვეყანა ქაოსამდეც კი მიიყვანოს. არის თუ არა დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ის ძლიერი მოწინააღმდეგეა ხელისუფლების, ამიტომ, როდესაც ასეთ მოთამაშესთან გაქვს საქმე, მეტი ყურადღებაა საჭირო საკადრო პოლიტიკის დროს, როდესაც ადამიანს ნიშნავენ მაღალ თანამდებობაზე დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი მისი ღია თუ დახურული ბიოგრაფია.

– ბოლოს მინდა გკითხოთ საკითხზე, რომელსაც საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა. საუბარი მაქვს ძვირადღირებულ ავტომობილებზე, სოლიდურ პრემიებზე და ა.შ. რამდენად თანხვედრაშია ხელისუფლების მსგავსი გადაწყვეტილებები საზოგადოების დაკვეთასთან?

– ამას არანაირი გამართლება არ აქვს. არ მინდა, უფრო მკვეთრი ვიყო საკუთარ განცხადებებში. მე არ მესმის, რა გააკეთა ავთანდილ ბერიძემ იმ ავტომობილის ფასი, რომლის ყიდვასაც აპირებდა? ეს რომ იყოს ერთეული შემთხვევა, კიდევ არაუშავს. როდესაც ეს იღებს მასობრივ სახეს, უკვე საგანგაშოა. ეს არის უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის სიცოცხლითა და ჯანმრთელობით თამაში.

„ყველა ამტკიცებს, რომ ინფორმაცია ფარცხალაძის ნასამართლობის შესახებ კარგა ხნით ადრე ჰქონდათ. ისმის კითხვა – სანამ გიგი უგულავას, ან ვანო მერაბიშვილს არ შეეხნენ, რატომ არ გამოაქვეყნეს ეს? ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპრომატები დღის სინათლეს იხილავს მაშინ, როცა ნაციონალებს დასჭირდებათ საკუთარი თავისა და პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვიღაცას ძალიან არ აწყობს, რომ არსებობდეს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი“



ზაალ გველესიანი: „პირადად ჩემთან საიტიდან ამობეჭდილი ინფორმაციებით მოვიდნენ, მათ შორის ისეთი ინფორმაციით, რომელიც კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს“

მარიამ ნადირაძე

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი მთელ ცივილიზებულ მსოფლიოშია დამკვიდრებული. მათი ფუნქცია ზუსტად იგივეა, რაც სახელმწიფო აღმასრულებლის. როგორც ამბობენ, ეს დემოკრატიის მონაპოვარია, როცა სახელმწიფო თავისი ფუნქციების დელეგირებას უკეთებს მოქალაქეებს. კერძო აღმასრულებელს ვერ ნახავთ ირანში, რუსეთსა და კორეაში, ვინაიდან ეს ინსტიტუტი მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებშია. 2009 წელს ევროგაერთიანებამ საქართველოში თავისი დაფინანსებით შემოიტანა ეს ინსტიტუტი. დანერგა მთელი საკანონმდებლო სისტემა. ამ პროცესში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა. ამ ყველაფერს დიდი დრო, ენერგია და კოლოსალური თანხები დასჭირდა. როგორც ამბობენ, დაახლოებით 2 მილიონი ევრო დაჯდა სპეციალისტების გადამზადება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა და კერძო აღმასრულებლების იუსტიციის ერთიან კომპიუტერულ სისტემაში ინტეგრაცია.

2009 წელს იუსტიციის სამინისტრომ კერძო აღმასრულებლებზე ლიცენზიების გაცემა დაიწყო.

ზაალ გველესიანი მეცხრე იყო ლიცენზიის მიმღებთა შორის.

დღეს ის „პრაიმტაიმის“ სტუმარია მეტად სკანდალური ინფორმაციებით. როგორც ირკვევა, იმას, რაც სააკაშვილის ხელისუფლებასაც არ გაუკეთებია, წულუკიანის სამინისტრო აპირებს:

– ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მე ვმუშაობ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ჩვენი უსაფუძვლო შემოწმება მოესურვებინა. ამის საშუალებას კანონი არ იძლევა, თორემ სააკაშვილს ვინმე რამეს დაასწრებდა?

– კერძო აღმასრულებლის შემოსავლის წყარო რა არის?

– კერძო აღმასრულებლის შემოსავალი კრედიტორთან მოლაპარაკებით ამოსაღები თანხის გარკვეული პროცენტია. მაგრამ ეს პროცენტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ის ოდენობა, რასაც იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო. იქ სამუშაოს შესრულებაზე ამოსაღები თანხის 7 პროცენტს იღებენ, როდესაც კერძო აღმასრულებელმა იგივე საქმე შესაძლებელია, მისი ნახევარი ოდენობით გააკეთოს. თუ დიდი თანხებია ამოსაღები, ეს შეიძლება ერთ და ორ პროცენტადაც კი გაკეთდეს.

– ანუ, ფასებზე ლავირება კერძო აღმასრულებელს შეუძლია?

– დიახ, რა თქმა უნდა. უბრალოდ, ამოღებას საფუძვლად უნდა ედოს სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებაზე...

– რამდენი კერძო აღმასრულებელია საქართველოში?

– დაახლოებით 50 ლიცენზიაა გაცემული. აქედან 38 თბილისში მუშაობს. კანონის მიხედვით, კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება ხდება მხოლოდ კონკრეტული საფუძვლით. ამის გარეშე მისი შემოწმება არავის შეუძლია.

– რა შეიძლება გახდეს ამის საფუძველი?

– ეს ჩამოთვლილია იუსტიციის მინისტრის შესაბამის ბრძანებულებაში. ეს არის საჩივარი, განცხადება, რომელიც იქნება კრიმინალური ხასიათის. თან უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის შემოწმება, რომელზეც საჩივარია დაწერილი. არ შეიძლება ნებისმიერის შემოწმება. ეს უკანონობაა.

– მაკონტროლებელი ორგანო იუსტიციის სამინისტროა?

– კანონით მონიტორინგს ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო, რადგან ლიცენზია მათ გასცეს. თუ რამე დარღვევას მართლაც დაადასტურებენ, იწერება დასკვნა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ეგზავნება აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ეს უკანასკნელი სწავლობს ამ დასკვნას და იღებს გადაწყვეტილებას, რა სახის დისციპლინური ღონისძიება გამოიყენოს კერძო აღმასრულებლის მიმართ. არის ორი სახის დისციპლინური ღონისძიება – გაფრთხილება და ლიცენზიის გაუქმება. ლიცენზია რომ გაუქმდეს, სახეზე უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. მცირე მნიშვნელობის დარღვევაზე, რომელიც არავის ინტერესებს არ აზიანებს, შეუძლიათ, არც კი იმსჯელონ.

– იქნებ გეგმური შემოწმების უფლება აქვთ?

– ასეთ რამეს კანონი არ ითვალისწინებს. ვერ გეტყვით, რა მოხდა და ვინ გასცა ამაზე ბრძანება, მაისიდან გენერალურმა ინსპექციამ კომპლექსურად დაიწყო ყველა აღმასრულებლის მუშაობის შემოწმება.

– საფუძველი რა აქვთ?

– გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათი, რომ შესაძლებელია, კერძო აღმასრულებლების მუშაობაში არსებობდეს დარღვევები.

– რაზე დაყრდნობით უშვებს ამ ალბათობას?

– ძალიან საინტერესოა, რა არის მათი ინფორმაციის წყარო. არსებობს ელექტრონული წარმოების რეესტრი. არის პროგრამა, რომელშიც კერძო აღმასრულებლების საქმეებია მოცემული. ამ საქმეებში შეღწევის შესაძლებლობა აქვთ აღსრულების მხარეებს – მოვალესა და კრედიტორს, იმ აღმასრულებელს, ვის წარმოებაშიც არის ეს საქმე და კიდევ, აღმასრულებელს, რომელიც ჩვენთან ერთად მუშაობს სააუქციონო მომსახურებაზე. სხვა კერძო პირს – მინისტრს, გენერალურ ინსპექციასა და სხვას ამ საიტზე შესვლის შესაძლებლობა მხოლოდ გარკვეული მეთოდებით აქვთ. სხვა შემთხვევაში ისინი იქ ვერ შეაღწევენ. მე ვერ გეტყვით, როგორ მოახერხეს მათ ეს, მაგრამ პირადად ჩემთან ამ საიტიდან ამობეჭდილი ინფორმაციებით მოვიდნენ, მათ შორის ისეთი ინფორმაციით, რომელიც კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს.

– ხომ არ ფიქრობთ, პროკურატურას მიმართოთ?

– არ არის გამორიცხული.

– თქვენთან როდის მოვიდნენ?

– აგვისტოში და დასკვნის საფუძველზე გაფრთხილება გამომიცხადეს.

– რა ფაქტზე?

– ვთქვათ, თქვენ ხართ კრედიტორი. თქვენთან ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოებ აღსრულებას. შეიძლება იყოს საქმე, რომელზეც კრედიტორს არ სჭირდებოდეს მოვალის მთელი ქონების მოძიება იმ დოგმებით, რაც აღსრულების ეროვნულ ბიუროშია დაშვებული. თუ კრედიტორი მეტყვის, რომ, მისი ინფორმაციით, მოვალეს სხვა ქონება არ გააჩნია, გარდა მითითებულისა, მე აღსრულებას ვატარებ ამ კონკრეტულ ქონებაზე.

– რომელი კანონი გავალდებულებთ, რომ მოვალის მთელი ქონება მოიძიოთ?

– სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონში საერთო ფრაზით წერია, რომ აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას...

– ამ დარღვევაზე გამოგიცხადეს გაფრთხილება?

– დიახ.

– თუ მომავალში კიდევ მოუნდათ შემოწმება, კიდევ ერთი გაფრთხილება ავტომატურად ლიცენზიის გაუქმებას ხომ არ გულისხმობს?

– აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. ზოგ აღმასრულებელს ლიცენზია პირველივე შემთხვევაზე გაუუქმეს... ვის მიმართ რა ღონისძიება განახორციელონ, ამას სააღსრულებო ბიურო წყვეტს.

– რეალურად კერძო აღმასრულებელი ხომ სწორედ ამ ბიუროს კონკურენტად აღიქმება? იგივე საქმეს არ აკეთებთ და კრედიტორებიც ხომ თქვენს შორის ნაწილდებიან?

– საქმეც ეს არის.

– კონკურენტებს იშორებენ გზიდან?

– ზუსტად ეს გააკეთეს ამ ე.წ. კომპლექსური შემოწმებით. ვიღაცას ძალიან არ აწყობს, რომ არსებობდეს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი. მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ მარტო თვითონ იყვნენ ამ სეგმენტში, მაინც ვერ გააუქმებენ ერთბაშად ამ ინსტიტუტს. ამიტომაც მიმართეს ამ ხერხს.

– რამდენი კონკურენტია ჩამოცილებული ამ ეტაპზე?

– როგორც გავიგე, ლიცენზიით 25 კერძო აღმასრულებელია მხოლოდ დარჩენილი.

– მათ შორის თქვენც?

– კი. ჩემს შემთხვევაში მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლნენ. მე ადმინისტრაციულ სასამართლოშიც შევიტანე სარჩელი, რომელიც გუშინ მოვიგე. ჩემთან ერთად პროცესი ბათუმის კერძო აღმასრულებელმაც მოიგო, რომელსაც ლიცენზია გაუუქმეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასკვნა გამოტანილია საქმის შეუსწავლელად.

– სასამართლოს მოგება შეიძლება სხვა ლიცენზიაჩამორთმეულებისთვის გახდეს პრეცედენტი და მათაც აღიდგინონ ლიცენზიები?

– რა თქმა უნდა.

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუსტიციის სამინისტრო შემოსავლების გაზრდას აპირებს ასეთი კომპლექსური შემოწმებების გზით?

– სიმართლე გითხრათ, აქამდე მეგონა, რომ იუსტიციისთვის შემოსავლის ყველაზე დიდი წყარო საჯარო რეესტრი იყო. თუმცა, როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, ყველაზე დიდი თანხები მის ბიუჯეტში აღსრულების ეროვნული ბიუროდან შედის. ეს იმ ფონზეც კი, როცა კრედიტორების ძალიან მცირე ნაწილი მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

– როგორ ფიქრობთ, გენერალურმა ინსპექციამ ეს თავისი ინიციატივით გააკეთა, თუ სამინისტროს პოლიტიკაა ასეთი და მინისტრის დავალებას დაემორჩილა?

– გამორიცხული არაფერია. გენერალური ინსპექცია პირდაპირ ექვემდებარება მინისტრს. მე ორშაბათს შემაქვს საჩივარი წულუკიანის სახელზე და მოვითხოვ გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილისა და ყველა იმ თანამშრომლის განთავისუფლებას, რომლებმაც ეს უკანონობა ჩაიდინეს. თუ წულუკიანი ზომებს არ მიიღებს, მერე შესაძლოა, პროკურატურასაც მივმართო.

როგორ იშორებს წულუკიანის უწყება კონკურენტებს? რატომ და რა მეთოდებით ართმევენ კერძო აღმასრულებლებს ლიცენზიებს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარნეულის „მურაბის დღეს“ მედიაკონკურსმა სოფლის მეურნეობის თემაზე გამარჯვებულები გამოავლინა



კვირას, 22 დეკემბერს, მედიაკონკურსის „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კომპეტენტურმა ჟიურიმ მთავარ თემაზე მომზადებული საუკეთესო მედიაპროდუქცია (საგაზეთო სტატია, ინტერნეტპუბლიკაცია, ბლოგი, ტელე და რადიოსიუჟეტი და სხვ.) დაასახელა.

2013 წლის გაზაფხულზე „მარგებელი ჰოლდინგმა“, პიარსააგენტო „ჯეპრასთან“ ერთად, გამოაცხადა მედიაკონკურსი, თემაზე: „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“, რომლის მიზანია მედიის საშუალებით სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ ქართველი მომხმარებლისთვის სასარგებლო და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო საქართველოში მომუშავე ყველა ჟურნალისტს. კონკურსის ობიექტურად ჩატარებას კი კომპეტენტური ჟიური უზრუნველყოფდა.

კონკურსის დროს წარმოდგენილი მასალების განხილვისას, ჟიურიმ შემდეგი სახის კრიტერიუმებით იხელმძღვანელა:

- ჟურნალისტური ოსტატობა (ორიგინალური ტექსტი, კრეატიული გადაწყვეტა, გზავნილების გასაგებად წარმოდგენა) – მაქსიმუმ 10 ქულა
- გამოქვეყნების სიხშირე – მაქსიმუმ 5 ქულა
- კონკურსის ფარგლებში მომზადებული მედიამასალების რაოდენობა – მაქსიმუმ 5 ქულა
- კონკურსის თემასთან („თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“) შესაბამისობა – მაქსიმუმ 10 ქულა

მედიაკონკურსის მიმართ ინტერესი ქართულ მედიაში დიდი იყო. ამას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ მთელი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა და აგროსექტორი აქტუალურობას არ კარგავდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, მედიაკონკუსში პირველი ადგილი ირაკლი ჭანტურიამ დაიკავა, რომელიც სტუდია „ქრეა ტვ“-ს წარმოადგენდა. მეორე ადგილი სამმა ჟურნალისტმა გადაინაწილა – თამარ ლეფსვერიძემ („გურიანიუსი“), ნინო ნატროშვილი („ნეტგაზეთი“) და ნონა სამხარეამ („მარნეული ტვ“). მესამე ადგილი კი ოთხ ჟურნალისტს ერგო – ეკა ჟიმშელაძეს („ბიზნესი და კანონმდებლობა“), ანა ჭანკოტაძეს („ლიბერალი“), ლიკა ჟორჟოლიანსა („ტაიმერი“) და ლევან ბეგლარიშვილს (CBW).

დაჯილდოების ცერემონიალი კაფეში „გაჩერება კონკაზე“ გაიმართა. წარმატებები ჟურნალისტებმა ტკბილეულით აღნიშნეს. მედიაკონკურსი ტრადიციული და ყოველწლიური იქნება.

„8 თვის განმავლობაში ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, სოფლის მეურნეობაზე დაეწერათ მასალები და პარალელურად ამ კონკურსის მონაწილენიც გამხდარიყვნენ. ჩვენი მიზანია, ამ სფეროში არსებული პრობლემები თუ წარმატებები საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს. ამ მხრივ, ჩვენც ხელი შევუწყვეთ და ამ თემის გააქტიურებისთვის კონკურსში გამარჯვებულებს წამახალისებელი პრემიები გადავეცით“, – განმარტა „ჯეპრას“ უფროსმა კონსულტანტმა კახა მაღრაძემ.

„მარნეულის მურაბის ყველაზე ტკბილი დღე“

22 და 25 დეკემბერს, ძველი თბილისის კოლორიტული უბანი საახალწლო ფესტივალს მასპინძლობდა. თბილისელებისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ გემრიელი მურაბის დღე მოაწყო. ძირითადი ღონისძიების –„მარნეულის მურაბის დღის“ პარალელურად „ნაძვის ხეების გამოფენაც“ გაიმართა. საახალწლო ფესტივალის ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, თბილისის მერია და „მეიდან ჯგუფი“. ღონისძიება საკმაოდ საინტერესო, მასშტაბური და მხიარული გამოვიდა.

მთელი დღის განმავლობაში ტკბილეულის მოყვარულებისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ სადეგუსტაციოდ მურაბისა და ჯემის ფართო ასორტიმენტი გამოიტანა. დაგემოვნების შემდეგ მსურველებს შეეძლოთ, საუკეთესო ნუგბარი სპეციალურ ფასად ეყიდათ.

ფესტივალის ფარგლებში, მარნეულის პროდუქციასთან ერთად, „მურაბის დღეს“ გამართულ დეგუსტაციასა და საახალწლო ბაზრობაში სხვადასხვა ორგანიზაციები და ბრენდებიც მონაწილეობდნენ: სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და ამერიკული რესტორანი „ვენდისი“, ნამცხვრის სახლი „აზზატო“, იტალიური ყავის ბრენდი „ლავაცა“ და სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები, ვინც სტუმრებს თაფლით, ჩირით, ტყლაპით, გოზინაყით, კანფეტებით, ჩაითა და გლინტვეინით უმასპინძლდებოდნენ.

„მურაბის დღეს“ სიონის სკვერში მოსული სტუმრები ერთდროულად ახერხებდნენ ტკბილ, ამავე დროს ზღაპრულ სამყაროში გადანაცვლებას. სტუმრების განწყობაზე მულტიპულტის სამყაროს პერსონაჟები: კარლსონი, მიკი და მინი მაუსები, ვინი, შრეკი და ფიონა, პლუტო, ფიფქია ზრუნავდნენ და ახალისებდნენ პატარებს.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ანა ჩანგიანის ხელოვნების სახლის ბავშვების მიერ თექისგან დამზადებული ზამთრის კოლექციის ჩვენება, მუსიკალურ ნომრებს კი ნიჭიერი ზურა ბალანჩივაძე და ხელოვნების სკოლა – აფხაზეთი #1-ის აღსაზრდელები ასრულებდნენ.

სამი დღის განმავლობაში კი ბამბის რიგის ტერიტორიაზე გაიმართა ნაძვის ხეების გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები. მათ ბრენდირებული ნაძვის ხეები საკმაოდ ორიგინალურად წარმოადგინეს. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საუკეთესო მასპინძელი კომპანია გამოევლინათ და ხმა მიეცათ მათთვის ყველაზე სასურველი ნაძვის ხისთვის. გამოფენის გამარჯვებულები გამოვლინდნენ და 25 დეკემბერს, სპეციალური ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ.

„ზამთრის სუსხიან დღეებში ჩვენს ორგანიზმს ტკბილეული ყველაზე მეტად სჭირდება. გვინდოდა, რომ წინასაახალწლოდ ჩვენი მომხმარებლებისთვის სიურპრიზი გაგვეკეთებინა და „მურაბის დღე“ მოგვეწყო. ჩვენი პროდუქციიდან საზოგადოებაში უფრო მეტად მწნილეულობა და სოუსებია ცნობილი. გვინდა, რომ ჩვენი გემრიელი სხვადასხვა სახის ჯემი და მურაბაც უფრო მეტმა ადამიანმა დააგემოვნოს. ვაწარმოებთ საზამთროს, კომშის, შინდის, სამოთხის ვაშლის, კაკლისა და მანდარინის მურაბას და შინდის, ატმის, კომშისა და ვაშლის ჯემს. მუდმივად ვზრუნავთ, რომ ტკბილეულობის მოყვარულებს სიახლეები შევთავაზოთ. ქართულ ბაზარზე მაინც კაკლის მურაბა ლიდერობს“, – **აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრობაციის ეროვნული სააგენტო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის აქტივობები:

· პრობაციის ეროვნული სააგენტო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით, ყველაზე პროგრესირებად დაწესებულებად დაასახელა.

· საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პირობით მსჯავრდებულთათვის, გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზღვარი 41-დან 6 წლამდე შემცირდა.

· პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ 724 პირობით მსჯავრდებულს გაუუქმა პირობითი მსჯავრი და მოუხსნა ნასამართლობა, ხოლო 448 მოქალაქეს აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები.

· პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, დასაქმდა 124 პირობით მსჯავრდებული.

· ფსიქო-სარეაბილიტაციო, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა 1 085-მა პრობაციონერმა.

· საზოგადოებრივ-კულტურულ და სპორტულ პროექტებში ჩაერთო 1 800 პრობაციონერი.

· პრობაციის სისტემაში ამოქმედდა 5 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ოფისი (ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ქარელი, კასპი), ასევე, გაფართოვდა ვიდეოპაემნის სერვისი.

· პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ, რისკის შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდიკის საფუძველზე, პრობაციონერთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვამ, 2012 წელთან შედარებით, 211 ერთეულით შეამცირა განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის პრიორიტეტები:

· 2014 წელს უკლებლივ ყველა პრობაციონერის მიმართ განხორციელებული იქნება რისკების შეფასება და შედგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას და პრობაციონერთა რეაბილიტაციას.

· სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში, 2014 წელს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის სახით, ამოქმედდება თავისუფლების შეზღუდვა. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ძირითადი პრიორიტეტი იქნება, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა დასაქმების პარალელურად, მათი რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და პროფესიული სწავლება.

· 2014 წელს, პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, სააგენტოში შეიქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც, პრობაციონერთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა რეგიონში დანერგავს ფსიქო-სოციალურ სერვისებს, რაც ხელს შეუწყობს პრობაციონერთა სრულ რეაბილიტაციას და შეამცირებს რეციდივის რისკებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წმინდა მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელი – 940

გოგი სარაჯიშვილი

ქართლში, მტკვრის გასწვრივ, გადაჭიმულია ვენახებითა და ხილნარით შემკული სოფელი რუისი. ამ სოფლიდან არის მამაცაშვილების გვარი, რომლის საწყისი ისტორიულ წყვდიადში იკარგება.

„სიტყვა მამაცი ქართული სიტყვაა, მამაცაშვილი ქართული გვარია, ძველთაგანვე ესენი აზნაურიშვილებად ირიცხებიან. მამაცაშვილები XI საუკუნიდან არიან ცნობილნი. დავით აღმაშენებლის აღმზრდელად ესენი ირიცხებიან“ (ზ. ჭიჭინაძე).

ხალხში გადმოცემაა და წერილობითაც მტკიცდება, რომ გვარის ამგვარი სახელწოდება სიმამაცის გამო მიუღიათ მამაცაშვილებს: „მამაცაანთ წინაპარნი იარაღით შეჭურვილნი თვალს ადევნებდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსალოდნელის მტრის მოსვლას და ამ შემოსევის პირველსავე ნიშნებზედ მდევარს თავს უყრიდნენ და თავიანთ წინამძღოლობით მამაცურად იგერიებდნენ მტერს და სამშობლოს განსაცდელისაგან იხსნიდნენ“.

როცა შვილები წამოიზარდნენ, ქრისტეფორე მამაცაშვილის ოჯახი რუისიდან საცხოვრებლად გორში გადავიდა. მამაცაშვილებთან იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწეები: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ანტონ ფურცელაძე, ვლადიმერ თულაშვილი და სხვები. მათ შორის დაბადებულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების აზრი. კონსტანტინე, გიორგი ერისთავთან ერთად, „თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი“ იყო.

ძმები მამაცაშვილები თანამშრომლობდნენ ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „გუთნისდედა“, „მოამბე“. აქვეყნებდნენ პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს, ლექსებს, იოსები კონსტანტინეზე ათი ნლით უფროსი იყო. 22 ნლის იოსებმა 1832 ნლის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც დააპატიმრეს და 1832-დან 1836 ნლამდე ვიატკაში გადაასახლეს, სადაც გაიცნო გერცენი. გადასახლებიდან დაბრუნებული ცხოვრობდა გორში; სასულიერო სემინარიადამთავრებული და კანცელარიებში თარჯიმნად ნამუშევარი, აქტიურად იცავდა გლეხების ინტერესებს, რისთვისაც მეორედ გადაასახლეს საქართველოდან.

რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი კონსტანტინე, ისტორიკოს ვ. პოტოს ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლებში მონაწილეობდა; იყო განჯის გუბერნატორი და ჯარების მეთაური. სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ აქტიურად ჩაება საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. კონსტანტინემ, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობარმა, დატოვა შესანიშნავი მოგონებები გენიალური პოეტის ბიოგრაფიისთვის.

გაზეთი „დროება“ 1885 ნლის 4 მაისს წერდა: „ქართველი საზოგადოება „ვაზას“ ბაღში უმართავს სადილს დიდად პატივცემულ კონსტანტინე ქაიხოსროს ძეს მისი მოღვაწეობისათვის საზოგადო ასპარეზზე და განსაკუთრებით იმ შრომისათვის, რა შრომაც გაუწევია მას სათავადაზნაურო სკოლის დღეგრძელობისათვის“.

1887 ნელს მთავრობამ კონსტანტინე მამაცაშვილის ჯარში სამსახურის ორმოცდაათწლიანი საიუბილეო თარიღი აღნიშნა. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ გაახარა მოხუცებული დეპეშით. ქართველმა საზოგადოებამ არ დაუცადა ოფიციალურ იუბილეს და ორი ნლით ადრე, 1885 ნელს მოინადინა, გამოეხატა პატივისცემა საყვარელი მოღვაწისადმი.

სადილი დიდ ნადიმად გადაიქცა, რომელსაც საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელნი დაესწრნენ. „ნადიმი გულ-მხიარული, ლხინით სავსე, მრავალი საამო შთაბეჭდილების აღმძრავი და გულში ჩამნერგი“ აღმოჩნდა.

კონსტანტინე თავისი მეუღლით მიბრძანდა მტკვრის პირზე მდებარე „ვაზას“ ბაღში. კარებიდან მოყოლებული, საპატიო სტუმრებს ეგებებოდა თავმოყრილი ხალხი და რიგად მდგარ მილიციონერთა კოლონა. სტუმართაგან ასორმოცამდე კაცი იყო შეყრილი. მათ შორის იყვნენ ქალები, მასწავლებლები, სამხედრო პირნი, თავადაზნაურობა.

ტოლუმბაშად ამოირჩიეს რაფიელ ერისთავი. მან შეშფოთების ნაცვლად კმაყოფილება იგრძნო. ტოლუმბაშმა განმარტა ნადიმის „მიზეზი“ და დალია სადღეგრძელო კონსტანტინესი. საზოგადოება ფეხზე წამოდგა და მოხუცს დაუმტკიცა თავისი ღრმა პატივისცემა. აღელვებულმა კონსტანტინემ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა: „გიძღვნით გულწრფელს მადლობას ჩემის ასეთის პატივისცემისათვის... განსაკუთრებით მახარებს, რომ ქართველ საზოგადოებაში გაიღვიძა კეთილშობილებამ და საუკეთესო ღირსებებმა, რომელნიც ყოველთვის ქართველი ერის თვისებას შეადგენდნენ... მე მტკიცედ მწამს მომავალი განათლება ჩვენი მშვენიერი ქვეყნისა, რაკი ვიცნობ ქართველ ერს, ჩემს თანამემამულეთ, მათ ბუნებრივ ნიჭსა და გულისხმიერებას... მე არ ვკარგავ იმედს, რომ მომავალი უკეთესი იქნება“.

სიტყვა წარმოთქვა თავადმა ვახტანგ ორბელიანმა: „მამაცაშვილების გვარი არის დიდად ძველი და ისტორიული... ყველანი ყოფილან სიქველისა და კეთილშობილების გრძნობით სავსენი... თუ მოვიგონებთ ძველთა დროთ და ძველთა საუკუნეთ, თვალწინ წარმოგვიდგება მამაცაშვილების გვარში დიდი ისტორიული ფაქტი: როდესაც ორასის ნლის არაბთა მფლობელობის ქვეშ საქართველო იყო დანგრეული და უკანასკნელს განწირულებაში, მაშინ რუისში, მამაცაშვილების სახლში, უბრალო ქოხში, არაბთაგან უცნობად, მიმალულად, იზრდებოდა ერთი ბალღი. მამაცაშვილებმა გაზარდეს ის ბალღი, შთაუბერეს თავიანთი მხურვალე სიყვარული მამულისა და ქრისტეს სარწმუნოების გრძნობა, თავიანთი მამაცობა და ქველობა. რაკი სიჭაბუკეში შევიდა, ის ბალღი გაიყვანეს ჩერქეზებში, გარს შემოახვიეს მთელნი ჩერქეზნი, ოსნი და მთლად შუა კავკასიის ხალხნი, იმ დიდი ლაშქრით და მამაცაშვილის წინამძღოლობით მომართა ამ ჭაბუკმა საქართველოს, დაეცა არაბებს, დაამარცხა პირველს ბრძოლაშივე. მამაცაშვილებმა აღძრეს მთელი საქართველო, ჭაბუკი მიესია არაბებს, განდევნა იგინი საქართველოდან და საქართველო გაათავისუფლა, ახლად აღადგინა. ის ბალღი, რომელიც გაზარდეს მამაცაშვილებმა თავის ქოხში, იყო დიდი დავით აღმაშენებელი. ღვთის მადლი იყო, რომ არაბებმა ვერ შეიტყვეს, ვისა ზრდიდნენ მამაცაშვილები თავიანთ ქოხში: თუ შეეტყოთ, აღარ იქნებოდნენ არც აღმაშენებელი და არც მამაცაშვილები... უნდა გვიხაროდეს, რომ მოგვეცა შემთხვევა, გულითადი პატივისცემა გამოვუცხადოთ ამ გვარიდგან შთამომავალს, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს“.

გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავადმა შალიკაშვილმა ქებით შეამკო კონსტანტინეს მოღვაწეობა, უწოდა მას „კეთილის მთესველი“. ნაიკითხეს ქუთაისიდან, ყვირილადან, ძირულადან, გორიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან მოსული თანაგრძნობის დეპეშები.

მრავალი სადღეგრძელო დაილია და მათ შორის თავად გიორგი რომანის ძის ერისთავისა, რომელსაც ეკუთვნის იდეა სათავადაზნაურო სკოლის დაარსებისა.

შესანიშნავი იყო აკაკი ნერეთლის სიტყვა, რომელმაც კონსტანტინეს ფრთები შეასხა; საერთო მხიარულებამ იმატა. აკაკიმ წარმოაჩინა უხვად დასაჩუქრებული პოეტის ბუნება და სიტყვა ასე დაამთავრა: „გარეგანი ნიშნებით რომ კაცმა მოიმკოს პატივისცემა, ამისათვის საჭიროა პირადი ცნობა და უთუოდ თვალში შეჩხირვა. მაგრამ არის მასთან ღირსებაც, რომლისათვის არც პირადი ცნობა და არც ახლოს დგომა არ არის საჭირო. ამას გვიმტკიცებს ის, რომ დღეს იმისთანა კუთხეებიდან ჩვენი ქვეყნისა, სადაც ბ. კონსტანტინეს ეგების ფეხიც არ დაუდგამს, იმისთანა პირებისაგან, რომელთაც არასოდეს არ უნახავთ ბ. მამაცაშვილი, მოგვდის თანაგრძნობითი წერილები და დეპეშები!.. ისინიც ჩვენთან ერთად მადლობის გადამხდელნი წარსულისათვის, მსურველნი არიან კონსტანტინეს დღეგრძელობისა. დღეგრძელნი იყონ ბ. კონსტანტინე და მისი მსგავსი კაცები“.

მამაცაშვილთა სოფლის სახელი „რუისი“ წარმოდგება სიტყვა „რუ“-დან. ვარაუდობენ, რომ ის ანტიკური ხანის ქ. ურბნისის ერთ-ერთი სამინათმოქმედო რაიონი იყო. რუისი ძველად ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. იქ მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავია: ანტონ მროველი (IX-X ს.ს.), ლეონტი მროველი, გიორგი მროველი (XII-XIII ს.ს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.), დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII ს.ს.), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წ.ნ.), იონა გედევანიშვილი (1737-1821) და სხვანი. ჩვენამდე მოღწეულია რუისის წიგნსაცავის ბევრი ხელნაწერი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუისის XI საუკუნის სახარება. რუისში ქართლის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრა იყო. რუისის ეპისკოპოსი, ანუ მროველი, ესწრებოდა 506 ნელს დვინის საეკლესიო კრებას. ეპისტოლეთა წიგნში ის მოხსენიებულია, როგორც „მარუელი“. 1715 ნელს რუისის საეპისკოპოსოში შედიოდა 84 სოფელი 1839 კომლით. 1811 ნელს რუისის საეპისკოპოსო გაუქმდა.

დავით აღმაშენებელმა 1104 ნელს მოინვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო „ძეგლისწერაი წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა“.

გვარ-სახელებზე გამოცემული წიგნის მიხედვით, 1046 მამაცაშვილს რომ ჰკითხოთ მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის „ბალღობაზე“ გადმოცემის შესახებ, მაშინვე გეტყვით: „ჩემი მამა-პაპადგან გადმოცემით ვიციო“ და იმავეს მოგიყვებათ, რაც ორბელიანმა ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა. „თქმულებამ აუხსნელი უნდა ახსნას, რადგან თქმულება ნამდვილ ამბავზეა აღმოცენებული“ (ფრანც კაფკა (1773-1821).

ზოგი საინტერესო გადმოცემა მეფეთა ცხოვრების წერილობით წყაროებში შესული არ არის; ვ. ორბელიანის ნაამბობი მეფეთ მეფის ბავშვობაზე სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. ის გაამდიდრებს ჩვენ წარმოდგენას დავით აღმაშენებლის ბავშვობაზე.

არც ჟამთა აღმწერი და არც მემატიანე არაფერს ამბობს მეფე გიორგი II-ის ძის, დავით IV-ის, აღმაშენებლად წოდებულის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ. „ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისაში“ წერია: „მეფედ იქმნა ქრისტეს აქეთ წელსა ჩჰთ“, ე.ი. გამეფდა 1089 ნელს, „16 ნლის ასაკში... აქა დიდი და ღვთივ განგრძობილი დავით დაიბადა მსგავსი ალექსანდრესი და ვახტანგისებრივი სვიანი და გამარჯვებული... იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლეო ანთაძე - 80 წლის იუბილე და 60 წელი სცენაზე



my View
თამარ გონგაძე

„ვხუმრობდი - როლებსა და ბავშვებს ლოგინში სიბნელეში ვაკეთებ-მეთქი. ოთხი შვილი და 500-მდე როლი მაქვს შექმნილი“

„პროფესიის არჩევისას სწორი არჩევანი გავაკეთე. სხვა პროფესიაში თავი ვერც წარმომიდგენია. ალბათ, სხვა დანარჩენში ყველაფერში უნიჭო ვიქნებოდი. სტანისლავსკის აქვს ნათქვამი, მსახიობს თუ სხვა რამის გაკეთება შეუძლია, ის არ არის კარგი მსახიობი. რომ ვუკვირდები, მართლა რა უნდა გამეკეთებინა სხვა?!“

EXCLUSIVE

ორი კვირის წინ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს ლეო ანთაძეს მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსენს, 80 წლის იუბილეს სცენაზე გატარებული 60 წლის იუბილე დაამთხვიეს. „რომ გავივლი, ჩემს ვარსკვლავზე ფეხს ვაბიჯებ ხოლმე. აღმაშენებელმა ხომ დაგვიბარა, ფეხი დამადგითო... რომ დამაბიჯებენ, მეც მიხარია“.

81 წლის გავხდი, მაგრამ ვმალავო, ღიმილნარევი ამბობს. გურული იუმორი აქვს. ნაბოლარა ვაჟთან - რეზისთან და ნაგაზთან ერთად ცხოვრობს. ძაღლზე ბრაზობს, ევრორემონტი გამიფუჭაო.

„მარლონ ბრანდოს აქვს ნათქვამი: გენიალური პროფესია მაქვს, ჩემთვის ვერთობი, ვმაიმუნობ და ამაში ფულს მიხდიანო. მართლაც ასეა. სიამოვნებას იღებდა, ამაში თანხას იხდიან. სხვა პროფესიებში არის შრომა ოჯახის შესანახად. აქ, თან ვერთობი და შემოსავალსაც არ ვემდური. სამუშაო მაქვს. თავზე არ ვზრუნავ. უბრალოდ, არ ვეწევი. საკმაოდ გვიან, 39 წლის ასაკში დავიწყე მოწევა. ცუდი ფაქტი მოხდა და ამან განაპირობა. მერე, მოგვიანებით, ინფარქტი დამემართა, და სტენტი ჩავიდგი. მართლა საზიანო ყოფილა სიგარეტი“.

- როდის მოდის სიბერე?

- ადამიანი მაშინ ბერდება, როცა სამსახურიდან უშვებენ. ტყდება, როგორც შინაგანად, ისე ფიზიკურად. რომ აღარ შრომობ, ტვინში ჩაქცევები ვითარდება. ამ მიზეზით ორი მეგობარი დავკარგე. როგორც კი სამსახურიდან გაათავისუფლეს, უცებ მოტყდნენ. მე ისეთი პროფესია მაქვს, სულ ვშრომობ და მაყურებელთან ვკონტაქტობ. ღვთის წყალობით, მახსოვრობას არ ვუჩივი. მეორე წელია „ბახტრიონს“ ვკითხულობ სცენაზე, სპექტაკლად გავაკეთე, პლასტიკაში. ტექსტი ერთხელაც არ შემშლია. სპექტაკლი მარჯანიშვილის რეპერტუარშია და 4 იანვარს „სხვენში“ ვითამაშებ. მობრძანდით. ამ ნამუშევრით ვაჟა-ფშაველას პრემიაზე ვარ წარდგენილი. ასჯერ მეტი შრომაა ტექსტის გააზრება, ვიდრე მისი დაზეპირება. შევარდნაძის მთავრობის დროს დავიწყე „ბახტრიონზე“ მუშაობა, სიცივესა და უშუქობაში. მეთხუთმეტე სართულზე ფეხით ავდიოდი დღეში ხუთჯერ. ლოგინში ჩავთბებოდი, სიბნელეში ვამუშავებდი ტექსტებს. მერე ვხუმრობდი - როლებსა და ბავშვებს ლოგინში, სიბნელეში ვაკეთებ-მეთქი. ოთხი შვილი და 500-მდე როლი მაქვს შექმნილი.

- ამ ურიცხვი როლებიდან მაინც რომელ როლს გამოყოფდით?

- ძალიან მიყვარდა პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“. ფილოსოფიური და ძალიან საინტერესო ნაწარმოებია. ყველა დროს რომ შეეფარდება. ჩემი გმირი ლიპარიტე - ქოსატყუილაა. ეს გმირი ამბობს, მე მინდა ხალხში ვიარო და პატიოსნება და წესიერება ვასწავლოო. ისე გაცუღლუტდა ყველა, ჩემი ტყუილი აღარ ჭრის. ამიტომ ლუკმაპური რომ მქონდეს, ხალხს პატიოსნება უნდა დავუბრუნოო. „მკაცრ ქალიშვილებში“ სათვალიანი სტუდენტის როლს ვთამაშობდი. შოთა მანაგაძეს, რომელიც ფილმის - „ყვავილი თოვლზე“ გადაღებას აპირებდა, თავისმა შვილმა უთხრა, ამა და ამ სპექტაკლში ნახე ლეო ანთაძე, კახაბერის როლისთვის გამოდგებაო. შოთამ მნახა და მაშინვე დამამტკიცა როლზე. 26 წლის ვიქნებოდი. მთელი ზამთარი და გაზაფხული ბაკურიანში ვიყავით. ისე გავკაჟდი, სურდოც არ დამმართია. დილის ექვსი საათიდან დაბნელებამდე თოვლში ვიყავით. არის სცენა - ყვავილი უნდა მოვწყვიტო. ჩამოვსრიალდები და მე და ჯულიეტა თოვლის გროვაში ვხვდებით. ამ თოვლიდან თავი უნდა ამოვყოთ და ერთმანეთს რომ შევხედავთ, სიცილით უნდა მოვკვდეთ. დაგვაყარეს თოვლი და ამ დროს ვიგრძენი თოვლი ფილტვებში როგორ ჩამდიოდა. წამოვხტი გაბრაზებული. ჯგუფი შუქებს აყენებდა - მე ვკდებოდი, იმათ არ ედარდებოდათ. რეზო ესაძემ გადაიღო „წკიპურტები“. ჩემი და ზურა ქაფიანიძის სცენაა, სადაც ზურა მცემს. კინოში ნამდვილად უნდა გირტყას, თორემ სიყალბე გამოჩნდება. გადავიღოთ, მოვიშოროთ ეს სცენა-მეთქი, რეზოს ვუთხარი. არა, ბოლოს გადავიღოთ, ამ კადრების დროს რომ ცემაში მოგკლას, ფილმი მაინც დარჩებაო. მანგლისის იქით, საოცარ ბუნებაში გვაქვს გადაღება. მცემს და მზელს ქაფიანიძე, ჩემ მტერს მოხვდა მისი მუშტი. არ მჯერა, არ არის დამაჯერებელიო, ესაძე ყვირის. მე ჩემს ძამაკაცს ვერ მოვკლავო ზურამ, ჩაჯდა მანქანაში და თბილისში ნამოსვლას აპირებს. გამოვეკიდეთ, ვეხვეწებოდი, ყველა ზემეტად, დამარტყი, გადავიღოთ-მეთქი. გადმოვიდა და მაგრად დამზილა. რეზოს შეძახილები მესმის, გაგლიჯე, მოკალი, სახე მოუჭმუჭნეო. მართლა მომკლა ცემით. დალურჯებული ვიწექი მეორე დღეს. ნეკნები მტკიოდა... რამდენიმე დღის მერე, რეზოს ვკითხე, როგორი გამოვიდა ფირი-მეთქი. გადასარევია, მხოლოდ ეგ არის, ცემის ადგილას ფირი გაჩხაპნილიაო და თავიდან გადავილეთ ჩემი დაჟეჟვა.

- როგორია მსახიობის ცხოვრება?

- მსახიობის ცხოვრება ძალიან საინტერესოა. შრომაშივე იმხელა ნეტარებას პოულობ, ვერ აღწერ. შრომის პროცესშივე ბედნიერი ხარ, გხიბლავს და გიხარია. მერე, შედეგისას, კი გრძნობ, იყოლიებ თუ ვერა მაყურებელს. დარბაზიდან ეს ენერგეტიკა იგრძნობა. კინოც საინტერესოა. მას ის პლუსი აქვს, რომ შენ ნაშრომს წლების მერეც ხედავ. ვფიქრობ ხოლმე ამ გამოცდილებით სხვანაირად ვითამაშებდი-მეთქი. თეატრში თუ თამაშით უკმაყოფილო ხარ, ხვალ გამოასწორებ. ვერ ვიტყვი, რომ ცუდი პროფესია ავირჩიე, ძალიან კარგი პროფესიაა.

- ჯემალ გოცირიძის მსგავსად პულტით ხელში უყურებთ საინფორმაციო გამოშვებებს?

- საინფორმაციოს ვუყურებ. საქმის კურსში უნდა იყო. ჯემალის მსგავსად ნიგვზიანი ეკალა მაინც და მაინც არ მიყვარს ვუყურებ ფილმებს. სხვათა შორის, ბევრი რამ ვისწავლე ფილმებიდან. ბევრი გენიალური მსახიობი ჰყავთ. მათ აქვთ სამსახიობო სკოლა-სტუდია, რომელიც რუსმა მსახიობმა მიხეილ ჩეხოვმა ჩამოაყალიბა. ჩეხოვის მეთოდი მისმა მოსწავლემ გააგრძელა და მთელი ჰოლივუდის მსახიობები ამ სკოლაზე არიან აღზრდილნი. რუსული სამსახიობო სკოლა ყოფითია და რა საინტერესოა. ესენი ყოფითობას აცილებულნი არიან, მიწასა და ცას შორის. საერთოდ, იცით რა არის? მაყურებელი არ იღებს ინტელექტით მასზე დაბლა მდგომ მსახიობს. ამას ეკრანზე ატყობს...

- კმაყოფილი ხართ განვლილი გზით?

- უკმაყოფილო არ ვარ. პროფესიის არჩევისას სწორი არჩევანი გავაკეთე. სხვა პროფესიაში თავი ვერც წარმომიდგენია. ალბათ, სხვა დანარჩენში ყველაფერში უნიჭო ვიქნებოდი. სტანისლავსკის აქვს ნათქვამი, მსახიობს თუ სხვა რამის გაკეთება შეუძლია, ის არ არის კარგი მსახიობი. რომ ვუკვირდები, მართლა, რა უნდა გამეკეთებინა სხვა?! ბავშვობიდან ეზოში ვდგამდი სპექტაკლებს და ვთამაშობდი.

- სიყვარული რა არის?

- როცა მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია, პროფესია იქნება თუ ქალი. ბევრჯერ მიყვარდა... ძალიან ადვილად ვიყავი გატაცებული. ბევრი ტკბილი მოგონება დამრჩა. პირველი სიყვარული სიმორცხვე იყო, მერე გამოვიქექე. ახლა შემიძლია თქვენც აგიხსნათ სიყვარული ისე, რომ არ შემრცხვეს. ვხუმრობ... უკვე ღუზა ჩაიშვა... შვილთაშვილები მყავს. რვა წელია მეუღლე გარდამეცვალა. სამი ცოლი მყავდა, სამივე დაიღუპა... ოთხი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი მყავს. პირველი ქალიშვილი დამეღუპა... უბედურება შეგვემთხვა... არ მინდა ამ ნოტაზე დავრჩეთ.

„ბევრჯერ მიყვარდა... ძალიან ადვილად ვიყავი გატაცებული. ბევრი ტკბილი მოგონება დამრჩა. პირველი სიყვარული სიმორცხვე იყო, მერე გამოვიქექე. ახლა შემიძლია თქვენც აგიხსნათ სიყვარული ისე, რომ არ შემრცხვეს. ვხუმრობ, უკვე ღუზა ჩაიშვა“

- ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წელი გაიხსენეთ.

- მე და ჩემმა კურსელმა გოჩა დეისაძემ, სტუდენტობისას, ახალი წლის წინა დღეებში გადავწყვიტეთ დახეული ტანსაცმელი ჩაგვეცვა და ასე დაძონძილები ეზო-ეზო მათხოვრის როლებით ფულს ვაგროვებდით. მე გიტარა მეჭირა და ვუკრავდი, გოჩას - ვიოლინო. ყბა მქონდა ახვეული, ვკოჭლობდი. ხალხი სიცილით კვდებოდა. ვორონცოვის ხიდზე მეგობარმა შეყვარებულთან ერთად ჩამოიარა. ნახე, რა სასაცილო ვინმეა, ლეოს არ ჰგავსო, ჩემმა მეგობარმა გადაულაპაკა შეყვარებულს. არ მინდოდა ვეცნე, რაიკომის მდივანი მგელაძე მათხოვრებს იჭერდა. შეყვარებულმა დაუდასტურა, ლეოაო. ჩამავლო უკან ქეჩოში, ლეო შენ ხარო? ხალხი მოგროვდა, იცინოდნენ. თამაზ, გამიშვი ხელი, წადი, ვითომ არ მიცნობ-მეთქი, ვუთხარი. 1 მანეთი და 18 კაპიკი შევაგროვეთ. მამამ ეს ფული სამახსოვროდ შეინახა. მამა, დიომიდე ანთაძე რეჟისორი და მსახიობი იყო, მოსკოვში სწავლობდა და პურის ფული არ ჰქონდა. ფული რომ ეშოვნა, მასხარადაც მუშაობდა ცირკში. საოცრად ნიჭიერი მსახიობი იყო, ჩაპლინის და ლუი დე ფიუნესის დონის...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩემი ცოლის დ

my View
დეა
თავგერიძე

გიორგი ლიფონავა: „იმედი მაქვს, რომ სამომავლოდაც მაყურებელი ამ ფილმს ისე მიიღებს, როგორც გვქონდა ჩაფიქრებული“

გმირები, რომლებიც უნებლიეთ ბევრის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცნენ, კინოთეატრის ეკრანებზე გამოჩნდნენ. სერიალიდან ფილმში გადმოსული ჩვენი ტელემაყურებლისთვის უკვე ძალიან ცნობილი სახეები ფილმშიც იგივე პერსონაჟებს თამაშობენ... სიუჟეტი ამგვარია, - კინოში კინოს იღებენ. გავლენიანი ბიზნესმენი მირიან ბარათეონი საკუთარ პოემაზე ფილმის გადაღებას უკვეთავს. ეს ბარათეონის დებიუტია... მთავარი როლი კატოს ერგო. დიტო კი ყოფილი მეუღლის გადასაღებ მოედანზე ყოფნასა და ფილმში თამაშს აპროტესტებს... მოვლენები საინტერესოდ ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერამდე აზრთა სხვადასხვაობა იყო, კინოთეატრს მაყურებელი არ აკლდა. უმეტესობის თქმით „ჩემი ცოლის დაქალების“ შემოქმედებითმა ჯგუფის საახალწლო სიურპრიზმა, ფილმის სახით, გაამართლა...

გიორგი ლიფონავა, რეჟისორი: - ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა და მაყურებელიც კმაყოფილია. ბოლო წუთამდე ხმას ვაკეთებდი, ამიტომ ღელვა და ნერვიულობა წინასაპრემიეროდ არ ყოფილა, ძირითადად ამაზე ვიყავი კონცენტრირებული. ფილმში ფილმის გადაღება სცენარისტის იდეა იყო. იმედი მაქვს, რომ სამომავლოდაც მაყურებელი ამ ფილმს ისე მიიღებს, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა. ვცდილობ, ისეთი გარემო იყოს სადაც ადამიანი კარგად იმუშავებს.

ქეთი დევდარიანი, სცენარისტი: - ფილმის სცენარი ამ სეზონის პარალელურად იწერებოდა. იმედი მაქვს, რომ მაყურებელს მოეწონება ჩვენი ახალი ფილმი.

- ამბობენ, რომ სერიალს ასრულებთ და გადაწყვიტეთ ამ ფილმით დამშვიდობებოდით სერიალის მაყურებელს, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

- სერიალის მეოთხე სეზონი მთავრდება 4-5 იანვარს და მეხუთე სეზონი, სავარაუდოდ, თებერვალში დაიწყება.

- მეხუთე სეზონში სერიალში სხვა მნიშვნელოვანი პერსონაჟები გამოჩნდებიან?

- აუცილებლად, სხვებიც და ძველებიც...

- ძირითადად, ქართველების რეალურ ყოფას ასახავთ ხოლმე ამ სერიალში, ამჯერად რა კუთხეს წამოწევთ წინა პლანზე? რის შემოტანას აპირებთ?

- ჯერ მეხუთე სეზონის კონცეფციაზე ვმუშაობთ.

- როგორ ფიქრობთ, აფხიზლებს ქვეყანას „ჩემი ცოლის დაქალები?“

- სერიალის ფუნქცია გამოფხიზლება კი არ არის, არამედ, რეალობის ავტორისეული ხედვის კუთხიდან ჩვენებაა.

გიორგი ყიფშიძე: „გიორგი ლიფონავა ერთ-ერთი იშვიათი რეჟისორია, რომელთანაც ძალიან მსიამოვნებს მუშაობა“

ლელა მებურიშვილი: - ძალიან რთული სამუშაო პროცესი გვქონდა, რადგან ძალიან მოკლე დროში გადავიღეთ ფილმი. ერთი თვეც არ გვქონია გადაღება, ალბათ, უფრო ნაკლები. ბოლო სამუშაოები პრემიერის წინა დღეს დასრულდა. ძალიან რთული იყო ყველაფერი, იმიტომ რომ მრავალფეროვანი სცენარია და ერთ ადგილას არ გვქონდა გადაღება, მაგრამ ბევრი ახალი მსახიობია და, ჩემი აზრით, ფილმიც საინტერესო გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პერსონაჟი იგივეა, რაც სერიალში, მაინც ძალიან ვნერვიულობდი და ვღელავდი პრემიერამდე. სერიალი კარგია, მაგრამ ფილმი ბევრად უფრო სასიამოვნო, ღირებული და მნიშვნელოვანია.

გიორგი ყიფშიძე: - წინასაპრემიეროდ ვერ ვიღელვე, ჯერ ცეკვები იყო, მერე სპექტაკლი... საერთოდ, გიორგი ლიფონავასთან ყოველთვის ძალიან საინტერესოა გადაღების პროცესი, სერიალზეც და კინოზეც. ერთ-ერთი იშვიათი რეჟისორია, რომელთანაც ძალიან მსიამოვნებს მუშაობა. მე უკვე მეორე ფილმში ვარ. მთელი ჯგუფი ჩე-

დავით დარჩია: „გადასაღებ მოედანზე ბევრი რამ იყო დასამახსოვრებელი, მაგრამ ერთ-ერთი, რაც ძალიან მინდა აღვნიშნო, პროფესიონალიზმია. ნაღდად იყო ის, რაც კინოს გასაკეთებლად სჭირდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᩩᩩᩩ

„თუ ხუდონი არ აშენდა, ჩვენ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდებით!“

ხვიჩა მაისურაძე

თუ „ხუდონჰესი“ არ აშენდა, საქართველო ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს. დაკარგავს იმას, რომ ეს იქნება პრეცედენტი, რომლის შემდეგაც ნებისმიერი ასეთი ობიექტის მშენებლობაზე იგივე პროცესები წარიმართება და მისი განხორციელება ასევე დროში გაიწელება, – აცხადებს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ არველაძე და მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად თბოელექტროსადგურების აშენება დაგვჭირდება, რაც ქვეყნის ეკონომიკისა და გარემოსთვის ცუდი შედეგების მომტანი იქნება.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია ქვეყნისთვის „ხუდონჰესის“ მშენებლობა?

– „ხუდონჰესის“ მშენებლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. მეტიც, მიმაჩნია, რომ უახლოესი 30-40 წლის განმავლობაში საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის სრულად ათვისება უნდა მოხდეს. სხვა შემთხვევაში ქვეყანა ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება.

პროფესორი რევაზ არველაძე

რაც შეეხება თავად „ხუდონჰესს“, ის საქართველოს მოუტანს 700 მეგავატ სიმძლავრეს და დაახლოებით 1,5 მლრდ კილოვატ/საათ ელექტროენერგიას. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ამაღლდება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და ენერგეტიკული სისტემის მდგრადობა, გაიზრდება ენერგეტიკული უსაფრთხოება და გაიოლდება ენერგოსისტემის მართვა.

– „ხუდონჰესის“ მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ჰესის მშენებლობა ექსპორტზეა გათვლილი და რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს ამ ჰესიდან წარმოებული ელექტროენერგიის შეძენა შესაძლოა, საექსპორტო ფასად მოუწიოს. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ის ადამიანები, რომლებიც ამაზე საუბრობენ, არ უყურებენ და არ იციან, მსოფლიოში ელექტროენერგიაზე რა ტარიფებია დადგენილი. ვფიქრობ, ასეთი საფრთხე საქართველოში არ არსებობს.

დავუშვათ, საქართველოში ენერგეტიკა განვითარდა და ეკონომიკა დარჩა იმ დონეზე, როგორც დღესაა, მაშინ, ცხადია, არც იქნება საჭირო, საქართველომ „ხუდონჰესიდან“ ან სხვა ელექტროსადგურებიდან იყიდოს ელექტროენერგია. შესაბამისად, მთელი წარმოება გავა ექსპორტზე. დღეს და უახლოეს წლებში ჩვენი ყველაზე დიდი ამოცანაა, რომ განვითარდეს ეკონომიკა, შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რის შემდგომაც იმაზე საუბარი, ელექტროენერგია 9 თეთრი ღირდა თუ 15 თეთრი, ზედმეტი იქნება. მეტიც, ამას ყურადღებას არც არავინ მიაქცევს. მაგალითად, ევროპაში საშუალო შემოსავალი არის 3 ათასი ევრო, ელექტროენერგია კი ღირს 23-დან 40 ცენტამდე, თუმცა მოსახლეობისთვის ეს მძიმე ტვირთი არ არის. როდესაც შემოსავალი გაიზრდება, ცხადია, გაძვირებულ ელექტროენერგიაზე აღარავინ ისაუბრებს. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ საექსპორტო ფასად ხუდონიდან დენის შეძენაზე საუბარი არასწორია, ყოველ შემთხვევაში, ახლა.

– როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, მცირე ჰესები ან სხვა ალტერნატიული ენერგია განხილულ იქნეს, როგორც „ხუდონჰესის“ ალტერნატივა?

– თუ საქართველოს ეკონომიკა განვითარდება იმის ნახევარი ტემპით, როგორც ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა თქვა, სრულად რომ ავითვისოთ ჩვენი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, კიდევ დამატებით დაგვჭირდება ჩვენი პოტენციალის ბალანსში ჩართვა, მაგალითად, მზის, ქარის ენერგიის, ასევე ნახშირის გამოყენება და შეიძლება იმპორტიც კი დაგვჭირდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს დაახლოებით 25 მლრდ კვტ/სთ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, აქედან მცირე ჰესების წილი არის, სულ რაღაც, 7 მლრდ კვტ/სთ, ანუ 300-400 მცირე ჰესს სულ ამდენი ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მცირე ჰესები დიდი ჰესების, ამ შემთხვევაში კი „ხუდონჰესის“ ალტერნატივა ვერანაირად ვერ იქნება.

– საუბარია იმაზეც, რომ „ხუდონჰესის“ პროექტი არის მოძველებული და ის თანამედროვეობას არ პასუხობს.

– ამაზე ისევ ის ადამიანები საუბრობენ, რომლებმაც არ იციან, რეალურად რა არის ტექნიკური პროექტი. საუბარი იმაზე, რომ მოძველებულია მოთხოვნები გარემოს დაცვის მიმართულებით, სხვა საქმეა, მაგრამ ტექნიკური მხარე – სხვა. პროექტს აქვს თავისი ტექნიკური პარამეტრები, არის კაშხლის სიმაღლე, საძირკვლის სისქე და ა.შ. ამის მოძველება არასდროს არ ხდება. თუ რაღაც ახალ ტექნოლოგიაზეა საუბარი, მაგალითად, ბეტონის ჩასხმა, მაშინ ეს ახალი ტექნოლოგიით განხორციელდება. ის პროექტი, რომელიც ადრე იყო დამუშავებული, არ შეიძლება ითქვას, რომ მოძველებულია. მასში გარკვეული ცვლილებები შეიძლება შეიტანოთ, მაგრამ ძირითადი მაჩვენებელი აუცილებლად იგივე უნდა დარჩეს. „ხუდონჰესის“ პროექტის ბოლო ვარიანტი 2011-2013 წლებში გადაამუშავა საქვეყნოდ ცნობილმა შვეიცარიულმა კომპანია „შტუკემ“ და დარწმუნებული ვარ, მათ მიერ ამ პროექტში გათვალისწინებულია ყველა ის საინჟინრო-ტექნოლოგიური სიახლე, რაც შეესაბამება და მიღწეულია ამ დარგში 21-ე საუკუნეში.

– გარემოს დამცველები მიუთითებენ, რომ „ხუდონჰესი“ კლიმატურ ცვლილებებს გამოიწვევს და ის ცუდად აისახება რეგიონზე. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ეს მოსაზრება?

– ჰესის აშენების შემდეგ, მიკროკლიმატის თვალსაზრისით, შესაძლებელია გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს. ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა თავის დროზე ჩაატარა შესაბამისი კვლევები, რის შედეგადაც წყალსაცავის ნაპირებიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე შეიძლება ტენიანობამ მოიმატოს 1-2%-ით. იმ დროს, როცა ფარდობითი ტენიანობა საშუალოდ არის 70%, გახდება 71-72%, რაც პრაქტიკულად არანაირ გავლენას არ ახდენს კლიმატზე. ასევე, დადგენილია, რომ „ხუდონჰესი“ ზამთარში დაახლოებით 1 გრადუსით ცვლის ტემპერატურას დათბობისკენ, ზაფხულში კი ასევე 1 გრადუსით – გაგრილებისკენ, ანუ კლიმატი მუშაობს შერბილებისკენ და არა გაუარესებისკენ. როდესაც ასეთ საკითხზე არასპეციალისტები საუბრობენ, ეს გასაგებია და ნორმალური.

– რას დაკარგავს ქვეყანა, თუ „ხუდონჰესი“ არ აშენდა?

– თუ ხუდონი არ აშენდება, იძულებულები ვიქნებით, მეზობელი ქვეყნებიდან მოვახდინოთ გაზისა და ნავთობის იმპორტი და ავაშენოთ თბოელექტროსადგურები. თბოელექტროსადგურების შემთხვევაში საქართველოდან უზარმაზარი ვალუტა გავა ბუნებრივი აირის შესაძენად. გარდა ამისა, თუ საქმე თბოსადგურების აშენებაზე მიდგა, ეს გარემოსა და კლიმატზე უფრო უარყოფითად იმოქმედებს. ასე რომ, თუ „ხუდონჰესი“ არ აშენდა, ჩვენ შეიძლება ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდეთ.

„ახალი ყანჩელი“ - თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში

ავტოგრაფი
ხელოვნების ხელშეწყობის ფონდი

Holiday Inn TBILISI

BADAGONI GEORGIA

INDEX ინდექს ჯორჯია რეკლამა და წარმოება

Piano

Jazz Unlimited

„ახალი ყანჩელი“ ასე ჰქვია კონცერტს, რომელიც 15 იანვარს ხელოვნების ხელშეწყობის ფონდ „ავტოგრაფი“-ს ორგანიზებით დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება. კონცერტზე წარმოდგენილი იქნება კომპოზიტორ გია ყანჩელის ოცამდე კომპოზიცია, რომელიც ჯაზური ინტერპრეტაციით იქნება შესრულებული. კონცერტში ქართველი და ლატვიელი ჯაზმენები მონაწილეობენ.

შეგახსენებთ, რომ 18 დეკემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელოვნების ხელშეწყობის ფონდ „ავტოგრაფი“-ს პრეზენტაცია გაიმართა. ფონდის დამფუძნებელი გიგა კობალაძეა. ფონდი 25 ნოემბერს დაარსდა. ქართული ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ფონდი არაკომერციული ორგანიზაციაა. ის ნებაყოფლობითი შემოწირულობებითა და სპონსორების შენატანებით ფინანსდება. ფონდის ძირითად საქმიანობას კომპოზიტორების შემოქმედებითი და საავტორო საღამოების ჩატარება, კონცერტების და წარმოდგენების ორგანიზება, წიგნების და CD-DVD ალბომების გამოცემა წარმოადგენს.

გაზეთი „პრაიმტაიმი“ სწორედ ხელოვნების ხელშეწყობის ფონდ „ავტოგრაფი“-ს დამფუძნებელ გიგა კობალაძეს ესაუბრა:

- ეს ღონისძიება კეთდება ხელოვნების ხელშეწყობის ფონდის „ავტოგრაფის“ ორგანიზებით. ღონისძიების მხარდამჭერია თბილისის მერია, ღონისძიების წარმდგენი, ანუ ვინც ეს ღონისძიება დააფინანსა, ღვინის კომპანია „ბადაგონია“. ამ ღონისძიების პარტნიორები არიან „სანო სტუდია“, „ინდექს ჯორჯია“, „Holliday inn“ და „IM global“.

კონცერტის სახელწოდებაა „ახალი ყანჩელი“. ეს სახელი შევარჩიეთ იმიტომ, რომ შესრულდება ყანჩელის ყველასთვის საყვარელი კომპოზიციები, თანაც აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტაციით. საუბარია ჯაზმენების მიერ შესრულებულ ინტერპრეტაციაზე.

- ვინ არიან ეს ჯაზმენები?

- ესენი არიან, როგორც უცხოელი, ისე ქართველი ჯაზმენები. არიან ჯაზმენები ლატვიიდან, ერთი ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსია, საქართველოდან არიან გიორგი კიკნაძე, რეზო კიკნაძე, პავკა კვაჭაძე და პაპუნა შარიქაძე. პირველად კეთდება მსოფლიოს მასშტაბით გია ყანჩელის მუსიკის ჯაზინტერპრეტირება.

- ამ ინიციატივას გია ყანჩელი როგორ შეხვდა?

- დადებითად შეხვდა. ეს წინადადება რომ არ მოსწონებოდა ეს კონცერტიც არ გაკეთდებოდა. გია ყანჩელს „silent trio“-სთან ადრეც ჰქონდა ურთიერთობა და „silent trio“ მისი ნებართვით რამდენიმე კომპოზიცია ჯაზურად გააკეთა. ბატონ გიას ძალიან მოეწონა მათ მიერ გაკეთებული კომპოზიციები. შემდეგ უკვე დაიბადა იდეა, რომ კონცერტი გაკეთებულიყო გია ყანჩელის მუსიკის ჯაზური ინტერპრეტირებით.

- კინომუსიკა თუ სიმფონიური მუსიკა, რომელი იქნება წარმოდგენილი?

- ყველა მისი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები იქნება წარმოდგენილი. ჟღერადობა და შესრულება ჯაზური კომპოზიციით იქნება შესრულებული.

- დაახლოებით რამდენი კომპოზიცია იქნება შესრულებული?

- დაახლოებით ოცამდე კომპოზიცია იქნება.

- „ავტოგრაფის“ პირველი ღონისძიებაა?

- 18 დეკემბერს იყო „ავტოგრაფის“ პრეზენტაცია და პირველი ღონისძება, რომლითაც „ავტოგრაფი“ წარსდგება მაყურებლის წინაშე, იქნება „ახალი ყანჩელი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ივანიშვილი არსად არ წასულა პოლიტიკიდან“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ახალი წლების შემდეგ გიგი უგულავას აუცილებლად დაიჭერენ. მანამდე კი ხალხის არჩეული და უფლებამოსილებაშეჩერებული მერი, როგორც წინასწარმეტყველი აცხადებს, გაქცევის გეგმას ამუშავებს, თანაც „ოცნების“ წევრის დახმარებით. წინასწარმეტყველი, სიმა ხითარიშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში ყველა ეკონომიკური პრობლემა 2015 წელს მოგვარდება და ხალხიც გაბედნიერდება. ქალბატონ სიმას ვარაუდით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი ნინო ბურჯანაძეს უნდა აეღო. წინასწარმეტყველი ახლაც ირწმუნება, რომ ბურჯანაძე რეალურად მეორე ადგილის მფლობელია, მაგრამ ის არ აღიარეს... მისივე განცხადებით მარგველაშვილის შემდეგ პრეზიდენტი აუცილებლად ქალბატონი გახდება. თუმცა ნატოში გაწევრიანების პატივი გიორგი მარგველაშვილს ხვდება წილად და ეს, სავარაუდოდ, სამი-ოთხი წლის შემდეგ მოხდება...

სიმა ხითარიშვილი, წინასწარმეტყველი:

– წელს რომ ნატოში ვერ შევალთ, ეს, ალბათ, თქვენც იცით. ისე, ვხედავ ნატოში გაწევრიანების გზას, ეს უფრო სამი წლის განმავლობაში მოხდება.

– მანამდე რუსეთიდან იქნება აგრესია?

– რუსეთიდან სერიოზულ საფრთხეს არ ველოდები, არაფერი სერიოზული არ იქნება.

– ურთიერთობა დალაგდება?

– რუსეთთან ურთიერთობის დალაგება საჭიროა, თუ გვინდა, რომ ყველაფერი კარგად გვქონდეს. თუ ურთიერთობის დალაგებას შევძლებთ, მიწებსაც დაგვიბრუნებენ. ვინც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების წინააღმდეგია, ის ჩვენი ხალხისა და საქართველოს მტერია, მაგრამ არაფერი არ გამოუვათ. ძალიან მალე ვიზები გაუქმდება რუსეთთან. ეს მოხდება ახალი წლის შემდეგ მალე. ამ პერიოდიდან ურთიერთობებიც დალაგდება. მაგრამ ამ საკითხს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

– ხელისუფლებაში?

– ხელისუფლებაში, აბა, კიდევ სად? ხელისუფლებაში, იცით, ალბათ, ვინც არის. ოპოზიციას ვგულისხმობ. უფრო კონკრეტულად ნაციონალებს. მათ ძალიან არ უნდათ, რომ რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს.

– ხელისუფლებაში ცვლილებები იქნება?

– ახლა მთავრობას ცოტა უჭირს. ბიუჯეტში ფული საერთოდ არ არის. მთელი ფულები გაიტანეს სააკაშვილის პერიოდში, როცა ნერვიულობდნენ, რომ ამთავრებდნენ ხელისუფლებას. ეკონომიურად ძლიერდებოდნენ ბიუჯეტის ხარჯზე. ცოტა მძიმე პერიოდი გველის, მაგრამ 2015 წლის შემოდგომაზე მდგომარეობა ბევრად გამოსწორდება და ხალხი ძალიან კმაყოფილი იქნება ახალი ხელისუფლებით.

– მარგველაშვილი დაასრულებს თავის ვადას?

– მარგველაშვილი დიდხანს არ იქნება პრეზიდენტი. ის თავის პირველ ვადას დაამთავრებს და წავა. მე არ ვიცი, რატომ დაყენეს ეს კაცი, შეიძლება ძალიან კარგია, მაგრამ დროებით იქნება. მის შემდეგ აუცილებლად ქალი მოვა პრეზიდენტად.

– სალომე ზურაბიშვილი?

– სალომე არა.

– ივანიშვილი დაბრუნდება პოლიტიკაში?

– ივანიშვილი არსად არ წასულა პოლიტიკიდან. როგორც პუტინმა და მედვედევმა შეცვალეს თავის დროზე ერთმანეთი, ახლაც ასე მოხდა. ივანიშვილს არ აწყობდა, რომ დარჩენილიყო, რადგან არ უნდოდა სახელის გაფუჭება. რამე ისე რომ არ გამოსულიყო, ან დაპირებები ვერ შესრულებულიყო. ის გვერდზე დგას და უყურებს ყველაფერს. ივანიშვილი საქართველოს ფინანსურად დაეხმარება.

„ხელისუფლებაში ელოდებიან რაღაც დოკუმენტის მიღებას და შემდეგ დაიჭერენ უგულავას. უფრო თებერვალში მოხდება ეს“

– სააკაშვილი დაბრუნდება პოლიტიკაში?

– სააკაშვილი ამერიკაშია, ის ელოდება, როგორ განვითარდება მოვლენები უგულავას ირგვლივ და შემდეგ გადაწყვეტს, ჩამოვიდეს თუ არა. სააკაშვილს ხელს არ ახლებენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ დაბრუნდება საქართველოში, ოღონდ არა პოლიტიკაში. სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ გახდება.

– უგულავას დააპატიმრებენ?

– ჯერ არ დაიჭერენ, გაუშვებენ, მაგრამ მერე მაინც დააკავებენ. ხელისუფლებაში ელოდებიან რაღაც დოკუმენტის მიღებას და შემდეგ დაიჭერენ უგულავას. უფრო თებერვალში მოხდება ეს. მაგრამ ამ საქმეში, უგულავას გარდა, სააკაშვილიც არის გარეული, ბოკერიაც, ბარამიძეც... დაახლოებით 7-10-კაციანი ჯგუფია. კეზერაშვილმა ძალიან ბევრი რამე იცის და ამის შემდეგ გაირკვევა ბევრი რამ. თუმცა ახლა უგულავას მთავარი საფიქრალი გაქცევაა. უნდა გაქცევა, მაგრამ სად გაიქცეს, არ იცის. „ოცნებაში“ არის ადამიანი, რომელიც უგულავას „ოცნების“ შიდა ამბებს უყვება და ახვედრებს, როდის უნდა დატოვოს ხელისუფლება.

– ეკონომიური პრობლემების დაძლევას მოახერხებენ?

– ნელ-ნელა ფეხზე წამოდგება ქვეყანა. ნაციონალებს აუცილებლად დაბრუნებინებენ იმ ფულს, რაც ბიუჯეტიდან აქვთ მოპარული. პრობლემები იქნება, მაგრამ აყვავებით ქვეყანა 4 წლის შემდეგ აყვავდება.

მუსიკალური სპექტაკლის წარმატებული პრემიერა AMT ხელოვნების სახლში



ნანა შონია

„შობა პატარა ქალაქში“ ასე ჰქვია ახალ სპექტაკლს, რომლის პრემიერაც AMT ხელოვნების სახლში 21-28 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა. წარმატებული სპექტაკლის რეჟისურა თინათინ ქათამაშვილს ეკუთვნის.

ჩვენებები კი 18 იანვრიდან განახლდება და თებერვლის ჩათვლით ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება.

ეკა კობერიძე, AMT ხელოვნების სახლის დირექტორი: „საკმაოდ წარმატებული პრემიერა აქვთ ბავშვებს, მღერიან, ცეკვავენ, თამაშობენ. მიუზიკლი სახელწოდებით „შობა პატარა ქალაქში“ ახალია, სრულიად ექსკლუზიური. სპეციალურად ამ ბავშვებისთვის ჩაიწერა მუსიკა, შეიქმნა კოსტიუმები, სცენარი... რეჟისურა კი თავისუფალი თეატრის რეჟისორს თინათინ ქათამაშვილს ეკუთვნის. 21 დეკემბერს დაიწყო ჩვენთან ხელოვნების სახლის სცენაზე მისი პრემიერა და 28 დეკემბერს დასრულდა. იანვრიდან თებერვლის ჩათვლით ჩვენებები განახლდება და ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება. ბილეთების ღირებულება სიმბოლურია და 3 ლარი ღირს. შემოსული თანხა კი დიტო ცინცაძის ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხება. ჩვენს ხელოვნების სახლში ყველაფერია ბავშვებისთვის, მთლიანობაში კი ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ სამომავლოდ მუსიკალური თეატრი შეიქმნას“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კულტურის სამინისტრო საახალწლო კონცერ

my View
თამარ გონგაძე

მარინა ბერიძე: „მინდა ძალები მოვსინჯო, დამრჩა რამის თავი? ალბათ, დამრჩა. სექტემბერში აუცილებლად გავაკეთებ დიდ პროექტს“

„ცხენის ნელი შემართებით მოდის. საოცარი ოპტიმისტი ვარ. ყველაზე ძალიან ის მაშინებს, რომ ხალხში ბევრი ცუდი ენერგიაა დაგროვილი. მინდა ცხენის ნელში ეს ენერგია გაიფანტოს“

ნიკოლოზ რაჭველი: „მარინა ბერიძე ყოველთვის იყო, არის და იქნება მუსიკოსი, რომლის შეფასება, რჩევა და იდეა ჩემთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია!“

ევროპის მოედნის წლევანდელი საახალწლო კონცერტის გარშემო უკვე ორი კვირაა დიდი ხმაურია ატეხილი. კომპანია „ალტერვიჟენ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ გალა კონცერტს თბილისის მერიამ სამი თვის წინ გაუფორმა ხელშეკრულება. კონცერტის დამკვეთი მერიაა, მისი თანადამფინანსებელი კი კულტურის სამინისტრო. კონცერტის მუსიკალური პროდიუსერი აჩიკო გულედანია, რეჟისორი ზაალ ჩიქობავა. „ჩვენ კეთილი ნება გამოვიჩინეთ, გავერთიანდით და ჩავერთეთ ღონისძიებაში, რომ თბილისში ლამაზი ახალი წელი დადგეს. ვინაიდან გვიან შევუერთდით ღონისძიებას (ბოლო სამი კვირაა), უფლება არ გვაქვს შემოქმედებით პროცესში ჩავერიოთ“, - აცხადებს მარინა ბერიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორი. სკანდალი სწორედ მარინა ბერიძეს უკავშირდება. საახალწლო გალა კონცერტზე გამომსვლელ მომღერალთა სიაში არ აღმოჩნდნენ მარიკა თხელიძე, კახა კუხიანიძე და ეკა კვალიაშვილი. ეს მომღერლები ამაში ბერიძეს ადანაშაულებენ და თვლიან, რომ მათი გვარები მან ამოიღო საკონცერტო პროგრამის სიიდან. მომღერლებს გამოეხმაურა ჯემალ სეფიაშვილიც. „მარინა ბერიძე აუცილებლად აგებს პასუხს. განსჯის საგანი უნდა გახდეს მისი ქმედებები დაწყებული „არტ-იმედიდან“, განსაკუთრებით ამ ქმედებების მორალური მხარე“. „კვლავ მოქმედებს შავი სიები, თავისი გემოვნებით ამორჩეული მომღერლები და რამდენიმე მომღერალს უნიჭოს გვიწოდებს. რადგან მარინა ბერიძეს არ მოვწონვარ, მას ველოდო კიდებ 10 წელი?“ - აცხადებს კახა კუხიანიძე. „ახალი წლის კონცერტის სიიდან ისევ ამომიღო ამ ქალმა. ეტყობა, ვერასდროს ვჯდებით მარინა ბერიძის გემოვნებაში, ვერც ერთი წელი. მე და კახა კუხიანიძე მივდივართ კულტურის სამინისტროში, რომ გავარკვიოთ ეს საკითხები“, - ამატებს ეკა კვალიაშვილი. მომღერლებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო სოლიდარობის“ დამფუძნებელი ნანა თხელიძეც (მარიკა თხელიძის მამიდა, ადვოკატი, ყოფილი პოლიტპატიმარი) მიიჩნევს, რომ ბერიძე ამ მომღერლებს ბლოკავს. ამისთვის მოითხოვენ მარინა ბერიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას. მათ კულტურის მინისტრის სახელზე განცხადება სამინისტროში შეიტანეს. გთავაზობთ არასრულ ამონარიდს.

„საქმე, რის გამოც თქვენი შეწუხება გადავწყვიტე, კულტურის სამინისტროს ღონისძიებების და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს მარინა ბერიძეს ეხება, რომელიც დღემდე პოლიტიკური შეხედულებისამებრ განაგრძობს ქართული კულტურის მოღვაწეთა მიმართ არაეთიკური და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შემკობას და დღემდე ისეთ ქმედებებს ახორციელებს, რასაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი. დაუშვებელია საჯარო მოხელის ქართული კულტურის მოღვაწეთა მიმართ ამგვარი განცხადებების კეთება. კატეგორიულად დაუშვებელია მათი დაყოფა პოლიტიკური თუ სხვა იდეოლოგიური კუთვნილების მიხედვით. კომპანია „ალტერვიჟენ ჯგუფის“ წარმომადგენლები - აჩიკო გულედანი და ვახო ბაბუნაშვილი, რომლებიც წლების მანძილზე ტენდერებსა და კონკურსებში მონაწილეობის გარეშე იღებდნენ მილიონობით ლარს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ღია მხარდაჭერის ნაცვლად, არც დღეს უნდა იყოს იმავე მდგომარეობაში, რის შესაცვლელად იბრძოდა ქართული საზოგადოება წლების განმავლობაში. სტუდია „მონიტორის“ მიერ ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ გვიჩვენა ის ფინანსური დარღვევა, რაც 2008-2009 წლებში სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებზე იყო. ამ წლებში 8 მილიონამდე ლარი დაიხარჯა...“ - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობა“ ნანა თხელიძე. წერილს ხელს აწერს კვალიაშვილი და კუხიანიძე.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას დავალებით წერილზე პასუხი მინისტრის მოადგილემ ბადრი გრუზინსკიმ გასცა. ბადრი გრუზინსკიმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ჩაატარა მონიტორინგი და შესულ წერილში ქალბატონ მარინა ბერიძისადმი წამოყენებული ბრალდებები არაზუსტად მიიჩნია. როგორც ამბობს, ვერსად იპოვა ბერიძის მხრიდან ქართული კულტურის მოღვაწეთა მიმართ არაეთიკური და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შემკობა.

ბადრი გრუზინსკი: -ქალბატონი მარინა არ არის ჩართული 2013 წლის 31 დეკემბრის დაგეგმილი გალა კონცერტის მონაწილეთა შერჩევაში, რადგანაც მომღერალთა დაკომპლექტება შედიოდა უშუალოდ კონცერტის ორგანიზატორი კომპანიის „ალტერვიჟენ ჯგუფის“ კომპეტენციაში. კულტურის სამინისტრო კონცერტებს არ აწყობს. ესტრადა ჩვენ სამინისტროს არ ექვემდებარება. შემოსულა პროექტები, რომელთაგან ზოგს ვაფინანსებთ, ზოგს - არა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელსაც ვაფინანსებთ, მის შემოქმედებით მხარეში, რეპერტუარის შედგენაში ვერევით. ჩვენ ამ კონცერტის მხოლოდ თანადამფინანსებელი ვართ. ამ წერილის ავტორები ითხოვენ მარინა ბერიძის გათავისუფლებას. დავინტერესდი, რატომ ეპარებათ ეჭვი მის კომპეტენციაში. ცალსახად რომ არ გადაგვწყვიტა ამისთვის ქართული კულტურის მოღვაწეებს დავეკითხეთ აზრი, ანუ იმ ადამიანებს - მუსიკოსებს, კომპოზიტორებს, მომღერლებს, მუსიკალურ პროდიუსერებს, ვის მიმართაც, როგორც წერილში ნერია, ქალბატონი მარინა იჩენს არაეთიკურობას“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

ბოლო პერიოდში ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის, მუსიკოსის, მარინა ბერიძის წინააღმდეგ დაწყებულმა უსამართლო კამპანიამ, გაგვიჩინა სურვილი, რომ გამოგვეხატა ჩვენი მხარდაჭერა მის მიმართ. მოგეხსენებათ, წლების მანძილზე მარინა ბერიძე ემსახურება ქართულ მუსიკას, გახლავთ არაერთი მუსიკალური პროექტის ავტორი, მჭიდროდ თანამშრომლობს ხელოვნების სფეროს ღვაწლმოსილ წარმომადგენლებთან და ამავდროულად მუდმივად ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს და ხელს უწყობს მათ შემოქმედებით თვითრეალიზებას. მიგვაჩნია, რომ მარინა ბერიძე ღირსეულად იკავებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ღონისძიებებისა რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას და ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ვენდობით მის პროფესიონალიზმს. ხელს აწერენ: ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, ნინო ნოდია, თიკა რუხაძე, ნინა ყიფიანი, დუტა სხირტლაძე, ლილიკო ნემსაძე, დათო გომართელი, დათო ნოზაძე, მედიკო მირიანაშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, ოთო ნემსაძე, სოფო ხალვაში, ნოდიკო ტატიშვილი, ნინი შერმადინი, ანი კეკუა, მაია დარსმელიძე, გიორგი მახარაშვილი, გიორგი არჩვაძე, ელენე ფოჩხუა, თიკა მახალდიანი და სხვა...

გთავაზობთ მოკლე ამონარიდებს.

ნანი ბრეგვაძე: „მარინა ბერიძის პროფესიონალიზმი აისახა მის შექმნილ არაერთ წარმატებულ პროექტში. ჩემთვის მისი აზრი და იდეები ყოველთვის მისაღები და მნიშვნელოვანია. ჩვენ ხშირად გვითანამშრომლია და ვიცი მისი დამოკიდებულება ნიჭიერი ადამიანებისადმი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ბევრი დამწყები არტისტის წარმატებაში. ჩემი ოჯახის სახელით მხარს ვუჭერ მას“.

ზაზა შენგელია: „მინდა გამოვხატო კომპანია „ბრავო რექორდსის“ პოზიცია და კმაყოფილება სამინისტროსთან ერთად განხორციელებულ უმნიშვნელოვანეს პროექტებთან დაკავშირებით, როგორიცაა ჯგუფ „ელდრაინის“ ალბომი, რომელიც მიეძღვნა ISAF-ის პროგრამაში მონაწილე ქართველ და სხვა ქვეყნის ჯარისკაცებს, რომლებიც ავღანეთში იბრძვიან. „საქართველოს მარგალიტები“, სიდი ალბომი, რომელშიც უცხოეთში მოღვაწე მომღერლების შემოქმედება შევიდა. ასევე „შინის“ ალბომი და ქალბატონ ნანი ბრეგვაძის ერთადერთი სოლო ალბომი - „ვიხსენებ მე“. ამ და სხვა პროექტებზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებულად მინდა ხაზი გავუსვა კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის, მუსიკალური პტოდიუსერის ქალბატონ მარინა ბერიძის როლსა და წვლილს. მისი ცოდნა, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ასევე კონტაქტები ხელოვნების სფეროს ღვაწლმოსილ და დამსახურებულ წარმომადგენლებთან, ასევე მისი მიდგომა ახალგაზრდა, დამწყები ნიჭიერი მუსიკოსების მიმართ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია“.

პაატა ბურჭულაძე: „ცოტა ხნის წინ ბრძოლა გაჩაღდა ნიკოლოზ რაჭველის წინააღმდეგ. მტრები გამოუჩნდნენ ჩვენს სახელოვან ანსამბლ „სუხიშვილებსაც“. ამჯერად ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს არასასურველი კამპანია მარინა ბერიძის წინააღმდეგ. უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ნუ დავკარგავთ დროს ერთმანეთთან ბრძოლაში, ვაკეთოთ ჩვენი საქმე და დავაფასოთ ერთმანეთის შრომა და ნიჭი... ადამიანი თავისი პიროვნული თვისებებით შესაძლოა მოგწონდეს ან არ მოგწონდეს. მაგრამ ამის გამო პროფესიონალიზმის ეჭვქვეშ დაყენება არასწორად მიმაჩნია“.

ნიკოლოზ რაჭველი: „მარინა ბერიძე ყოველთვის იყო, არის და იქნება მუსიკოსი, რომლის შეფასება, რჩევა და იდეა ჩემთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია! მე ვარ მისი ყველა შემოქმედებითი წამოწყების ერთ-ერთი მხარდამჭერი და თანამოაზრე. მარინა ბერიძის, როგორც მუსიკალური პროდიუსერის, უდიდესი დამსახურებაა საქართველოში ე.წ. პოპულარული მუსიკის ჟანრში ისეთი მაღალი სტანდარტის შექმნა და პროპაგანდა, როგორიც მანამდე შეიძლება ითქვას, რომ უბრალოდ

პაატა ბურჭულაძე: „ცოტა ხნის წინ, ბრძოლა გაჩაღდა ნიკოლოზ რაჭველის წინააღმდეგ. მტრები გამოუჩნდნენ ჩვენს სახელოვან ანსამბლ „სუხიშვილებსაც“. ამჯერად ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს არასასურველი კამპანია მარინა ბერიძის წინააღმდეგ. უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ნუ დავკარგავთ დროს ერთმანეთთან ბრძოლაში, ვაკეთოთ ჩვენი საქმე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტის გარშემო ატეხილ სკანდალს ეხმაურება

საქართველოს კულტურისა და მეგლთა დაცვის მინისტრს

ბატონ მირიანე ოდიშარიას

ბატონო მირიანე,

ბოლო პერიოდში ატეხილი ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის, მუსიკოსის მარინა ბერიძის წინააღმდეგ დაწყებულმა უსამართლო კამპანიამ, გაგვიჩინა სურვილი გამოგვეხატა ჩვენი მხარდაჭერა მის მიმართ.

მოგეხსენებათ, წლების მანძილზე მარინა ბერიძე ემსახურება ქართულ მუსიკას, გახლავთ არაერთი მუსიკალური პროექტის ავტორი, მჭიდროდ თანამშრომლობს ხელოვნების სფეროს ღვაწლმოსილ წარმომადგენლებთან და ამავდროულად მუდმივად ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს და ხელს უწყობს მათ შემოქმედებით თვითრეალიზებას.

მიგვაჩნია, რომ მარინა ბერიძე ღირსეულად იკავებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ღონისძიებებისა რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას და ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვეწდებით მის პროფესიონალიზმს.

პატივისცემით,



ბადრი გრუზინსკი: „ქართული კულტურის მოღვაწეებს დავეკითხეთ აზრი, ანუ იმ ადამიანებს - მუსიკოსებს, კომპოზიტორებს, მომღერლებს, მუსიკალურ პროდიუსერებს, ვის მიმართაც, როგორც წერილში წერია, ქალბატონი მარინა არაეთიკურობას იჩენს. იმდენად წონიანმა ხელოვანებმა დაგვიდასტურეს ქალბატონი მარინას მაღალი პროფესიონალიზმი, რომ მისი თანამდებობაზე დარჩენა არდარჩენა სასწორზე ვერ დავდე“

EXCLUSIVE

არ იყო! ქართულ საშემსრულებლო სამყაროში მარინა ბერიძის ყველა ნაბიჯი სწორედ მაღალი გემოვნების გადარჩენას და ღირებულებების დაცვას ემსახურება“.

რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ „ალტერვიუენ ჯგუფის“ ფინანსურ დარღვევებს, კერძო კომპანიის მონიტორინგი კულტურის სამინისტროს კომპეტენციაში რატომ უნდა შედიოდეს. წერილს დართული ჟურნალისტური გამოძიების ანგარიში „ალტერვიუენისა“და სამინისტროს ერთობლივი საქმიანობის შესახებ, მოიცავს 2008-2009 წლებს, ქალბატონი მარინა კი ამჟამინდელ თანამდებობაზე 2009 წლის 9 ნოემბერს დაინიშნა.

„იმდენად წონიანმა ხელოვანებმა დაგვიდასტურეს ქალბატონი მარინას მაღალი პროფესიონალიზმი, რომ მისი თანამდებობაზე დარჩენა არდარჩენა სასწორზე ვერ დავდე. მინისტრის მოთხოვნისამებრ დასკვნა გავაკეთე და მივაწოდე“, - აცხდებს ბადრი გრუზინსკი.

მარინა ბერიძე: „გარდა იმისა, რომ ფიზიკურადაც მემუქრებიან, ჩემს საქმიანობას ებრძვიან“

მარინა ბერიძე თვლის, რომ ვიღაცას მისი ადგილი მოსწონს და ეს ხმაური აწყობს. „ჩემი სახელისა და გვარის არსებობა არ სურთ. მაგათ გულისთვის ხომ არ მოვკვდები? ან როგორ დავბლოკე ეს ადამიანები, როცა არც ერთ მათგანს, ვინც ამას ამბობს, არც ერთი პროექტი არ შემოუტანია სამინისტროში. ვერც ერთი ვერ იტყვის, რომ პროექტი დავუბლოკე. კონცერტს არ ვაკეთებ, ვერ ვაკეთებ, პროექტი არ შემოდის და აბა, სხვანაირად როგორ უნდა დავბლოკო ადამიანი? სადღაც კაფეში ვიღაცაზე თუ ვთქვი, ვიღაც არ მომწონს და ვიღაც მომწონს-მეთქი, უკაცრავად. როგორ ვბლოკავ ამ ადამიანებს, სპონსორს დავურეკე არ დაუფინანსო-მეთქი? ეს ლოგიკას არ ექვემდებარება, ნერვების აშლას - კი. მე გალა კონცერტები არასდროს მიკეთებია. შემოქმედებითად არ მაინტერესებს. ბევრად უფრო მაინტერესებს გავხსნა ერთი ადამიანის შემოქმედება, თავისი მუსიკალური დრამატურგიით. მე მუსიკალური პროდიუსერი ვარ. არ ვარ რეჟისორი. „ალტერვიუენის“ გადასაწყვეტი იყო ვის ამღერებდა და ვის არა. რეჟისორი მთელ დასს არ აკავებს სპექტაკლში. არც თავის მართლების პოზაში დავდგები. ვერც ვერავინ მეტყვის, ენას კბილი დავაჭირო და ის არ ვთქვა, რასაც ვფიქრობ. ფილარმონიის კარი ღიაა, აკეთონ სოლო კონცერტები, იშოვონ სპოსორები და სალარო გადაწყვეტს ვინ არის კარგი მომღერალი და ვინ ცუდი.

გამძლე ადამიანი ვარ. რით ვერ მიხვდნენ, რომ მე ეს არ მანადგურებს. პასუხის ერთადერთი მეთოდი მაქვს - გავაკეთო კარგი პროექტი. ამით არავის არაფერს არ ვუმტკიცებ, უბრალოდ, ჩემს თავთან ვიქნები მართალი, რომ ეს შემიძლია. ამ ამბების მერე იმდენი საინტერესო იდეა მომივიდა, რომ აუცილებლად უნდა გავაკეთო ისეთი რამ, რაც არავის გაუკეთებია. სურვილი მიჩნდება, რომ საქმით დავამტკიცო. გარდა იმისა, რომ ფიზიკურადაც მემუქრებიან, ჩემს საქმიანობას ებრძვიან და ამიტომ. ამბობენ, რომ არ ვარ პროფესიონალი. მინდა ძალები მოვსინჯო, დამრჩა რამის თავი? ალბათ, დამრჩა. ვფიქრობ, სათქმელი დამრჩა. სექტემბერში აუცილებლად გავაკეთებ დიდ პროექტს. ეს არ იქნება ბიუჯეტის თანხებით. მინდა შეიქმნას ახალი ნაწარმოები. მუსიკალური დრამა, მიუზიკლი... ყველაფერი გაწერილი მაქვს, ვინ არის კომპოზიტორი, გუნდი...

მახსოვს, ძალიან დიდი ტრავმა მქონდა „არტ იმედიდან“ გამოშვების გამო. 15-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ ის ადამიანები ცდილობენ ჩემს განადგურებას... რა ბერკეტი მაქვს, შეიძლება მე ჩემი ენერგეტიკით 15 წელი ეკა კვალიაშვილის ენერგეტიკის ადამიანი დავბლოკო? მაშინაც კონფლიქტი იმაზე მოგვივიდა, კონცერტში არ ჩამსვიო. ისევ იქ ვართ, ტყუილად გვიცხოვრია 15 წელი. მე მგონი დეჟავუ მაქვს, ისევ ის ხალხი მებრძვის.

მაშინ მქონდა პროტესტი და გია ყანჩელის პროექტი გავაკეთე. მერე იყო ჩავარდნა, გარკვეული ადამიანების ზეწოლა და ამ ბიზნესს (რომელიც არ არსებობს) გავეცალე. „ჯეოსტარზე“ გადავერთე. რეგიონში ბევრი ნიჭიერი ბავშვია. კასტინგზე რა ფორმითაც ვიყავი, მთელ მსოფლიოში ასეთი ფორმაა. შოუ უნდა გაკეთდეს. მე არასდროს მიხმარია ფრაზა - შენ უნიჭო ხარ. შენ სათანადო ნიჭი არ გაგაჩნია და იქნებ სხვა სპეციალობაში მოსინჯო თავი-მეთქი, ვეუბნებოდი. მომეწონა ის, რომ ბევრი ბავშვი დავაყენე ფეხზე. პარალელურად იყო „ანა ბანა“ და ასე ჩავუდექი ორ თაობას სათავეში.

ვიღაც ახლოს არის შენ გულთან, ვიღაც არ არის. ეს დასჯადი ნუ გახდება. როდესაც ტელევიზიით გეუბნებიან, რომ ხელებს და ფეხებს დაგაჭრიან, წყნარად შეგიძლია სასამართლოში წახვიდე და უჩივლო. არასასიამოვნო რეაქცია მქონდა. ცოტა იუმორმა მიღალატა. ამას ყოფილი პროკურორი ამბობს. ესე იგი, მან იცის, რომ ეს დასჯადია და მაინც ამბობს. მებადება კითხვა, ესე გი, ვიღაცამ ამის თქმის უფლება მისცა. ნანი ბრეგვაძემ გადასარევად უთხრა ჟურნალისტს, ნინო ქათამაძე ლამის ფეხით ჩამოვიდა ბათუმიდან და ქვეყნები დაიპყრო ისე, რომ ზურგი არ ჰყოლია, სახელმწიფო არც ერთ ეტაპზე არ ჩარეულაო. ასეა, ნიჭს ვერ დაიჭერ. მითხარით, როგორ შეიძლება კომპოზიტორის დაბლოკვა? ვაჟა აზარაშვილს ძალიან მივეხმარე, ამაში ჰონორარი არ ამიღია. მინდოდა და მივეხმარე. წყობიდან გამოვედი, როდესაც პრესკონფერენციაზე სეფიაშვილმა თქვა - უნდა დაისაჯოს ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩადენილი საქციელისთვისო. დამსაჯონ, ციხეში გამიშვებენ იმის გამო, რომ ვიღაც მომწონს და ვიღაც არა?

- თქვენ და ბატონ ჯემალს რა კონფლიქტი მოგივიდათ?

- მახსოვს, რაღაც ყანჩელის პროექტთან დაკავშირებული კონფლიქტი იყო. ამ პროექტის მერე, პრემიერიდან ერთი კვირის თავზე, „არტ იმედიდან“ გამათავისუფლეს. ჯემალ სეფიაშვილისთვის, რა მნიშვნელობა აქვს, მე მომწონს თუ არა? გია ყანჩელისთვის რა მნიშვნელობა აქვს ვიღაცას მოსწონს თუ არ მოსწონს. ან რა დააკლდა სეფიაშვილს იმით, თუ მისი მუსიკა არ არის ჩემს სულთან ახლოს?

- და მაინც ამ ყველაფრის ფონზე საახალწლოდ რა განწყობა გაქვთ?

- არანორმალურად მიყვარს ჩემი ნაძვის ხის მოწყობა. მარტო უნდა ვიყო. თითო სათამაშოს დავკიდებ, მერე ვუყურებ. ყოველ წელს სხვადასხვა ფერში ვრთავ. წელს ღვინისფერში გადავწყვიტე. ასე მომინდა. ცოტა ჩამკვდარი ფერები. ჩემს ასაკს აღარ შეეფერება მყვირალა ფერები. ცხენის წელი შემართებით მოდის. საოცარი ოპტიმისტი ვარ. ყველაზე ძალიან ის მაშინებს, რომ ხალხში ბევრი ცუდი ენერგიაა დაგროვილი. მინდა ცხენის წელში ეს ენერგია გაიფანტოს. ცოტათი შემწყნარებელნი მინდა გავხდეთ და ურთიერთპატივისცემა ვისწავლოთ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ სად და როგორ

my View

დეა თავგერიძე

საახალწლო სამზადისი და ქართველი ცნობილი სახეები უცხოეთსა თუ საქართველოში. ტრადიციები, სურვილები, დაპირებები... ვინ სად და როგორ ხვდება ახალ წელს. პაატა ბურჭულაძე სტრასბურგიდან გვილოცავს ახალ წელს. ლაშა ონიანი გერმანიიდან. ნანა მირიანი იტალიიდან. ცნობილმა მუსიკოსმა ლადო ბურდულმა კი საახალწლო დაპირებათა ჩამონათვალი საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე გამოაქვეყნა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მან ძველი ტუსოვკებიც გაიხსენა.



ლადო ბურდული: - ახალ წელს ძირითადად სახლში ვხვდები, მაგრამ ყოფილა შემთხვევა აეროპორტში, მატარებელში, აგარაკზე, ქუჩაში, კლუბში, მეგობრებთან ან მარტოც შევხვედრივარ... იყო შემთხვევებიც, როცა უბრალოდ დამიკიდია და დამიძინია, მაგრამ ძირითადად მაინც ჩემს ოჯახთან ერთად ვარ... ნაძვის ხეს ახლა ბავშვებთან ერთად ვაწყობ, ხოლო როცა მარტო ვიყავი, მაშინ მინი ნაძვის ხე უკვე აწყობილი მქონდა. ძირითადად ისეთ საახალწლო ატრიბუტიკას ვყიდულობდი, რომელიც დიდი ტუსოვკებისთვის უფრო წავიდოდა... სიტუაცია, რასაც ის მთავაზობს ჩემი საახალწლო ტრადიციაც არის. ტრადიციად თუ ის ჩაითვლება, რომ ათწლეულების მანძილზე ახალი წლის მეორე დღეს დიდი ტუსოვკები ეწყობოდა ჩემთან, მაშინ ოკ, ეგ ყოფილა ტრადიცია, რომ ადამიანები უფრო ბედნიერები გავხადო, ვიდრე მათი რეალური ახალი წელი იყო...

ერთი უბრალო KING-ის საახალწლო დაპირება

საქართველოს და ქართველ ხალხს, ამ წელსაც გპირდებით ისე, როგორც დანარჩენი 50 წელი გპირდებოდით და ვასრულებდი ამას:

1. არ გავპაპსავიკდები;
2. პოპულარობის გულისთვის სულს არ გავყიდი;
3. ფულის გამო ნამუსს არ გავთელავ;
4. კომფორტისთვის სირებზე არასდროს ვიტყვი, რომ ჯიგარია;
5. ვისაც დავეხმარები თავის შინაარსის თუ თავის თავის პოვნაში და გადარჩენაში მიუხედავად იმ მძიმე გამოცდილებისა, რაც მე მივიღე ამის შედეგად და იმ ღრმა ჭრილობებისა, რაც ასეთმა ადამიანებმა ჩემზე დატოვეს მაინც დავდგები ჩემს თავზე მაღლა და ისევე, როგორც ძველად ამისთვის არც ახლა არ მოვთხოვ „არაფერს“ ანუ არ გავხდები მაინც სოკრატე და ამას ვიზამ ისევ უბრალოდ და ჯიგრულად, როგორც ამას მუდამ ვაკეთებდი;
6. ისევ გავახურებ ჩემს ტუსოვკებს და მუსიკას კომერციის გარეშე;
7. ვინც მაგინებს იმათ არ მოვკლავ, რაც არ უნდა საზიზღრები და ბინძურები იყვნენ...

მეტი რა დაგპირდეთ ერთმა უბრალო KING-მა?!

პაატა ბურჭულაძე: - ბოლო წლებში ახალი წლის სცენაზე შეხვედრა დამებედა, ჯერ იყო ჰამბურგის საოპერო თეატრი, შემდეგ დოიჩე ოპერა, ვერონა, წელს კი 31 დეკემბერსა და 1 იანვარს სტრასბურგში მაქვს საახალწლო კონცერტები. რა თქმა უნდა, „ღვინოვ კახუროს“ გარეშე არც ერთი მათგანი არ ჩაივლის და ასე მოვულოცავ ყველა ჩემიანს სტრასბურგიდან 2014 წლის დადგომას!!!

მოგილოცავთ შობა-ახალ წელს, უფალი გფარავდეთ თქვენს მიერ წამოწყებულ ყველა სასიკეთო საქმეში. სიხარული და ბედნიერება იყოს თქვენი ოჯახისა და სრულიად საქართველოს მეგზური. 2014 წელს ფონდ „იავნანას“ 10 წელი უსრულდება და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ წლების მანძილზე გულთან ახლოს მიჰქონდა ჩვენი ბავშვების გასაჭირი და მათ მიმართ თანადგომას როგორც შეეძლო გამოხატავდა.

მინდა დამდეგი ახალი წელი ყველას მივულოცო, მთელ საქართველოს, ყველა ქართველს, სადაც არ უნდა იყოს და ყველას, ვისაც საქართველო უყვარს, განურჩევლად ეროვნებისა. ახალ 2014 წელს მოეტანოს ბედნიერება და სიხარული, ერთმანეთის სიყვარული, და ერთად გვეშრომოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! გაიხარეთ, ყველანი მიყვარხართ.

ლაშა ონიანი: - ჩვენი ოჯახის საშობაო საახალწლო საზეიმო დღეები 25 დეკემბრიდან იწყება. დეკემბრის შუა რიცხვებში ჩემს ვაჟთან ლუკასთან ერთად ცოცხალი ნაძვის ხის ასარჩევად მივდივართ. მივიღებთ თუ არა გადაწყვეტილებას რა ფერებში უნდა იყოს ნაძვის ხე და დეკორაცია, სახლის მორთვას ვიწყებთ. წელს ოქროსფერზე შევჯერდით. ვყიდულობთ ერთმანეთისთვის საჩუქრებს და ვფუთავთ საიდუმლოდ ერთმანეთისგან:) ოცდახუთში გერმანელ მეგობრებთან ერთად ვზეიმობთ შობას, სუფრა ევროპულ-ქართულია, ინდაური ან ბატი შემწვარი კომშით. მეკვლე მნიშვნელოვანი ადამიანია, თუმცა წინასწარ არ ვთანხმდებით, ვინც მოვა მოვა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხვდება ახალ წელს



კრისტი ყიფშიძე: „ყოველ წელს ტრადიციულად სახლში ვხვდები. არასდროს მქონია სურვილი გარეთ შევხვედროდი. ბავშვობიდან მაქვს ტრადიცია, 12 საათზე დავხუჭავ თვალებს და სურვილს ჩავიფიქრებ. ზოგჯერ მიხდება, ზოგჯერ არა. მთავარია გულით ჩაიფიქრო. ნაძვის ხეს ნატალია რთავს ყოველ წელს. ძველი სათამაშოებიც გვაქვს დედასდროინდელი, ჩემი ბავშვობის და ყოველ წელს ახალს ვამატებთ. რაც შეეხება სუფრას. დედაჩემია მთავარი შეფმზარეული, მე მისი ასისტენტი გახლავართ. ახალ წელს ძალიან მიყვარს ფუსფუსი, ბოლო მომენტამდე რაღაცას ვაკეთებ. მეკვლის ტრადიციაც არის ჩვენთან ბავშვებს ვუშვებთ კანფეტებით...

ამ ახალ წელს, პირველ რიგში, ყველას ბედნიერებას, ჯანმრთელობას და სიმშვიდეს ვუსურვებ. რაც უფრო დრო გადის, სამწუხაროდ, პირიქით ხდება. იმის ნაცვლად, რომ პროგრესი იყოს რეგრესში მივდივართ. ეს არ მინდა. სულ წინსვლა იყოს, უაზრო რაღაცებზე არ ვინერვიულოთ და ერთმანეთს გავუფრთხილდეთ. სიმშვიდე მინდა ჩემს ქვეყანაში, არ მინდა ამდენი ჩხუბი, ახალ წელს თითქოს ახალი ცხოვრება მოაქვს. გვჯეროდეს ამის და ბევრად უკეთ ვიყოთ“.

გიორგი შაღაშვილი: „ახალ წელს, როგორც ყველგან დანიაშიც დიდი სიხარულით ხვდებიან. დანიელები ახალ წელს მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ატარებენ. 31 დეკემბერს ყველა განსაკუთრებით იმოსება. ახალი წლის დღეს ყველანი ელოდებიან დედოფალ-მარგრეტის და პრემიერ-მინისტრის მოლოცვას ტელევიზიით. საახალწლო სუფრაზე აუცილებელია მოხარშული თევზი, მოხარშული კარტოფილი, ლორი და სალათები. სასმელებიდან ღვინო, ლუდი, შნაპსი, ხოლო როცა ღამის 12 საათი შესრულდება აუცილებელია გაიხსნას შამპანური და ყველამ ფუჟერებით ხელში ერთმანეთს მიულოცოს ახალი წელი. მანამდე კი, ყველა უნდა ავიდეს სკამზე და მე-12 ზარზე ჩამოხტეს. შამპანურთან ერთად მიირთმევენ დანიურ ორცხობილას - „კრანსეკაგეს“. შემდეგ ყველანი გადიან გარეთ „ფეერვერკების“ სანახავად. მე და ჩემი ოჯახიც ჩართულნი ვართ ამ საახალწლო ფერხულში“.

ოპერისა და ბალეტის თეატრმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გალა კონცერტი გამართა და უცხოეთში მყოფი ცნობილი ქართველი მომღერლები მოიწვია! მათ შორის გახლდათ იტალიაში მოღვაწე საოპერო მომღერალი ნანა ქავთარაშვილი-მირიანი.

ნანა ქავთარაშვილი-მირიანი: - სანამ საზღვარგარეთ გავემგზავრებოდი, ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდებოდი ხოლმე, 20 წლის მანძილზე კი რომელ ქვეყანაშიც ვიმყოფები გასტროლებზე იქ ვხვდები ახალ წელს. ამჯერად, კოლეგებთან ერთად. (იყო შემთხვევა თვითმფრინავშიც შევხვედრივარ) ან რესტორანში ვიკრიბებით, ან ვინმესთან ოჯახში! სამწუხაროდ, პროფესიისგან გამომდინარე, ისე ვერ ვერთობით, როგორც გვინდა, რადგან მომდევნო დღეს ან რეპეტიციები გვეწყება ან კონცერტები, ღამის თენებასაც ვერ ვახერხებთ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო, ხომ გაგიგიათ? თუმცა, სამი წელია საქართველოში ვხვდები ახალ წელს! საახალწლო კონცერტებზე მეპატიჟებიან ხოლმე ასევე პატრიარქის იუბილეზე, რომლის თარიღიც 4 იანვარია და სამშობლოში მეც სიხარულით მოვფრინავ ყოველთვის... გარდა ამის CD დისკის ჩაწერა გვექნება სახელწოდებით: საქართველოს საოპერო მარგალიტები! უდიდეს სიხარულსა და ბედნიერებას მანიჭებს, რომ მეც იმ ცნობილთა სიაში მოვხვდი, ვინც ამ დისკში თავის რჩეულ საოპერო არიებს ჩაწერს! საბედნიეროდ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სხვა თეატრის კონტრაქტებს დაემთხვეს და ამიტომ ახლაც აქ ვარ სამშობლოში. წელს მოვიპატიჟებ ჩემს მეგობრებს და მოვილხენთ, რადგან კონცერტი უკვე ჩავლილი იქნება!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2013 წლის საინტერესო და მნიშვნე

my View

თამარ გონგაძე

ამ პოლიტიზირებულ რეალობაში 2013 წელს ბევრი აპოლიტიკური მოვლენა მოხდა. ბევრი საინტერესო, ბევრი სკანდალური, ბევრიც - მნიშვნელოვანი. „პრაიმტაიმის“ ობიექტივში, ჩვენს ექსკლუზიურ სტატიებსა და გვერდებზე, რაც წელს მოხვდა, შეძლებისდაგვარად ამ ორ გვერდზე მოვუყარე თავი. თუ რაიმე გამომრჩა, იქნებ მომიტევოთ.

წელი რეჟისორის, გიგა ლორთქიფანიძის საინტერესო ინტერვიუთი დაიწყო. მაესტრო უკვე იწვა, მარცხენა ფეხმა, რომელმაც მთელი ცხოვრება უერთგულა, უმტყუნა. ბუნებრივია, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს მისი უკანასკნელი ინტერვიუ იქნებოდა. ფილმის გადაღებაზეც ფიქრობდა და სპექტაკლის დადგმაც სურდა. „ბევრი რამის გადაღება მინდა, მაგრამ არ ვიცი, მოვასწრებ კიი?“... ველარ მოასწრო... ვერც ლეგენდარული დათა თუთაშხიას - ოთარ მელვინეთუხუცესის დაკრძალვას დაესწრო, არ შეეძლო. რეჟისორი სუნთქვის უკმარისობის დიაგნოზით რესპუბლიკურ საავადმყოფოში 13 ივნისს გარდაიცვალა... დიდი მაესტრო 19 ოქტომბერს 86 წლის გახდებოდა. სანოლიდან მოცემული უკანასკნელი ინტერვიუ ჩვენი მკითხველებისთვის გავიმეორეთ. 9 მაისს კი 81 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა, ასევე დიდი მსახიობი - ოთარ მელვინეთუხუცესი. „ყველა გენიალური პიროვნება ასეთია - თავის სიდიადეს რომ არ აღიარებს! ვინმეზე აუგს ვერ წარმოათქმევინებდი და თუ ვინმეს სიკეთე ჰქონდა გაკეთებული, აიტაცებდა და სულ იმ კაცზე ლაპარაკობდა. ნათქვამია, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქსო. ოთარ მელვინეთუხუცესი მთელ ქვეყანას დააკლდა“, - ამბობს ჯანსუღ ჩარკვიანი. შემთხვევით არაფერი ხდება. განგებამ ინება, რომ ამ ქვეყნიდან ერთ წელს წასულიყვნენ ეპოქალური ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ ავტორი, მისი ეკრანიზაციის რეჟისორი და თავად გმირის უკვდავი სახის შემქმნელი მსახიობი... 12 დეკემბერს, 92 წლის ასაკში, ჭაბუა ამირეჯიბი შეუერთდა მარადისობას. ბოლო სამი წელი მწერალმა ბერობაში გაატარა.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ე.წ. „უკვდავთა თაღში“ საქართველოს სახალხო არტისტების კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ხელის ანაბეჭდების მემორიალი გაიხსნა. ამ თაღში ასევე არის ოთარ მელვინეთუხუცესისა და ელდარ შენგელაის ხელის ანაბეჭდები.

გაიხსნა ვარსკვლავები - რეზო ჩხეიძის, მარლენ ეგუტიას, ლეო ანთაძის, ჯულიეტა ვაშაყმაძის, ლია მიქაძის, ალექსანდრა მაჭავარიანის.

ელდარ შენგელაია ოცწლიანი პაუზის შემდეგ კინოს დაუბრუნდა. ტრაგიკომედიის სახელწოდებაა „კავკასიური ტრიო“ და ის აზერბაიჯანელი მწერლის რუსტან იბრაგიმბეკოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების ეკრანიზაციაა. „ვამბობ, რომ ეს ფილმი ჩემი დებიუტია. დიპლომივით არის. 20 წელინადი ფილმი არ გადამიღია და ნელ-ნელა ვიხსენებ. ახალი განცდები მოიტანა. გაგიმხელთ - ჩაფიქრებული მაქვს, რეზო გაბრიაძესთან ერთად სურათის გადაღება. ცოტა ავადმყოფობს და რომ გამოჯანმრთელდება, ჩვენი თანამშრომლობა გასამდება“, - ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში განაცხადა რეჟისორმა.

წელს, „საუკეთესო რომანისთვის“ „საბა“ გადაეცა ნაირა გელაშვილს, რომანისთვის „მე ის ვარ“, ხოლო პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - ზურაბ კიკნაძეს.

ოთხწლიანი მცდელობის შემდეგ „პრაიმტაიმს“ ინტერვიუ მისცა რუსთაველის თეატრის მსახიობმა ლეილა ძიგრაშვილმა. „ძალიან ძლიერი აღმოვჩნდი. ხშირად მიფიქრია, რატომ მომივლინა ღმერთმა ამხელა განსაცდელი-მეთქი... ცუდი ცხოვრება გავიარე. ეს ისეთი უბედურებაა, რომელზე ლაპარაკიც არ შეიძლება“. მსახიობმა ვრცლად და საინტერესოდ გვიამბო თავისი ტკივილიანი ცხოვრების შესახებ, შვილებზე - ლამასა და მამუკა კიკალეიშვილებზე.

1 ივლისს ახალ შოუს „საქართველოს ვარსკვლავს“ თავისი ფინალისტი ჰყავდა უკვე - ნინა სუბლატმა ნუკა გვალიასთან დუელში გაიმარჯვა. გამარჯვებიდან სამ თვეში ნინა გათხოვდა, მისი რჩეული მესაყვირე გიორგი შამანაურია. ხოლო ნუკა დედის გვარზე გადავიდა და კვალიაშვილი გახდა.

წლის თემა მაინც ნინი ბადურაშვილის დანგრეული ოჯახია. ამ უსიამოვნო ფაქტს ვერ გავექცევით, რომელმაც წელს პოლიტიკური აქტივობებიც სრულად გადაფარა და ყველა სიახლეც. შარშან აგვისტოში პირველმა სწორედ ჩვენი გაზეთის მკითხველმა შეიტყო, რომ ნინი მოსკოველ ქართველზე, 31 წლის ყოფილ წყალბურთელ ირაკლი კუტალაძეზე თხოვდებოდა. მერე იყო დიდი ქორწილი, დიდი ინტერესი, დიდი შოკი და „წლის გაყრა“. ნინი მოსკოვიდან მალე დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს, სადაც უკვე მის დანგრეულ ოჯახზე ჭორაობდნენ. ამ თემაზე რეკორდულად ბევრი ითქვა და დაიწერა. ექსქმრისგან განსხვავებით მომღერალს ამ თემაზე პრესასთან არ უსაუბრია. 19 ივლისს ნინის ელენე გაუჩნდა. ამაზე ცალკე ატყდა ამბავი - გვარს მისცემს თუ არა ირაკლიო. ერი დამშვიდდა, ელენე კუტალაძეა. 27 დეკემბერს მომღერალი დედიკო 28 წლის გახდა.

„წლის დაშორებული წყვილი“ სალომე ჭაჭუასა და გიგი გაჩეჩილაძის წყვილზე შეიძლება თქვა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონში სალომეს მეწყვილე მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე იყო. მითქმა-მოთქმა სწორედ მაშინ ატყდა, ამათ რომანი აქვთ, „სხვანაირად“ ცეკვავენო. მალე გიორგი ვარდოსანიძე დაშორდა შეყვარებულს. რამდენიმე თვეში სალომეც მიხვდა, რომ გიგისთან ურთიერთობა დასრულდა. წყვილმა პირველად „პრაიმტაიმში“ აღიარა, რომ ერთად იყვნენ. ეს ზღვაზე დაიწყო. „რეალურად ჩვენ რომანზე რომ ჭორი აგორდა, მაშინ ეს სისულელე იყო. პროექტი რომ დასრულდა, მე და თამთა დავშორდით, მერე დაემთხვა და გიგი და სალომე დაშორდნენ. მე და სალომე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. თვე-ნახევარია მეგობრობა სხვა რამეში გადაგვეზარდა. მეგობრობიდან სიყვარულში გადაზრდილი ურთიერთობა ძალიან მყარია“. მალე გიგიმაც ექსკლუზიურად „პრაიმტაიმში“ თქვა, რომ ნინი წიკლაური მის ცხოვრებაში საჭირო დროს გამოჩნდა. „ნინიმდე სხვა გოგონებიც გამოჩდნენ, მაგრამ არ გაგრძელებულა ჩვენი ურთიერთობა. ალბათ, მაშინ ჯერ კიდევ ისევ სალომეზე ვიყავი ჩაციკლული. ყვ-

„მანდარინეები“ წარმატებული ქართული ფილმი

ნათლობა და გაყრა

წლის შარჟი - მირიან ბარათეონი



წლის თემა - ნინის განქორწინება

„ერთი ერთში“ - წარმატებული ახალი შოუ

„ჩემი ცოლის დაქალების“ დათო, ნამდვილ ცოლთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზივები, სკანდალები, სიყვარულის ისტორიები...



წლის დანაკარგი

ელა გოგოში მას ვეძებდი“.

გურამ ლომიძისა და ივანა მელაის რომანზე საზოგადოებამ პირველად ისევ „პრაიმტაიმისგან“ შეიტყო. ივანამ საყვარელი მამაკაცის ვინაობის დასახელებისგან „პროფილში“ თავი შეიკავა, ჩვენ კი მისი ვინაობის დადგენა საერთოდ არ გაგვჭირვებია. გურამიკომ აღიარა, რომ თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს, შეყვარებულია. „მშვენიერი გოგოა, ულამაზესი. ძალიან ნიჭიერი მომღერალია. მომწონს მისი შემოქმედება. შემოქმედებითად განვითარებულია. ვფიქრობ, საქართველოში ასეთი შემსრულებელი და არტისტი ძალიან ცოტაა, უფრო სწორად, ის ერთადერთია“.

წლის გაშარჟებული სახე მირიან ბარათეონი გახლავთ, წლის ჯგუფი კი „გამოუვალი მდგომარეობა“, რომლის სიმღერები ისმოდა ყველგან. ახალ სატელევიზიო სეზონზე ბარათეონის გმირის გამოჩენამ სერიალს ახალი სული შთაბერა. სცენარისტმა, ქეთი დევდარიანმა და დათო დარჩიამ ნამდვილად საინტერესო სახე შექმნეს. მაყურებელმა მასში მაშინვე ლევან ვასაძის პროტოტიპი დაინახა. მსახიომა ბევრჯერ თქვა, რომ ლევანი არსად უნახავს, არც მისი აზრი იცის ბარათეონზე. „მირიან ბარათეონზე იმიტომ მიდის ამდენი ლაპარაკი, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან მის შედარებას და გაიგივებას ახდენენ. ამიტომ აფეთქდა, ამიტომ ატყდა ხმაური. პოლიტიზირებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და მირიანის გარშემო ეს ხმაურიც ამის ბრალია. თორემ როლი როლია - ხან მილიონერს ითამაშებ, ხან მათხოვარს, ხან მეფეს და ხან - ბანდიტს. აქამდე არც ერთი ჩემი როლი არ მახსენდება, რომელსაც ასეთი განხილვა მოჰყოლოდეს“,- ამბობს დათო დარჩია.

სერიალში ბარათეონის გამოჩენას დაემთხვა მონარქიის აღდგენის განახლებული სურვილი და შემართება ბაგრატიონებში. 3 ნოემბერს, სვეტიცხოველში, ანამ და დავითმა თავიანთი 2 წლის ვაჟი - გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონი მონათლეს. მისი ერთ-ერთი ნათლია ლევან ვასაძეა. ბავშვის ბაბუის, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის განცხადებით, პატარა გიორგი გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფის, გიორგი მერვეს და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის პირდაპირი შთამომავალია დედის მხრიდან: „დიდი იმედი გვაქვს, რომ მას მომავალში დედის მხრიდან გადაეცემა სამეფო ღირსება“, - აცხადებს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მამა. ორი კვირის წინ დავითმა თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე გვაუწყა: „დიდი დანანებით, ანა ბაგრატიონთან ჩემს ქორწინებას დასრულებულად ვაცხადებ. მადლობას ვუხდი მას საერთო შვილისთვის. მისი სამეფო უმაღლესობის გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონისთვის, რომელიც ნათლობის დღეს, 2013 წლის 3 ნოემბერს, ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრედ გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და რომელიც, მისი მამის, ბაბუის და წინაპრების მსგავსად, მუხრანის პრინცის ტიტულს დაეუფლება“.

„ფორმულა კრეატივმა“, სერიალის პარალელურად, მეორე ფილმი გადაიღო - „ჩემი ცოლის დაქალი კინოში“ 27 დეკემბრიდან კინოთეატრებშია. სერიალს მანამ დავამთავრებთ, სანამ მაყურებელს მობეზრდებაო, თქვეს და სავარაუდოდ 2014 ნელი „ჩემი ცოლის დაქალების“ გარეშე დგება.

წლის დასაწყისში ცოლთან ურთიერთობა დაეძაბა ლევან ყოჩიაშვილს, „ქმარს“ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“. სამაგიეროდ, გათხოვდა ანი ტყებუჩავა, „ცოლი“ სერიალში. დათო გოცირიძეს წელსვე აუჯანყდა ქართველი ერი. პერსონაჟმა ცოლს სტომატოლოგთან უღალატა და ქალბატონ დანტისტებთან ცოლები ქმრებს მარტო აღარ უშვებდნენ. სერიალში ცოლთან არეული ურთიერთობა მსახიობის პირად ცხოვრებას დაემთხვა და გაზეთ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ცოლთან 15-ლიან თანაცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. თუმცა მარინა ყაჭაშვილი და ლევანი შვიდთვიანი ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგ შერიგდნენ.

დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა კატოს, როლის შემსრულებლის ცვლილებას. ნინო გაჩეჩილაძე ლელა მებურიშვილმა ჩაანაცვლა. სიახლემ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრს მოეწონა „ახალი კატო“, ბევრი დღესაც ძველს მისტირის. ამასობაში ლელა გათხოვდა. მისი რჩეული ბაჩო საგანელიძეა, დავით საგანელიძის ძმისშვილი. მსახიობმა პრესისგან თავი შორს დაიჭირა და გადაწყვიტა, რომ ბედნიერება არ გაესაჯაროებინა.

წლის ახალ წარმატებულ ტელეპროექტად ნამდვილად უნდა ჩავთვალოთ „GDS“-ის შოუ „ერთი-ერთში“. ოთხშაბათობით ისეთ შოუებს უწევს კონკურენციას, როგორიცაა „ნანუკას შოუ“ და „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“. ორი ჯადოქარი ბულგარელი და ოთხი ქართველი ვიზაჟისტი მუშაობს შოუზე და ცნობილ ქართველებს საოცრად გარდაქმნის მსოფლიოს ვარსკვლავებად.

„მანდარინები“ წელს ქართულ კინემატოგრაფიაში დიდი ტრიუმფია. ზაზა ურუშაძის ქართულ-ესტონურმა კოპროდუქციამ მოლოდინი გაამართლა. ფილმი ნამდვილად იმსახურებს იმ პრიზებს, რაც მან გამოსვლისთანავე დაიმსახურა - ვარშავის „ა“ კლასის“ კინოფესტივალზე ორი პრიზით დაჯილდოვდა: „საუკეთესო რეჟისურა“ და „მაყურებლის პრიზი“.

გიორგი უშიკიშვილი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მას გიორგი დონაძე შეცვლის. დონაძე საპატრიარქოს ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელია.

წელს მალულად იქორწინა ნიკოლოზ წულუკიძემ. თეკლა კოსტავაზე ჯვარი სიონში დაინერა და ტრადიციული ქორწილიც გადაიხადა.

28 ოქტომბერს თბილისის რიგით მე-16 ჯაზფესტივალი კომპოზიტორმა, ბასისტმა და პროდიუსერმა მარკუს მილერმა გახსნა. მეორე დღეს ფესტივალის სცენაზე ერთ-ერთი წამყვანი კონტრაბასისტი, ვოკალისტი და პროდიუსერი, ასევე, ისრაელის Red Sea Jazz Festival-ის მუსიკალური პროდიუსერი, ავიშაი კოენი იყო. 2013 წლის თბილისის ჯაზფესტივალი კლასიკური პოპ მუსიკის უდიდესმა წარმომადგენელმა ნატალი კოლიმ დაასრულა. ცხრა „გრემის“ მფლობელმა მუსიკოსმა ძველ და შუა პერიოდის ჰიტებთან ერთად რამდენიმე სიმღერა 2013 წლის ალბომიდანაც შეასრულა.

12 დეკემბერს თბილისს მეორედ სტუმრობდა რეპერი ქულიო. რეპერმა ქართული თაფლი და დაცვა მოითხოვა. კონცერტით ისე გაერთო, რომ დარჩენის სურვილიც კი გამოთქვა.

ამასობაში თიკა ჯამბურიამ „ფეისბუქზე“ დადო საკუთარი თითის ფოტო ბეჭდითა და წარწერით - „ნიშნობა“. პოსტს წინა დღეს წინ უძღოდა ბექა ხოფერიას ახალი სიყვარულის „ფეისბუქური აღიარება“, ურთიერთობაშია - ლიკუნასთან. ამბობენ, თიკამ მოიგონა თავისი ნიშნობა, იტყუება, რახან ბექა შეყვარებულია „აბაროტი“ აუღო, სინამდვილეში არანაირი საქმრო არ ჰყავსო. „ამას იმიტომ ამბობენ, რომ ბექამ ჩემი ნიშნობის წინა დღეს „ფეისბუქზე“ თავის შეყვარებულთან ერთად გადაღებული ფოტო დადო. ფიქრობენ, რომ თითქოს ამიტომ ვიძიებ შურს და ჩემი ნიშნობა გამოვიგონე. მაგრამ ასე არ არის. ჩემი მეგობრებიც ამბობდნენ, თიკა იტყუებაო, რადგან მათ იცოდნენ, რომ ჯერ არ ვაპირებდი გათხოვებას. მარიკა თხელიძემაც დამირეკა - რას აკეთებ, რა ფოტოს და პოსტებს დებო. მერე მოვიდა, მნახა და მიხვდა, რომ არ ვიგონებდი“. 31 დეკემბერს ვიქორწინებთო, ჩვენთან ინტერვიუში თქვა თიკამ. 25 დეკემბერს კი ჯამბურიამ ვიდეორგოლი დადო სათაურით - „სპეციალურად ყვითელი პრესისთვის“ და დემონსტრირება გაუკეთა - როგორ იტყუება და საკუთარი ნიშნობის ინსცენირებას აკეთებს. თვლის, რომ იხუმრა. გამოვიდა, რომ ილუზიური გათხოვება და საკუთარი თავის დანიშვნა ნამდვილად ბექას ჯიბრზე გაითამაშა. პრესის ყურადღების მიქცევის სურვილს რა წყურვილი სცოდნია...

თვის ბოლოს ნიკოლოზ რაჭველმა ყველაზე საყვარელი ადამიანი - დედა დაკარგა... მან „ფეისბუქზე“ დედასთან ერთად გადაღებული ფოტო დადო. „როდესაც ეს ფოტო გაგიზიარეთ, დედას დაბადების დღე იყო, უჩვეულოდ ბევრმა ადამიანმა მიულოცა იმ დღეს. როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ყველამ იგრძნო, რომ ეს მისი ბოლო დაბადების დღე იყო აქ, ამ სამყაროში...

დღესაც მისი დაბადების დღეა, მაგრამ სხვა სამყაროში, ზეციურ სამყაროში, სადაც გადასახლდა და დამიტოვა დიდი ტკივილი, განუზომელი სევდა, წარმოუდგენელი სინანული ჩემს მიერ არაერთხელ მინიჭებული გულისტკენისთვის, დაგვიანებისთვის, შეპასუხებისთვის, უპასუხო ზარისთვის, ყურადღების ნაკლებობისთვის... ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის მის გარეშე ყოფნა... ძალიან...“

ლელა მებურიშვილი და ბაჩო საგანელიძე

სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიე

გურამ ლომიძე და ივანა მელაი



ნიკა წულუკიძე და თეკლა კოსტავა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე ხელანევით ვამბობ იგი საქართველოსთვის საჭირო კაცია“...

my View
დეა თავგერიძე

„მოდი ვიყოთ ტკბილად, მოვეფეროთ ერთმანეთს, ცხოვრება ხომ ზღაპარია, არაფერი მეტი. ამიტომ ვაკეთოთ კეთილი საქმეები“...

EXCLUSIVE

„ერთი თეთრი არავის მოუცია. ჩემი ნვალებით ვახერხებ რაღაცას“

რითაც შეუძლია ეხმარება ხანდაზმულებს... მათზე ზრუნვა დღეს მისი ცხოვრებაა. 1997 წლიდან ასოციაცია „სავანეს“ უდგას სათავეში. წლების წინ კი იყო უნიკალური ტელერეპორტაჟები, საოცარი გადაღებებით წყალქვეშ თუ ცაში... ხაჩატურ ვართანიანცმა ტელევიზიაში ათეული წლები დაჰყო, ბევრჯერ ყოფილა ექსტრემალურ სიტუაციაში. რეპორტაჟის გამო ბევრჯერ ჩაუგდია თავი საფრთხეში. მარტო ფილმ „პარაშუტისტებზე“ მუშაობისას უამრავჯერ მოუხდა თვითმფრინავიდან გადმოხტომა, საბოლოოდ კი, დარჩა საოცარი კადრები... იყო ბევრი საინტერესო მასალა გამოჩენილ ადამიანებზე. ასევე უამრავი პრემია და ჯილდო, რომელზეც დღეს სიამაყით ყვება - რეზო თაბუკაშვილის ინიციატივით ვენეციელებმა ოქროს სამაგიდო მედლით დააჯილდოვეს... ამჯერად კი უმეტეს დროს უხუცესებზე ზრუნვასა და დახმარებას უთმობს...

ხაჩატურ ვართანიანცი: „მინდა ახალი წელი მივულოცო ჩემს ხანდაზმულებს. ჯანმრთელობა და სიტკბოება ვუსურვო მათ. ეს ახალი წელი იყოს სიკეთით და სიყვარულით სავსე. რადგან ამ დუხჭირ ცხოვრებაში ბევრი რამ აკლიათ. ყველაზე მთავარი მაინც ყურადღებაა. მოდი, ვიყოთ ტკბილად, მოვეფეროთ ერთმანეთს, ცხოვრება ხომ ზღაპარია. არაფერი მეტი. ამიტომ ვაკეთოთ კეთილი საქმეები. თუ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება და ამ უხუცესებს საახალწლოდ ტკბილეულით მაინც დაეხმარება, ეს დიდ სიხარულს მიანიჭებს თითოეულს“.

ბატონი ხაჩატური უამრავ საინტერესო ამბავს იხსენებს. მათ შორის იმ ქორწილსაც, რომელმაც, ათეული წლების წინ, უცხოელები ძალიან განაცვიფრა...

ხაჩატურ ვართანიანცი: - ამგვარი ქორწილი არავის გადაუხდია. ვერც ძველ ფილმებში ნახავთ. სიენენმა ამგვარად გადასცა - მაშინ, როდესაც საქართველოში, შიმშილი, სიცივე და უშუქობაა, უნიკალურ ქორწილს იხდიანო. ფაიტონით, ქართული სიმღერებით, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სტუმრებით, 40 კინტოთი, არღანით, საოცრება იყო. თავად ილია მეორემ აკურთხა. მერე ამის შესახებ ერთ-ერთმა იაპონელმა შეიტყო და თბილისში ჩამოვიდა. უნდა გავიცნო ვინ არის ის კაცი, რომელმაც ამგვარი ქორწილი მოაწყოო. გავიცანი, როდესაც ყველაფერი მოვუყევი, კონვერტი მომცა. გაოცებისაგან ლამის ცუდად გავხდი, კონვერტში 2 500 დოლარი იდო. გამიკვირდა, რომ ამ უცხო კაცმა ასე დააფასა ეს ყველაფერი. ჯერ ფული მომცა, მერე კი მუხლებზე დადგა და მადლობა ასე გადამიხადა. ხომ არ გაგიჟდა მეთქი, - ვკითხე თარჯიმანს. ამ სახით მადლობას გიხდით, მოხუცებს რომ ასე ეცით პატივიო... ამის შემდეგ იაპონიიდან „ეჩკერიასტელევიზიის თავმჯდომარე ჩამოვიდა. ამ ფულით სილამაზის კონკურსი მოვაწყვეთ. იაპონიის ტელევიზიამ კი სამი ფილმი გადაიღო...

- ვინ იყო ის მოხუცი კაცი, რომელსაც ასეთი ქორწილი გადაუხადეთ?

- ერთი მათხოვარი კაცი იყო, თავისუფლების მოედანზე გადასასვლელში იჯდა. სანამ ძალიან გაუჭირდებოდა, კასპის რაიონში ერთ-ერთი მეურნეობის დირექტორი იყო. მერე კი ბედმა მათხოვრად აქცია. ცოლი დიასახლისი ჰყავდა. მივედი მათთან სახლში. დადიანზე ცხოვრობდნენ. წამლები მივუტანე, გაიხარეს, იქვე კედელზე ახალგაზრდა ბიჭის სურათი იყო. ვინ არის-მეთქი ვიკითხე. დაღუპული შვილი აღმოჩნდა. თურმე შეპირებია ოქროს ქორწილს გადაგიხდითო. შენ და მამას ქალაქი ფაიტონით უნდა მოგატაროთო. შეიძლება მე გადაგიხადოთ-მეთქი? ჩათვალეთ, რომ თქვენი შვილი ვარ. ვკითხე... გადავუხადე კიდეც, ზუსტად ისეთი, როგორსაც შვილი შეპირდა. ფაეტონით...

„ამერიკაში მიწვევაც მქონდა, მაგრამ ვერ წავედი“

ერთხელ ამერიკიდან მომივიდა მოწვევა. მაშინ დოსააფში პრესსამსახურის უფროსი ვიყავი. მივიღე კომენტატორის წოდებაც. მოსკოვიდან დამირეკეს - შენი რეკომენდაცია გადავაგზავნეთ და ამერიკაში უნდა გაემგზავროო. სიდნეიში ერთ-ერთ პირველ ავტოდრომზე კასკადიორად უნდა მემუშავა. ვიქნებოდი ასე 30 წლის. ბევრი ფიქრის შემდეგ უარი ვთქვი. ბავშვი ახალი შეძენილი გვყავდა, ცოლი ქირით იყო, ვერ დავტოვებდი ასე, უფლება არ მქონდა ამის. ამიტომ უარი ვთქვი, ვინც ჩემს ნაცვლად წავიდა 5 წლის მერე, მილიონერი ჩამოვიდა.

- გული არ დაგწყდათ?

- უარი რომ ვთქვი, მაშინაც დამწყდა, მაგრამ რა მექნა.

„მე და ბუბა ბავშვობის მეგობრები ვიყავით“

ერთმანეთს მტკვარზე ვხვდებოდით ხოლმე, ბიჭურად. ბუბას კლიჩკა ჰქონდა „ტუდა-სუდა“. ცურვა უყვარდა ძალიან და ამიტომ დაარქვეს. მე „ჩორნას“ მეძახდნენ. ველომრბოლელი გახლდით და სულ შავი ვიყავი. ერთხელაც ქობულეთში ვისვენებდი და ბუბას ვუთხარი, მოდი ჩვენი ბავშვობა მოვიგონოთ-მეთქი, ჩავრთე დიქტოფონი და მოვიგონეთ.

ფურცელაძეზე ვცხოვრობდი, იქვე დახურული ბაზარი იყო. ერთხელაც ვხედავ, სათნო სახის ქალბატონი მოდის, მძიმე ჩანთებით ხელში. როგორც მერე შევიტყვე ბაგრატიონის ქალი იყო. მივედი, სად ცხოვრობთ-მეთქი, დახმარება შევთავაზე. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ერთხელაც მითხრა, შენ ისეთი გულიანი ხარ, გემრიელი კომპოტი უნდა დაგალევინოო, იმ კომპოტის გემო ახლაც მახსოვს, უგემრიელესი იყო. ვსვამ ამ კომპოტს და გავიხედე ბუბა შემოდის. ეე, აქ რა გინდაო. მე კი არა შენ რა გინდა-მეთქი. რაღა რა მინდა, ჩემი სახლიაო. თურმე ეს სათნო სახის ქალი დედამისი ყოფილა. იმის მერე ვმეგობრობდით. ჩემი პარაშუტისტობაც ბუბას „ბრალია“. მუშთაიდის პარკში მოყვარულ პარაშუტისტთა კლუბი იყო. მივედი, ბუბაც იქ იყო. მომარგეს პარაშუტი, მაგრამ ვერ გავრისკე, მეშინია, ვერ ვხტები, ამ დროს კი ბუბამ ხელი მკრა, რა გაშინებსო. მას შემდეგ დავინტერესდი სპორტის ამ სახეობით.

ჯილდო და რეზო თაბუკაშვილი

ერთხელ მირეკავენ იტალიიდან. დაჯილდოებული ხარ და ვენეციაში უნდა ჩამობრძანდეთ პრიზის მისაღებად, როცა აქ ჩამოხვალთ გზის საფასურს ჩვენ გადაგიხდითო. მაგრამ ვერ ვიშოვე 600 დოლარი და ვერ ჩავედი. მერე კი ეს პრიზი ოფიციალურად გადმომცა ბატონმა რეზომ. ეს ყველაზე ძვირფასი ჯილდოა ჩემთვის რა ჯილდოც კი მიმიღია. ძალიან ვუყვარდი რეზო თაბუკაშვილს, მეც ძალიან მიყვარდა. იცით, როგორი კაცი იყო? სასწაული. ასეთი გულიანი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. თავისი საქმე და თავისი ერი, რომ უყვარდა ამას ჩემი საუბარი არ უნდა. უკეთილშობილესი იყო და ძალიან დიდ პატივს სცემდა ადამიანურ ურთიერთობებს, უყვარდა ხალხი, რომლებიც თავიანთი საქმისთვის თავს არ ზოგავდნენ.

როგორ შეძელი ის, რაც მოსფილმმა ვერ გააკეთა

სევასტოპოლში წყლის ქვეშ გავაკეთე რეპორტაჟი. მანამდე კი სევასტოპოლში ჩასული ბარებსა და რესტორნებში ქართველებს ვეძებდი. ოთხი მოვნახე. აუ, რა ბედნიერი ვიყავი. მეორე დღეს კი უფროს გენერალთან მივედი. ვუთხარი, წყალქვეშ გადაღება მინდა-მეთქი. არადა აპარატურა არ მაქვს. კაცო, დარაგო, მოსფილმმა 6 თვეა საშვი ვერ დაუშვა და შენ გინდა, რომ ახლა ნახვიდე და გადაიღოო? მითხრა ღიმილით. მაგრამ მე ძალიან ჯიუტი კაცი ვარ, რადგან ვთქვი, უნდა გამეკეთებინა. მეოთხე დღესვე მივიღე საშვი. ისეთ ადამიანთან დავრეკე, რომ ხელმეორედ მისულს მოწიწებით დამიკრეს თავი. შენ ყოფილხარ ვინც ყოფილხარ, როგორ შეძელი ის, რაც მოსფილმმა ვერ გააკეთაო... მერე აპარატურაც ვიშოვე და ბრწყინვალე კადრებიც გადავიღე...

როგორ გადაურჩა დაპატიმრებას

ფინეთში ფიდელ კასტროს კოსტიუმი მაჩუქეს. მე კი საჩუქრად სვანური და კახური ქუდები ჩავიტანე. ერთ ღამესაც მაღვიძებენ. ადექი, აეროპორტში უნდა წავიდეთ, მოამბისთვის ფიდელ კასტრო გადაიღოო. მეც, ამ დღესთან დაკავშირებით ჩავიცვი ეს კოსტიუმი და ნამდვილ კუბელს დავემსგავსე. როცა ფიდელი ტრაპზე ადიოდა დამინახა და თანამშრომელს უთხრა „ო-ლა-ლა“, - ამოვიდესო. თანაშემწეც მომიახლოვდა და მეუბნება -„ო-ლა-ლა“, გაოცებული შევყურებ ჩემგან რა უნდათ -მეთქი. ინაურმა თარჯიმანს ჰკითხა, რატომ მობრუნდაო. - ჩვენი კაცი რჩებაო. იმათაც



კუბელი ვეგონე თურმე. რა კუბა, ავლაბრელი ხაჩატურა ვარ-მეთქი, ვუთხარი კასტროს. უთარგმნეს და ბევრი იცინა, მაგრამ ეს ისტორია, ლამის ძვირად დამიჯდა. ჯუმბერ პატიაშვილი რომ არ ყოფილიყო, ამ ისტორიის გამო ინაური დაჭერას მიპირებდა, - ქვეყნიდან გაქცევა გინდოდაო.

ახლა კი 76 წლის ხაჩატურ ვართანიანცი, ხანდაზმულთა უფლებებისთვის დაუღალავად იბრძვის. თვეობით მოუხდა სასამართლოში სირბილი, რომ ერთ-ერთი ხანდაზმულისთვის მეზობლის მიერ წართმეული სახლი დაებრუნებინა. შეძლებისდაგვარად მათ თანხითაც ეხმარება. დღესასწაულებზე მოხუცებს კონსერვატორიასა და სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში იწვევს. შეძლებისდაგვარად ცდილობს, რომ მათ ცხოვრება გაულამაზოს. სწორედ საქართველოს საუკუნის ადამიანთა ორგანიზაციის დამსახურებაა, რომ 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა დღედ გამოცხადდა.

ხაჩატურ ვართანიანცი: „ჩემი ოცნებაა, საქართველოში მიუსაფართა სახლი ავაშენო, თბილი, და ოჯახური გარემოთი. სადაც სამასი ადამიანი იქნება. ყველანაირი პირობებით, სადაც მოხუცები მართლა გაიხარებენ. სადაც მათ არ ექნებათ იმის ფიქრი, რომ უპატრონონი არიან... მაგრამ დღეს ამ სახლზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ოფისიც კი არ გვაქვს. ჩემთან ეზოში ერთი მიტოვებული შენობაა. ეკონომიკის სამინისტრომ 2 წელი მარბებინა, საბუთებზე 200 ლარი დამახარჯინეს და ბოლოს უარით გამომისტუმრა. თუმცა, როგორც გითხარით, მე ჯიუტი კაცი ვარ და ჩემსას მაინც გავაკეთებ... მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ძალიან მაწუხებს, ამ ოცნებით არ ვაპირებ სიკვდილს“.

რეზო მიშველაძე, მწერალი: „ბატონი ხაჩატური, როგორც ჩვენ მოფერებით ვეძახით, ჩვენი ხაჩიკა, ქართული საზოგადოებისთვის უაღრესად ცნობილი პიროვნება და ჭეშმარიტი თბილისელი გახლავთ. მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ის ქართულ საქმეს აკეთებს. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღირსეული სომეხია და ასევე ღირსეული ქართველი. ბატონი ხაჩატური წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, იყო ძალიან აქტიური, ობიექტური, უანგარო და პატიოსანი ჟურნალისტი. ასევე ერთ-ერთი პიონერი ქართული ფოტოხელოვნებისა. მის ზურგს უკან ნამუსიანად განვლილი გზაა. იგი არაერთი საინტერესო საზოგადოების დამაარსებელი და პრეზიდენტი გახლავთ. ამ ბოლო დროს კი ქვეყნისთვის საჭირო საზოგადოებას ხელმძღვანელობს, ხანდაზმულთა კავშირს. ასე რომ დადის ჩვენი ხაჩატური, უჭირავს ხელში გრძელი სია ხანდაზმული და რატომღაც ჩვენი ხელისუფლების მიერ უსამართლოდ მივიწყებული ადამიანებისა და ცდილობს გაულამაზოს მათ ცხოვრება, ხან რომელიმე მათგანის იუბილეს მოაწყობს, ხან შემოქმედებით საღამოს... მე არაერთგზის მივუწვევივარ მას ამ საღამოებზე და უაღრესად ნასიამოვნები დავრჩენილვარ იმ სიყვარულიანი და თბილი დამოკიდებულებით რასაც ხაჩატური მათ მიმართ იჩენს. მე ხელაწევით ვამბობ, იგი საქართველოსთვის საჭირო კაცია. ჩვენ, მისმა მეგობრებმა და ქართულმა ინტელიგენციამ მას ორჯერ გადავუხადეთ იუბილე, თავისი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის კი ღირსეულად მივაკუთვნეთ მწერალთა კავშირის უაღრესად პრესტიჟული აკაკი წერეთლის პრემია და მიხარია, რომ ამ პრემიას მე ვაწერ ხელს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანსამბლი „ქართული ხმების“ საიუბილეო CD ალბომის პრეზენტაცია

my View
დეა თავბერიძე

2013 წელს ანსამბლი „ქართული ხმების“ ახალ თაობას სასცენო მოღვაწეობის 15 წელი შეუსრულდა. ანსამბლმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ახალი ალბომი გამოსცა, რომელზე მუშაობაც „ბრავო რექორდსში“ ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მუსიკალური ნაწარმოებები ორ დისკზეა გადანაწილებული. პირველ დისკზე თავმოყრილია ქართული ხალხური სიმღერების, ხოლო მეორეზე სრულიად ახალი სასიმღერო კომპოზიციებისა და ასევე საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული ჰიტების აბსოლუტურად ექსპერიმენტული, განსხვავებული ვოკალური და ინსტრუმენტული არანჟირებით შექმნილი ვერსიები. ალბომის ჩაწერებზე მონაწილეობა მიიღეს ისეთმა მუსიკოს-შემსრულებლებმა, როგორებიც არიან: ნიაზ დიასამიძე, რომა რცხილაძე, ნანი ბრეგვაძე, სალომე ბაკურაძე, ზვიად ბოლქვაძე, მიშა მდინარაძე, დავით მალაზონია და ა.შ. ამ ალბომის სახით „ქართული ხმები“-ს თაყვანისმცემლებს ნამდვილი მუსიკალური სიურპრიზი ელით.

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ორი მუსიკალური ნომერი ახალი ალბომიდან. პრეზენტაციის ბოლოს კი გაიმართა ალბომზე ხელის მოწერის ცერემონიალი, ანსამბლის წევრებმა მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად ახალი ალბომები გადასცეს თავიანთი ავტოგრაფებით.

ახლო მომავალში თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში „ქართული ხმების“ გრანდიოზული კონცერტი იგეგმება. ამჟამად „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში კონცერტის წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. კონცერტზე შესრულდება ოცამდე მუსიკალური ნომერი სიმფონიური ორკესტრისა და „ბრავო ბენდის“ თანხლებით. კონცერტის რეჟისორი დავით საყვარელიძე იქნება.

„ქართული ხმები“ უამრავი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მონაწილე და გრანპრის მფლობელია, ასევე არაერთი საქველმოქმედო კონცერტის ინიციატორი და მონაწილე. ანსამბლის წევრები დაჯილდოებულნი არიან ღირსების ორდენებით. 15 წლის განმავლობაში ანსამბლს, საინტერესო თანამშრომლობა ჰქონდა მსოფლიო დონის ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: Bobby McFerrin, ქეთი მელუა, TAKE 6 და ა.შ. 2006 წელს ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა საბავშვო სტუდია, სადაც ასეულობით მოზარდი ეზიარა ქართულ ხალხურ სიმღერას. გამოცემული აქვთ ოთხი CD და ორი DVD ალბომი, რომლებიც დღემდე ერთ-ერთ გაყიდვად ალბომებად ითვლება.

ნინო ბენდელიანი, ვთბ ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: -ვითიბი ბანკი წარმატებას უსურვებს ანსამბლ „ქართულ ხმებს“ და წარმოგიდგენთ „ქართული ხმების“ ახალ ალბომს. ბანკი აქტიურად უჭერს მხარს ქართულ კულტურას და სპორტს, ამ მხარდაჭერის შედეგად მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორისაა ეს ალბომიც.

პროექტის ოქროს სპონსორია: კომპანია „გალფი“,
გენერალური სპონსორია: ვითიბი ბანკი,
სპონსორი: ქინძმარაულის მარანი,
მხარდამჭერი: „სამოსელი პირველი“.

„ხელოვნებისა და პოეზიის კვირეული“

სასიამოვნო ღონისძიებები, პოეტებით, მომღერლებით, პროზაიკოსებით, ხატმწერებით, ნახატებითა და ფოტოებით 17-დან 26 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა. კვირეული პოეტმა ზურა სალუქვაძემ დახურა. მანამდე კი იყო ლევან ჭოღოშვილის ნახატები, გოგა ჩანადირის ფოტოები, ხატმწერი გიორგი ეგნატაშვილის გამოფენა. ასევე მამა თავმასის (ჩოხელი), თემურ ჩალაბაშვილის, თამარ შაიშმელაშვილის, მებაღე ტყეებუჩავას, მერაბ არაბულის, ერეკლე საღლიანის, დიანა ჯიშიაშვილის და მსჯავრდებულების პოეზიის საღამოები. კვარტეტი „ჰანგების“ კონცერტი დავით არჩვაძის ხელმძღვანელობით, რომლის წამყვანიც თამარ ჭოხონელიძე გახლდათ. საქველმოქმედო აქცია „ხელოვნებისა და პოეზიის კვირეული“ სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის დიანა ჯიშიაშვილის დასახმარებლად გამართა. ღონიძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიული კოლეჯის „სპექტრი“-ის მიერ იყო ორგანიზებული, ასევე ჩაერთო შ.პ.ს. „საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა“.



მათე ტაკიძე, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი: - ამ ღონისძიებას ტრადიციული ხასიათი აქვს. ეს ეტაპი დამთავრდა და შემდეგ ეტაპს ნათლისღების შემდეგ ვიწყებთ. ტარიელ ხარხელაურის საღამო გვინდა გავაკეთოთ. ასევე იგეგმება ფილმების ჩვენება. მოვიწვევთ რეჟისორებს და ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ფილმს ვაჩვენებთ. რასაც მოჰყვება ფილმების გარჩევა, ასევე იქნება შეხვედრა სტუდენტებთან და გაიმართება სემინარები კინოს შესახებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N52 (250) ორშაბათი, 30 დეკემბერი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„პრაიმტაიმის პრესკლუბი“ წლის ლიდერი გახდა

EXCLUSIVE

კულტურის სამინისტრო საახალწლო კონცერტის გარშემო ატეხილ სკანდალს ეხმაურება

EXCLUSIVE

მარინა ბერიძე: „მინდა ძალები მოვსინჯო, დამრჩა რამის თავი? ალბათ, დამრჩა. სექტემბერში აუცილებლად გავაკეთებ დიდ პროექტს“

ლეო ანთაძე - 80 წლის იუბილე და 60 წელი სცენაზე

EXCLUSIVE

„ვხუმრობდი - როლებსა და ბავშვებს ლოგინში სიბნელეში ვაკეთებ-მეთქი. ოთხი შვილი და 500-მდე როლი მაქვს შექმნილი“

ჩემი ცოლის დაქალი კინოში

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404
9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება